*დანართი #2*

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის დასახელება სწავლის სფეროს კლასიფიკატორის მიხედვით
საბაკალავრო პროგრამა: ქართული ფილოლოგია (ძირითადი და დამატებითი)
საბაკალვრო პროგრამა: ლიტერატურათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი)
სამაგისტრო პროგრამა: შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა
სამაგისტრო პროგრამა: გამოყენებითი ენათმეცნიერება
სადოქტორო პროგრამა: ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების
თარიღ(ებ)ი 21-
23. 12. 2022
დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი

## შინაარსი


**I.** ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ 4

**II.** აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 6

**III.** პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 14

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან 14
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 44
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 64
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 77
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 108

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204861970. |
| ინსტიტუციის ტიპი | უნივერსიტეტი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| **თავმჯდომარე** (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ანკა-ლუმინიტა გრეერი, ბაბეს-ბოლიაის უნივერსიტეტი, რუმინეთი |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ზაალ კიკვიძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი; არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თსუ, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ნინო პოპიაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ირმა ქურდაძე, სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერისტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ნატო ფერაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო. |

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

| | პროგრამა 1 | პროგრამა 2 | პროგრამა 3 | პროგრამა 4 | პროგრამა 5 |
|---|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ქართული ფილოლოგია (ძირითადი და დამატებითი) | ლიტერატურა თმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი) | შედარებითი ლიტერატურათმცოდ ნეობა | გამოყენებითი ენათმეცნიერება | ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი | ბაკალავრიატი | მაგისტრატურა | მაგისტრატურა | დოქტორანტურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ქართულ ფილოლოგიაში | ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ფილოლოგიაში | ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი შედარებით ლიტერატურა თმცოდნე ობაში | ჰუმანტარულ ი მეცნიერებები ს მაგისტრი ენათმეცნიე რებაში | ფილოლოგიის დოქტორი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | ლიტერატურა და ლინგვისტიკა 0232 | ლიტერატურა და ლინგვისტიკა 0232 | ლიტერატურა და ლინგვისტიკა 0232 | ლიტერატურა და ლინგვისტიკა 0232 | ლიტერატურა და ლინგვისტიკა 0232 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[1] | - | - | - | - | - |
| სწავლების ენა | ქართული | ქართული | ქართული | ქართული | ქართული |

[1] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 ECTS კრედიტი | 240 ECTS კრედიტი | 120 ECTS კრედიტი | 120 ECTS კრედიტი | 42 ECTS კრედიტი |
|---|---|---|---|---|---|
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკედიტებული | აკრედიტებული | აკრედიტებული | აკრედიტებული | აკრედიტებული |

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ**[2]

წინამდებარე კლასტერში დაჯგუფებულია ხუთი საგანმანათლებლო პროგრამა, რომლებსაც ახორციელებს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი:

- ქართული ფილოლოგია (ძირითადი და დამატებით) (ბაკალავრიატი);
- ლიტერატურათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი) (ბაკალავრიატი);
- შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა (მაგისტრატურა);
- გამოყენებითი ენათმეცნიერება (მაგისტრატურა);
- ლინგვისტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა (დოქტორანტურა)

ყველა პროგრამა ახლახანს ხელახლა გადაიხედა კლასტერული დაჯგუფების გათვალისწინებით და "ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსა და სწავლის სფეროს კლასიფიკატორის მიხედვით უმაღლესი განათლების პროგრამების განვითარების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის 69/ნ ბრძანების შესაბამისად.

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები თანმიმდევრულად ეხება ენობრივ და ლიტერატურულ საკითხებს და ისეა შემუშავებული და განხორციელებული, რომ სტუდენტებში ავითარებს ისეთ უნარებს, როგორიცაა ტექსტის კრიტიკული ანალიზი, გაგება, კონტექსტუალიზაცია, კომენტარი და ინტერპრეტაცია; აყალიბებს აუცილებელ დარგობრივ და ტრანსფერულ კომპეტენციებს; წვლილი შეაქვს კულტურულ-მსოფლმხედველობრივი მრავალფეროვნების გააზრებასა და პატივისცემაში, ეროვნული და საყოველთაო იდეალების დამკვიდრებაში.

თვითშეფასების ანგარიშში ჩამოთვლილია მნიშვნელოვანი ცვლილებები, კერძოდ, პროგრამების მიზნების განახლება, ცვლილებები სწავლის შედეგებში, სტრუქტურებსა და პროგრამის კომპონენტების მონახაზში, კომპეტენციების რუკების შემუშავება და მატერიალური რესურსების დივერსიფიკაცია.

კლასტერი აქტიურად იყენებს პლატფორმას www.elearning.iliauni.edu.ge და Turnitin და ელექტრონულ პორტალ "Argus"-ს, რომელიც, როგორც დადასტურდა, გაუმჯობესებული და მრავალმხრივია.

- **ადგილზე ვიზიტის მიმოხილვა**

შეფასების პროცესი თანაბრად ეყრდნობა თვითშეფასების ანგარიშს, თანდართულ მტკიცებულებებთან ერთად და ადგილზე ვიზიტს, სადაც ტარდება ინტერვიუები ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან, როგორიცაა ხელმძღვანელობა, პედაგოგიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები და სხვა დაინტერესებული მხარეები (მაგ.,

[2] პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

დამსაქმებლები).

შეფასების პროცესს ძალიან დაეხმარა თვითშეფასების ანაგარიში, რომელიც სტრუქტურირებული იყო ინდივიდუალური სტანდარტების შესაბამისად და კარგად იყო დოკუმენტირებული და შეიცავდა შეფასებებს, რამაც ჯ წევრებს წინასწარ შეუქმნა ყოვლისმომცველი წარმოდგენა ინსტიტუციური მუშაობის შესახებ ადგილზე ვიზიტამდე.

ვიზიტი გაიმართა 2022 წლის 21-23 დეკემბერს, უნივერსიტეტთან შეთანხმებული განრიგის მიხედვით, რომლის დროსაც ჩატარდა მრავალი შეხვედრა (სულ 16 ინტერვიუ), სადაც განიხილეს/დააზუსტეს/დაადასტურეს თვთშეფასების ანგარიშის მიერ ხაზგასმული ასპექტები და შეაგროვეს შემდგომი მტკიცებულებები დასკვნების მხარდასაჭერად. ჯგუფმა ასევე მოინახულა ობიექტები, რათა დარწმუნებულიყო, რომ ისინი კარგად იყო წარმოდგენილი.  ასევე, ვიზიტის დროს მოითხოვეს დამატებითი დოკუმენტები, რაც მიწოდებული იქნა დროულად.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პირველი სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მეორე სტანდარტი შეესაბამება მოთხოვნებს;

მესამე სტანდარტი შეესაბამება მოთხოვნებს, გარდა სადოქტორო პროგრამისა, რომელიც მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს.

მეოთხე სტანდარტი შეესაბამება მოთხოვნებს;

მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

- პროგრამებში უნდა გადაიხედოს სწავლის შედეგები და მათი ფორმულირება ბოლონიის ინსტრუმენტების შესაბამისი უნდა იყოს, ასევე ყველა შედეგი უნდა შეესაბამებოდეს შესაბამისი განათლების საფეხურს.
- პროგრამებმა მკაფიოდ უნდა წარმოაჩინოს ვებგვერდზე სწავლის შედეგები და უზრუნველყოს, რომ ის, რაც საჯაროდ არის ხელმისაწვდომი, ემთხვევა იმას, რაც პროგრამის ხელმძღვანელობის საბოლოო დოკუმენტაციაშია და რაც გამოიყენება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის მიზნებისთვის.
- კლასტერმა უნდა შეიმუშაოს შეფასების მექანიზმები, რომლებიც სწავლის შედეგებს გახდის რელევანტურს, კარგად ჩამოყალიბებულს და მიღწევადს და რომელიც დაადასტურებს კავშირს სწავლის შედეგებსა და სასწავლო გეგმის შემუშავებას შორის.
- კლასტერმა უნდა განიხილოს სტუდენტებისთვის სავალდებულო სტაჟირების შემოღება შესაბამის დონეზე, რათა უზრუნველყოს, რომ შრომის ბაზრის გამოცდილება ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის და დაეხმარება მათ ჩამოაყალიბონ თავიანთი შეხედულებები პოტენციური კარიერის ვარიანტების შესახებ.
- პროგრამებმა უნდა გაასწორონ სასწავლო კურსებში არსებული ხარვეზები

მითითებულ ძირითად და დამხმარე ლიტერატურასთან დაკავშირებით.

- პროგრამებმა უნდა უზრუნველყონ ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის სრულად ასახვა სასწავლო კურსის სილაბუსებში.
- პროგრამებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ნებისმიერი შემოთავაზებული ლიტერატურა (განსაკუთრებით, ძირითადი ლიტერატურა) ითვალისწინებს პროგრამისთვის გამოცხადებულ ენობრივ წინაპირობებს, და რომ სტუდენტები ნამდვილად გაიგებენ წიგნების შინაარსს, ორიგინალში.
- კლასტერმა უნდა უზრუნველყოს, რომ რიდერის გამოიყენების შემთხვევაში დაცული იყოს ნებადართული კოპირების/გადამრავლების პროცენტობა, რომელიც არ უნდა სცილდებოდეს საერთაშორისო ლიმიტს, რათა თავიდან იქნას აცილებული საავტორო უფლებებთან დაკავშირებული ნებისმიერი რისკი. უნივერსიტეტი უნდა აკონტროლებდეს და ამოწმებდეს იმ რესურსებს, რომლებიც რიდერის სახითაა წარმოდგენილი.
- კლასტერმა უნდა დააკისროს მკაფიო პასუხისმგებლობა სხვადასხვა პროგრამის ხელმძღვანელს და უზრუნველყოს სტუდენტებთან ნებისმიერი კომუნიკაციის თანმიმდევრულობა და გამჭვირვალობა.
- ვებგვერდის ინგლისური ვერსია უნდა განახლდეს და ინფორმაცია შეესაბამებოდეს ქართულ შინაარსს.
- უნივერსიტეტმა უნდა მოიფიქროს გზები როგორ გახადოს სამუშაო დატვირთვის ნაწილი ის მოსამზადებელი სამუშაოები, რომელსაც ხელმძღვანელები ახორციელებენ პოტენციურ დოქტორანტებთან მათი განაცხადის შეტანის პროცესის დაწყებამდე.
- კლასტერმა უნდა უზრუნველყოს, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია, ასევე აკადემიური რეცენზიები და სამეცნიერო ნაშრომები შეესაბამებოდეს ფილოლოგიის სფეროს და იმ საგნებს, რომლებსაც ისინი ასწავლიან ან/და ხელმძღვანელობენ. პრაქტიკაზე დაფუძნებული გამოცდილების გამონაკლისი უნდა გაკეთდეს იქ, სადაც ამის გამართლება შეიძლება.
- კლასტერმა უნდა უზრუნველყოს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის შერჩევა იმ სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, რომელსაც მიეკუთვნება საკვლევი თემა. სადაც საჭიროა პრაქტიკაზე დაფუძნებული ექსპერტიზის ჩართვა, შეიძლება შეიქმნას ხელმძღვანელთა ჯგუფი.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა შეიმუშაოს პროგრამების ხელმძღვანელებთან ერთად პროგრამების სილაბუსებში ტექნიკური და შინაარსობრივი ხარვეზების გამოვლენისა და აღმოფხვრის მექანიზმები.
- უნივერსიტეტმა უნდა დააწესოს რეკრუტირების რეგულაციები, როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალისთვის, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს იმას, თუ რამდენად შეესაბამება ერთმანეთს ის სფერო, რომელშიც პერსონალს აქვს დიპლომი, ან მათი კვლევის მიმართულება იმ კურსების შინაარსს, რომლებსაც ისინი როგორც პედაგოგები სთავაზობენ.
- უნივერსიტეტმა უნდა განიხილოს კონკრეტული მიზნების შეთავაზება, რომელთა მონიტორინგიც შესაძლებელია მოცემული პროგრამის შეჩერების ან დახურვის გადაწყვეტილებაში. გასათვალისწინებელია ის ზეგავლენა, რომელიც კურსის დახურვამ შეიძლება გამოიწვიოს მთელი კლასტერის სტრუქტურაზე და ფუნქციონირების პოტენციალზე.
- ვებგვერდი უნდა იყოს ზუსტი და თანმიმდევრული ენობრივ ვერსიებში, საჯარო ინფორმაცია ხშირად უნდა გადაიხედოს სანდოობისა და თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად.

*რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:*

- უნივერსიტეტმა შეიძლება მოისურვოს მეტი ყურადღება გაამახვილოს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების თანმიმდევრულობაზე, რათა მოხდეს პროგრესის შესაბამისი კონტროლი ერთი საფეხურიდან მეორეზე, საგნის თემისა და პერსპექტივების მრავალფეროვნების თვალსაზრისით.
- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების წარდგენისას, უნივერსიტეტს შეუძლია დააკავშიროს პროგრამის მიზნები კურსდამთავრებულთა თვისებებთან და კარიერულ პერსპექტივასთან, რაც გაზრდის პროგრამებით დაინტერესებას დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრს შორის და აქცენტი გაკეთდება შრომის ბაზრის შესაბამის მიმართულებებზე.
- პროგრამებმა შეიძლება უფრო ინტენსიურად გამოიყენოს სწავლის შედეგები, როგორც ფილტრი სწავლების, სწავლისა და შეფასების აქტივობების ხარისხისთვის, იმის განსაზღვრის პროცესში, საჭიროებს თუ არა ისინი გადახედვას, შეცვლას ან გაუმჯობესებას.
- უნივერსიტეტმა შეიძლება უფრო ფართოდ გამოიყენოს მონაცემთა ბაზა, რომელიც ამჟამად აგროვებს ძირითად პროგრამულ ცვლილებებს (ე.ი. საბჭოს მიერ დამტკიცებულ ცვლილებებს) და დაუშვას უფრო მცირე ცვლილებების აღრიცხვა, რათა მოხდეს კუმულაციური მცირე ცვლილებების მონიტორინგი და კონტროლი, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მთელ კლასტერზე.
- უნივერსიტეტმა შეიძლება განიხილოს თავისი ეთიკური კომიტეტის უფლებამოსილების გაფართოება კვლევის წინადადებების შესასწავლად (კლასტერის ყველა საფეხურზე) და გასცეს ეთიკური ნებართვები, რაც ხელს შეუწყობს გამოქვეყნების ინიციატივებს.
- უნივერსიტეტმა შეიძლება განიხილოს შეფასების მოდერაციის სისტემის ან ორმაგი მარკირება/შემოწმების სისტემის შემუშავება, რათა გააძლიეროს შეფასების კომპონენტების თანმიმდევრულობა და სამართლიანობა, გარდა გამოსაშვები შეფასებებისა, რომლებსაც ძირითადად ადგენს კომიტეტი.
- კლასტერმა შეიძლება მოიძიოს უწყვეტობის გარანტირების უფრო ინოვაციური გზები, სადაც ასოცირებული ან მოწვეული პერსონალი ასრულებს ხელმძღვანელის როლებს.
- უნივერსიტეტმა შეიძლება გამოიყენოს უფრო ჰოლისტური მიდგომა სამუშაო დატვირთვის გაანგარიშების მიმართ, სადაც მოთხოვნები არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ საკლასო ოთახში საკონტაქტო საათებით. მრავალი სხვა აქტივობა, რომელიც ხორციელდება დაწესებულების საკეთილდღეოდ, საჭიროებს რაოდენობრივ შეფასებას, მათ შორის CPD და ადმინისტრაციული სამუშაო.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შეუძლია განიხილოს, შეიძლება თუ არა კურსდამთავრებულთა გამოკითხვა მომგებიანი გახდეს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების შიდა ხარისხის უზრუნველყოფისთვის. ამის მიზეზი ისიცაა, რომ ერთი პროგრამის კურსდამთავრებულები შეიძლება გახდნენ შემდეგი საფეხურის პროგრამის სტუდენტები და მათ უფრო ფართო წარმოდგენა ექნებათ კლასტერის ფუნქციონირებაზე.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიძლება მოისურვოს დამსაქმებლების ჩართვა მრავალ წარმომადგენლობით საქმიანობაში და კონკრეტულად პროგრამებისა და კლასტერების განვითარებაში.

- კლასტერმა შეიძლება შეიმუშაოს ერთობლივი განვითარების/ტრენინგის სესიები ან კარგი პრაქტიკის გაზიარების აქტივობები, რომლებიც აერთიანებს პერსონალის ინდივიდუალური შეფასების დროს გამოვლენილ საჭიროებებს.
- საქართველოს უმაღლესი განათლების კონტექსტში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების მომწიფებასთან ერთად, უნივერსიტეტმა შეიძლება მოისურვოს მისი ხარისხის შიდა უზრუნველყოფის გამოყოფა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის შეფასებებისგან და შექმნას საკუთარი ციკლი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, რომელიც ნებისმიერი გარე პროცესისგან დამოუკიდებლად წარიმართება.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიძლება მოისურვოს გარე ექსპერტების გამოყენება პროგრამების რეგულარულად განსახილველად და არა მხოლოდ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მომზადების პროცესში.

**საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[3]**

- უნივერსიტეტი შექებას იმსახურებს ისეთი კლასტერის შექმნისთვის, რომელიც სტუდენტებს აძლევს საგანმანათლებლო შესაძლებლობებს სწავლის ყველა საფეხურზე იმავე საგნობრივ სფეროში და იმავე ინსტიტუციურ გარემოში.
- კლასტერი შექებას იმსახურებს მისი მოქნილი მიდგომისთვის, რომელიც უპირატესობას ანიჭებს სტუდენტის ინდივიდუალურ მუშაობას, ამავდროულად ყველა სტუდენტის შესაძლებლობების დესტაბილიზაციის გარეშე, რათა მიაღწიოს დადგენილ სასწავლო შედეგებს.
- უნივერსიტეტი შექებას იმსახურებს არგუსის პლატფორმის გამოყენებისთვის, რომელიც ეფექტურად უჭერს მხარს სწავლების, სწავლის, შეფასების გამოცდილებას და მასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ პროცესებს.
- კლასტერი შექებას იმსახურებს იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც სთავაზობს სტუდენტებს აკადემიური, ჯანმრთელობისა და კარიერული განვითარების კუთხით.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შექებას იმსახურებს იმისთვის, რომ ყურადღებით განიხილავს, თუ როგორ უნდა შეიცვალოს ან მორგებული იყოს ხარისხის პროცესები, რათა უზრუნველყოს კლასტერული მიდგომა.
- კლასტერი შექებას იმსახურებს იმ ხარისხისთვის, რომლითაც უნივერსიტეტის მიერ ხელშეკრულებით მოწვეული ექსპერტების მიერ ჩატარებული გარე შეფასებები ავსებს ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესებისთვის მზადებას. გარე შემფასებლები არიან როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ექსპერტები და მათ მიაჩნიათ, რომ კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები მნიშვნელოვანი და ინოვაციურია ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში, და მათში ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს ძლიერ კომპონენტს.

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

ჯგუფს სურს, მადლობა გადაუხადოს დაწესებულებას ანგარიშის პროექტის საპასუხოდ

[3] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციისთვის და ადასტურებს, რომ დაწესებულებამ დეტალურად განიხილა ყველა წამოჭრილი პუნქტი. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფი აფასებს მოწოდებულ პასუხს, მას არ შეუტანია რაიმე არსებითი ცვლილება არც რეკომენდაციებს და არც სტანდარტებთან შესაბამისობის დონის ნაწილში, თუ აღნიშნული არ ეხებოდა ფაქტობრივ უზუსტობებს. ჯგუფმა ეს გადაწყვეტილებები მიიღო აკრედიტაციის პროცესისა და დაწესებულებაში ჩატარებული ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით და დარწმუნებულია, რომ ამ გადაწყვეტილებებს შეუძლია სრულად დაეხმაროს დაწესებულებას ხარისხის უზრუნველყოფის წარმატებით განხორციელებაში.

ვინაიდან უნივერსიტეტმა აღნიშნა, ფაქტობრივი უზუსტობის არსებობს, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ საბაკალავრო დისერტაცია, ფაქტობრივად, სავალდებულოა ამ პროგრამის ყველა სტუდენტისთვის, 1.4 კომპონენტის მიხედვით, **ლიტერატურათმცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი) (საბაკალავრო დონე) პროგრამა 2**-თან მიმართებით წარმოდგენილი შემდეგი რეკომენდაცია წაიშალა: „პროგრამამ საბაკალავრო ნაშრომი უნდა გახადოს სავალდებულო, რადგან ეს არის მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას". თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს არ იყო აშკარად წარმოდგენილი დოკუმენტაციაში ან პერსონალთან და სტუდენტებთან გასაუბრებისას. როგორც ასეთი, მომავალში პროგრამის განმახორციელებლებმა შეიძლება მოისურვონ უფრო მკაფიოდ წარმოადგინონ პროგრამის სავალდებულო კომპონენტები.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ჯგუფმა აღნიშნა, რომ წინა აკრედიტაციის ვიზიტების რეკომენდაციები გათვალისწინებულია და პროგრესი შესამჩნევი იყო, როგორც ეს დეტალურადაა აღწერილი ქვემოთ მოცემულ თავებში.

**აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:**

**აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:**

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება[4]
2. კლასტერული შეფასება[5]

| სტანდარტი/კომპონენტი: | შეფასების მიდგომები: |
|---|---|
| **1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი პროგრამის შესაბამისობა** | |
| 1.1. პროგრამის მიზნები | კლასტერული და ინდივიდუალური |

[4] **შეფასების მიდგომები:** აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

[5] **შეფასების მიდგომები:** საჭიროების შემთხვევაში აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

| | |
|---|---|
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | კლასტერული |
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| **2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** | |
| 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | კლასტერული |
| 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები | კლასტერული |
| 2.4. სტუდენტის შეფასება | კლასტერული |
| **3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა** | |
| 3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები | კლასტერული |
| 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა | კლასტერული |
| **4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა** | |
| 4.1. ადამიანური რესურსები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | კლასტერული |
| 4.4. მატერიალური რესურსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | კლასტერული და ინდივიდუალური |
| **5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები** | |
| 5.1. შიდა ხარისხის შეფასება | კლასტერული |
| 5.2. გარე ხარისხის შეფასება; | კლასტერული |

| | |
|---|---|
| 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | კლასტერული |

## III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა |
|---|
| პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად. |
| 1.1 პროგრამის მიზნები |
| პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური კლასტერის თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილია შემდეგი პროგრამები:

1. ქართული ფილოლოგია (ძირითადი და დამატებით) (ბაკალავრიატი);

2. ლიტერატურათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი) (ბაკალავრიატი);

3. შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა  (მაგისტრატურა);

4. გამოყენებითი ენათმეცნიერება (მაგისტრატურა);

5. ლინგვისტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა (დოქტორანტურა)

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების მიზნები განსხვავდება ერთმანეთისგან დარგის სპეციფიკისა და საფეხურის მიხედვით, თუმცა კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების საერთო მიზნებია ფილოლოგიის სფეროში ცოდნის შექმნა, გადაცემა და გამოყენება მეცნიერების განვითარების მიზნით. პანელმა დაადგინა, რომ კლასტერში პროგრამების მიზნები შეესაბამება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სტრატეგიას, რომელიც ხაზს უსვამს კვალიფიციური, ეთიკური და კონკურენტუნარიანი პროფესიონალების მომზადებას, რომლებიც ასევე ცოდნასა და ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების აქტიური წევრები არიან.

ფილოლოგიის კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები იყოფა ორ ძირითად მიმართულებად: ლინგვისტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა. პროგრამები შემოთავაზებულია უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა, თანმიმდევრობით, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას გადავიდნენ ერთი საფეხურიდან მეორეზე იმავე ინსტიტუციურ გარემოში.  ეს შეიძლება ხელსაყრელი იყოს სტუდენტებისთვის, რადგან ის იძლევა უწყვეტობისა და ფამილიარობის საშუალებას; თუმცა, ის ასევე უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს კლასტერს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ნებისმიერი გადაფარვის თავიდან აცილება და სადაც საგანი მეორდება, მისი ანალიზის სიღრმე უნდა

შეესაბამებოდეს სტუდენტების დონეს და მოლოდინებს. ეს გულისხმობს კლასტერში დაჯგუფებულ ხუთ პროგრამას შორის თანამშრომლობის გაზრდას, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ ისინი ნამდვილად მუშაობენ უნისონში და სტუდენტებს შეუძლიათ თითოეულ შესაბამის საფეხურზე სწავლის მაქსიმალური შედეგი მიიღონ. ეს ასევე ნიშნავს, რომ უნდა არსებობდეს საკმარისი განსხვავება როგორც შინაარსში, ასევე პედაგოგიურ პერსონალში, რათა ხაზი გაესვას პერსპექტივების მრავალფეროვნებას და განსხვავებული მიმართულებების ხელშეწყობას. სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანია მრავალფეროვნება, რათა მათ შეძლონ კლასტერში დაჯგუფებული საგნების ყოვლისმომცველი მიმოხილვა.

ფილოლოგიის კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების მიზნები არის რეალისტური, მკაფიოდ განსაზღვრული და მიღწევადი და შეესაბამება პროგრამის ორიენტაციას და სწავლების საფეხურებს.

პროგრამის მიზნების გაგებისა და შედეგების გასაუმჯობესებლად, ჯგუფი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა დააკავშიროს მიზნები კურსდამთავრებულთა სავარაუდო თვისებებთან და მოსალოდნელ კარიერულ პერსპექტივებთან. ეს საშუალებას მისცემს პოტენციურ და არსებულ სტუდენტებს უკეთ მიიღონ პროგრამის უპირატესობები და შექმნან უფრო ძლიერი კავშირი შრომის ბაზართან, რაც, სავარაუდოდ, ზოგიერთი დაინტერესებული მხარის თვალში, ფილოლოგიის სფეროდან მოწყვეტილი ჩანს. ფაქტობრივად, ჯგუფს მიაჩნია, რომ რეალობა მიუთითებს მრავალ სამუშაო როლზე, რომლებიც კარგად არის შედგენილი და ეფექტურად იყენებს ფილოლოგიის კურსდამთავრებულთა თვისებებს და მათი დაზუსტება საბოლოო, საჯარო კლასტერული დოკუმენტაციის სახით ძალიან მომგებიანი იქნება უნივერსიტეტისთვის.

**პროგრამა 1 ქართული ფილოლოგია (ძირითადი და დამატებითი) (ბაკალავრიატი)**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტებს მისცეს ფართო თეორიული ცოდნა ქართული ენის ფონეტიკა-ფონოლოგიაში, მორფოლოგიასა და სინტაქსში, განუვითაროს ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლების, პრინციპებისა და საბაზისო თეორიების სინთეზისა და ანალიზის უნარები და მიმართულება მისცეს ტერმინოლოგიის დარგში.

პროგრამის მიზნები ასახავს იმ ძირითად საკითხებს, რომლებიც მნიშვნელოვანია ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისთვის. ხაზგასმულია ქართული და კავკასიური კონტექსტიც. აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია, რადგან ქართული ფილოლოგია მჭიდროდ არის დაკავშირებული როგორც ზოგად ფილოლოგიურ, ასევე რეგიონულ კავკასიურ კონტექსტთან.

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ისწავლება ქართული ენისა და ლიტერატურის კურსები, აგრეთვე ზოგადი ენათმეცნიერების და ლიტერატურათმცოდნეობის კურსები და მათთან დაკავშირებული სხვა კურსები. ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნები შეესაბამება ქართული ფილოლოგიის უმაღლეს დარგობრივ მახასიათებელს, არის რეალისტური და მიღწევადი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამის აღწერა;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია: http://iliauni.edu.ge/ge/iliauni/mission
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტის სტრატეგია 2018-2024 წლებისთვის;
- პროგრამის გარე შეფასების დოკუმენტები;
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

**პროგრამა 2 ლიტერატურათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი) (ბაკალავრიატი)**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამა „ლიტერატურათმცოდნეობა" მიზნად ისახავს ლიტერატურათმცოდნეობის სფეროში კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადებას, რომელიც აღჭურვილი იქნება ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის ფართო ცოდნით და შეძლებს ლიტერატურული ნაწარმოებების გაანალიზებას და ინტერპრეტაციას მათი ჟანრის, ეპოქის და ესთეტიკური თავისებურებების გათვალისწინებით.

ლიტერატურათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას შეისწავლოს ლიტერატურული ტექსტები უფრო ფართო კულტურულ, ისტორიულ და სოციალურ კონტექსტში. მისი მიზანია მოამზადოს ლიტერატურათმცოდნეობის დარგში კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელიც აღჭურვილი იქნება ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის ფართო ცოდნით და შეძლებს ლიტერატურული ნაწარმოებების გაანალიზებას და ინტერპრეტაციას მათი ჟანრის, ეპოქისა და ესთეტიკური მახასიათებლების გათვალისწინებით.

პროგრამა შემუშავებულია რამდენიმე ევროპული პროგრამის მიზნებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, რომლის მიხედვითაც ლიტერატურა კულტურისა და ხელოვნების მხრივ მდიდარ გამოცდილებად ითვლება.

პროგრამის შემუშავების ძირითადი მიმართულებაა ძველი, ევროპული და ქართული ლიტერატურის შესწავლა. ასევე, ლიტერატურული ტექსტების ანალიზი და ინტერპრეტაცია.

პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის განსაზღვრული, რეალისტური და მიღწევადი, შეესაბამება როგორც უნივერსიტეტის, ასევე ფაკულტეტის მისიასა და სტრატეგიას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამის აღწერა;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია: http://iliauni.edu.ge/ge/iliauni/mission
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტის სტრატეგია 2018-2024 წლებისთვის;
- პროგრამის გარე შეფასების დოკუმენტები;
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

**პროგრამა 3 შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა (მაგისტრატურა)**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის“ პროგრამა მიზნად ისახავს შეისწავლოს ლიტერატურა, როგორც კულტურული და ღირებული სისტემების წარმოდგენის ერთ-ერთი მთავარი საშუალება და დააკვირდეს ლიტერატურას როგორც ეროვნულ, ისე ფართო ინტერკულტურულ და გლობალურ/ტრანსკულტურულ კონტექსტში, რაც, ერთის მხრივ, ხელს უწყობს უცხო კულტურის გაგებას, ხოლო მეორე მხრივ, მათი კულტურის ერთიან მსოფლიო კულტურულ კონტექსტში გაგების წინაპირობაა.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან შედარებითი ლიტერატურის კვლევის მიდგომებსა და მეთოდებს და გამოიყენებენ მათ სფეროში არსებული აქტუალური საკითხების/პრობლემების შესასწავლად ინტერდისციპლინურ და ინტერკულტურულ პერსპექტივაში; ისინი გაიღრმავებენ ცოდნას მსოფლიო ლიტერატურის მნიშვნელოვანი ისტორიული ეტაპებისა და უახლესი ტენდენციების შესახებ და გაიაზრებენ მათ კავშირს სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტებთან და ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივ პარადიგმებთან; ისინი შეისწავლიან ქართული ლიტერატურის თემატურ, იმაგოლოგიურ, სტრუქტურულ, ეპოქალურ, ჟანრულ და ესთეტიკურ ასპექტებს მსოფლიო ლიტერატურის ტენდენციებთან მიმართებაში; ისინი გააუმჯობესებენ აკადემიური კომუნიკაციის უნარებს კვლევითი ნაშრომის შექმნით და სამეცნიერო საზოგადოებისთვის წარდგენით.

თვითშეფასების ანგარიში აღნიშნავს, რომ პროგრამის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან შედარებითი ლიტერატურის კვლევის მიდგომებსა და მეთოდებს და გამოიყენებენ მათ სფეროში არსებული აქტუალური საკითხების/პრობლემების შესასწავლად ინტერდისციპლინურ და ინტერკულტურულ პერსპექტივაში; ისინი გაიღრმავებენ ცოდნას მსოფლიო ლიტერატურის მნიშვნელოვანი ისტორიული ეტაპებისა და უახლესი ტენდენციების შესახებ და გაიაზრებენ მათ კავშირს სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტებთან და ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივ პარადიგმებთან; შეისწავლიან ქართული ლიტერატურის თემატურ, იმაგოლოგიურ, სტრუქტურულ, ეპოქალურ, ჟანრულ და ესთეტიკურ ასპექტებს მსოფლიო ლიტერატურის ტენდენციებთან მიმართებაში; გააუმჯობესებენ აკადემიური კომუნიკაციის უნარებს კვლევითი ნაშრომის შექმნით და სამეცნიერო საზოგადოებისთვის წარდგენით. პანელს მიაჩნია, რომ ეს არის შესაბამისი პროგრამისთვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამის აღწერა;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია: http://iliauni.edu.ge/ge/iliauni/mission
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტის სტრატეგია 2018-2024 წლებისთვის;
- პროგრამის გარე შეფასების დოკუმენტები;
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

პროგრამა 4 გამოყენებითი ლინგვისტიკა (მაგისტრატურა)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი ლინგვისტიკის" სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტს მიაწოდოს ღრმა და სისტემატური ცოდნა გამოყენებითი ლინგვისტიკის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შესახებ, ასევე ასწავლოს სტუდენტს ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის საკითხები ენის ტიპოლოგიისა და უნივერსალიების თვალსაზრისით. ლინგვისტიკის სასწავლო თეორიულ საკითხებთან ერთად, პროგრამა ითვალისწინებს ანალიტიკური მასალისთვის სტუდენტებში ენის დოკუმენტირებისა და კომპიუტერული დამუშავების უნარ-ჩვევების განვითარებას.

პროგრამა ითვალისწინებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მომიჯნავე პროგრამებიდან სასწავლო კურსების ჩართვას, როგორიცაა ანგლისტიკა, რომანისტიკა, გერმანისტიკა, ფილოსოფია და ა.შ.  ეს ხელს უწყობს სწავლებასა და კვლევას ინტერკულტურული და ინტერდისციპლინური კომპონენტებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის აღწერა;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია: http://iliauni.edu.ge/ge/iliauni/mission
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტის სტრატეგია 2018-2024 წლებისთვის;
- პროგრამის გარე შეფასების დოკუმენტები;
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

პროგრამა 5 ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა (დოქტორანტურა)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამა „ლინგვისტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა“ მიზნად ისახავს შექმნას სამეცნიერო ცოდნა ლინგვისტური, ტექსტუალური და დისკურსიული ფორმირების ეროვნული, ინტერკულტურული და ტრანსკულტურული ასპექტების შესახებ, თანამედროვე დასავლური სამეცნიერო მიდგომებისა და მეთოდების გამოყენებით.

ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა ემსახურება ახალგაზრდა მკვლევარებში სამეცნიერო კვლევისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას უახლესი თეორიული და მეთოდოლოგიური ცოდნის, მიდგომებისა და პრინციპების საფუძველზე და მიზნად ისახავს მოამზადოს კურსდამთავრებულები, რომლებიც:  შეძლებენ პროგრამის ერთ-ერთ კვლევით მიმართულებაში ახალი ცოდნის გენერირებას, რითაც ხელს შეუწყობენ ენათმეცნიერების ან ლიტერატურათმცოდნეობის დარგების განვითარებას; დამოუკიდებლად დაგეგმავენ ენობრივ ან/და ლიტერატურულ კვლევას, შეარჩევენ შესაბამის მეთოდოლოგიას, შეადგენენ  ბიბლიოგრაფიას და ჩაატარებენ კვლევას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით; შექმნიან სათანადო ფორმის ორიგინალურ სამეცნიერო ნაშრომს, რომელიც ხელს შეუწყობს დარგის

განვითარებას; გააზიარებენ თავიანთ ცოდნას საერთაშორისო რეცენზირებადი პუბლიკაციების დონეზე; მოემზადებიან წარმატებული კარიერის გასაგრძელებლად აკადემიურ სფეროში ან მის ფარგლებს გარეთ.

დოქტორანტები დაეყრდნობიან ლინგვისტიკის ან ლიტერატურათმცოდნეობის ზოგიერთი კვლევითი სფეროს უახლეს თეორიულ მიღწევებს (პრაგმალინგვისტიკა, ლინგვისტური სემანტიკა, სოციოლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა, ტექსტის ლინგვისტიკა, დისკურსის ლინგვისტიკა, კორპუს ლინგვისტიკა, გამოთვლითი ფილოლოგია, სტრუქტურალისტური და პოსტ-სტრუქტურალისტური ლიტერატურათმცოდმნეობა, ფსიქოანალიტიკური ლიტერატურათმცოდმნეობა, ფემინისტური და გენდერული ლიტერატურათმცოდნეობა, კულტურული და პოსტკოლონიალური ლიტერატურათმცოდნეობა, ემპირიული და შემეცნებითი ლიტერატურის კვლევები და სხვა) და ამ მიზნის მისაღწევად ჩაატარებენ ორიგინალურ კვლევას დიაქრონიულ, სინქრონულ და ინტერკულტურულ კონტექსტში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამის აღწერა
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია: http://iliauni.edu.ge/ge/iliauni/mission
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტის სტრატეგია 2018-2024 წლებისთვის;
- პროგრამის გარე შეფასების დოკუმენტები;
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

- არ გამოიკვეთა

**კლასტერის საერთო რჩევები:**

- უნივერსიტეტმა შეიძლება მოისურვოს მეტი ყურადღება გაამახვილოს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების თანმიმდევრულობაზე, რათა მოხდეს პროგრესის შესაბამისი კონტროლი ერთი საფეხურიდან მეორეზე, საგნის თემისა და პერსპექტივების მრავალფეროვნების თვალსაზრისით.
- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების წარდგენისას, უნივერსიტეტს შეუძლია დააკავშიროს პროგრამის მიზნები კურსდამთავრებულთა თვისებებთან და კარიერულ პერსპექტივასთან, რაც გაზრდის პროგრამებით დაინტერესებას დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრს შორის და აქცენტი გაკეთდება შრომის ბაზრის შესაბამის მიმართულებებზე.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

ცალკეულ პროგრამებისთვის არ არის ჩამოყალიბებული რეკომენდაციები ან რჩევები.

შეფასება

| კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები | შესაბამისობა შია მოთხოვნებთ ან | მეტწილად შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 ქართული ფილოლოგია (ძირითადი და დამატებითი) (ბაკალავრიატი); | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 ლიტერატურათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი) (ბაკალავრიატი); | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა (მაგისტრატურა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 გამოყენებითი ლინგვისტიკა (მაგისტრატურა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა (დოქტორანტურა) | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სასწავლო დარგის სპეციფიკასთან.

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;

ფილოლოგიის კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სწავლის შედეგები მოიცავს ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სწავლის შედეგებს და შეესაბამება პროგრამების მიზნებს, უნივერსიტეტის მისიას, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. გარდა ამისა, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა შეესაბამება ქართული ფილოლოგიის უმაღლეს დარგობრივ მახასიათებელს. კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების მონახაზი და სტრუქტურა და მათი ყველა კომპონენტის ერთიანობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის ყველა შედეგის მიღწევას, რასაც ადასტურებს პროგრამის სწავლის შედეგების რუკა. ჯგუფი მიიჩნევს, რომ სწავლის შედეგები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია.

ასევე მომზადდა კომპეტენციების რუკები და უნივერსიტეტმა მიუთითა, რომ მიიღო სტრატეგიული გადაწყვეტილება, წარმოადგინოს სწავლის შედეგები კომპეტენციის საზომად და არა დააჯგუფოს ისინი ბოლონიის რეკომენდაციების შესაბამისად, როგორც ცოდნა და გაგება, უნარები, ღირებულებები და დამოკიდებულებები. ვინაიდან სასარგებლო შეიძლება იყოს სამიზნე აუდიტორიისთვის იმ კომპეტენციების უფრო ცალსახად გადაცემა, რომლებიც მათ უნდა ჰქონდეთ სწავლის დამთავრების შემდეგ, ჯგუფმა უნდა გაითვალისწინოს, რომ არსებობს უნივერსიტეტში შედარებისა და თავსებადობის რისკი. კერძოდ, სწავლის შედეგები და მათი ბოლონიის მიხედვით სტრუქტურირება წარმოადგენს ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ეფექტური ტრანსფერულობის ინსტრუმენტს და ემსახურება გაზრდილი მობილობისა და გამარტივებული აღიარების მიზნებს ევროპის უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო სისტემებში. სტანდარტული სტრუქტურირებიდან დაშორების გადაწყვეტილებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ტრანსფერულობაზე და უნივერსიტეტის სტუდენტების მობილობასა და აღიარებაზე. ჯგუფს მიაჩნია, რომ თუ კურსდამთავრებულთა მახასიათებლები ჩამოყალიბდება და მკაფიოდ გამოიკვეთება კურსდამთავრებულთათვის ხელმისაწვდომი პერსპექტიული შრომის ბაზრის პროფილები, უფრო მეტი აქცენტი შეიძლება გაკეთდეს კომპეტენციაზე დაფუძნებულ მიდგომებზე, ეს მიუთითებს იმაზე, რომ პროგრამები და კლასტერი აქტიურად განიხილავენ, თუ როგორ შეიძლება განხორციელდეს შრომის ბაზრის წარმატებული ჩართულობა და ცალსახად მოუწოდებენ თავიანთ სტუდენტებს მიმზიდველი როლებისკენ, რომლებიც შეიძლება გამოჩნდეს შრომის ბაზარზე. იმის გამო, რომ დასაქმება პრიორიტეტულია ნებისმიერი პროგრამისთვის, რომელიც ექვემდებარება EHEA-ს, კლასტერის ასეთმა მიდგომამ ასევე შეიძლება გამოიწვიოს დასაქმების ვარიანტების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა. ეს შეიძლება დაერთოს სასწავლო გეგმის კომპონენტებს, რომლებიც ხაზს უსვამს დასაქმების შესაძლებლობას და შრომის ბაზრის პროგნოზებს.

ჯგუფმა დააფიქსირა, რომ ვებგვერდზე ინგლისურენოვანი ვერსიები არ ასახავს თვითშეფასების ანგარიშის აღწერილობებს და რომ სწავლის შედეგები არ არის გამოხატული თანმიმდევრულად; მაგალითად, ქართული ფილოლოგიის პროგრამაში ჩამოთვლილია ის ელემენტები, რომლებსაც სტუდენტი ისწავლის და გამოყენებულია სახელობითი გამოთქმები მათ დასაფიქსირებლად; კურსის დასრულების შემდეგ მიღწეული უნარები ლიტერატურათმცოდნეობის ბაკალავრიატში გამოიხატება ზმნებით; სამაგისტრო პროგრამებზე არ არის წარმოდგენილი სწავლის შედეგები, ხოლო სადოქტორო პროგრამაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია.

გარდა ამისა, ბაკალავრიატის პროგრამებისთვის ჩამოთვლილ სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, ჯგუფმა აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების ჩამონათვალში წარმოდგენილი ყველა ქმედება არ ისახავს მიზნად მაღალი დონის აზროვნებას, რომელიც შეესაბამება მე-6 და უფრო მაღალ საფეხურს, როგორც ეს განსაზღვრულია ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და დუბლინის აღმწერებით.

სწავლის შედეგების შეუსაბამობამ შეძლება დაბნეულობა გამოიწვიოს სტუდენტებსა და სხვა გარე დაინტერესებულ მხარეებს შორის. ის ფაქტი, რომ „სწავლის შედეგების“

ტერმინოლოგია გამოიყენება სხვადასხვა მიდგომების აღსაწერად და მათი ფორმულირება შეუდარებელია, მთლიანობაში საფრთხეს უქმნის პროგრამას: (1) დაშვების პროცესს, რადგან სტუდენტებს შეიძლება არ ესმოდეთ, თუ რისი მიღწევა მოეთხოვებათ მათ კურსის დასრულების შემდეგ;

(2) სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესს, რადგანაც საჭიროა კურიკულუმის შინაარსის შესაბამისობაში მოყვანა სწავლის მოსალოდნელ შედეგებთან; (3) სწავლებისა და სწავლის პროცესს, რადგან საკლასო ინტერაქციამ უნდა უზრუნველყოს, რომ ყოველი აქტივობით სტუდენტი ერთი ნაბიჯით უახლოვდება სწავლის შედეგებს; და (4) შეფასებას, რადგან დავალებები უნდა იყოს შედგენილი ისე, რომ სწავლის შედეგების დემონსტრირება მოხდეს.

ჯგუფს მიაჩნია, რომ კლასტერის უპირატესობაა, რომ აქვს ერთიანი მიდგომა სწავლის შედეგების ფორმულირებასა და განხორციელებასთან დაკავშირებით.

პროგრამა 1 ქართული ფილოლოგია (ძირითადი და დამატებითი) (ბაკალავრიატი)

თვითშეფასების ანგარიში მიუთითებს, რომ ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ცხრა პუნქტისგან შედგება. პროგრამა ეფუძნება და ითვალისწინებს უმაღლესი განათლების ქართული ფილოლოგიის დარგობრივ მახასიათებლებს. პროგრამა მოიცავს ორ მიმართულებას: ქართული ენათმეცნიერება და ქართული ლიტერატურა. პროგრამა ორიენტირებულია ქართული ფილოლოგიის საბაზისო ცოდნის გადაცემაზე. პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს ქართული ენის სტრუქტურისა და ფუნქციონირების საკითხებს, ენათმეცნიერების საბაზისო თეორიებს, ფონეტიკა-ფონოლოგიის, მორფოლოგიისა და სინტაქსის ცოდნას, ლიტერატურათმცოდნეობის საკითხებს, ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის სწავლების საკითხებს, ლიტერატურული ტექსტების კითხვისა და ანალიზის უნარ-ჩვევებს, კავშირს მსოფლიო ლიტერატურის ეპოქებისა და ქართულ ლიტერატურას შორის, ლიტერატურული ტექსტის ანალიზს ტოლერანტობის პრინციპებზე დაყრდნობით.

ვებგვერდზე სწავლის შედეგების სახით შემდეგი არის ჩამოთვლილი: ლინგვისტიკის საფუძვლები, პრინციპები და ძირითადი თეორიები; ქართული ენის მორფოლოგიის, სინტაქსისა და წინადადების მორფოლოგიურ-სინტაქსური სტრუქტურა; ენობრივი ფორმების მნიშვნელობა (სემანტიკა) და გამოყენება (პრაგმატიკა); ენის განვითარების ისტორია; ენის სწავლებასთან და ენობრივი მასალის შეგროვებასა და დამუშავებასთან დაკავშირებული კომპიუტერული პროგრამები, შესაბამისი კურსების არჩევისას; ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები და პრინციპები; ძირითადი ლიტერატურული თეორიები; ქართული ლიტერატურის თეორია; ქართული კულტურული ეროვნული კონტექსტი; ტექსტების ტიპებისა და ენობრივი ვარიაციების განსაზღვრა; ენობრივი წარმონაქმნების (ტექსტი, დისკურსი) და ლექსიკური ერთეულების (ლექსიკური მარაგი) ენობრივი ანალიზი; ტექსტის რედაქტირება; შესაბამისი კურსების არჩევის შემთხვევაში სპეციალური ტექნოლოგიების გამოყენებით ენობრივი მონაცემების შეგროვება და დამუშავება; აუდიოჩანაწერების შექმნა და მათი ანოტაცია დაწყებით საფეხურზე შესაბამისი კურსების არჩევის შემთხვევაში; შესაბამისი კურსების არჩევის შემთხვევაში ელემენტარული ენობრივი სტრუქტურის შექმნა; კრიტიკული, თვითრეფლექსიური

მიდგომა ქართული ლიტერატურისა და კულტურის ისტორიისადმი; საბაზისო დონეზე საფუძვლიანი, ლოგიკური, დამაჯერებელი და მნიშვნელოვანი აკადემიური ნაშრომის შექმნა; ურთიერთობა ლიტერატურასა და დისკურსს შორის.

ჯგუფს სურს აღნიშნოს სამი მნიშვნელოვანი საკითხი: (1) მათი ფორმულირება არ შეესაბამება არც ბოლონიის მოთხოვნებს და არც კომპეტენციის მოდელს. სახელადი ფორმების გამოყენების გამო შესაძლოა სტუდენტებმა იფიქრონ, რომ ყურადღება გამახვილებულია ცოდნაზე, უნარების მცირე ელემენტებით; (2) არის რამდენიმე შემთხვევა, როდესაც აღნიშნულია „შესაბამისი კურსების არჩევის შემთხვევაში“, ეს პრობლემურია, რადგან სწავლის შედეგები ისე უნდა იყოს შემუშავებული, რომ ყველა სტუდენტმა უნდა დააკმაყოფილოს ისინი საკუთარი ინდივიდუალური მუშაობის მიუხედავად; სწავლის შედეგები არის კვალიფიკაციის საზომი, რომელსაც ყველა სტუდენტი იღებს პროგრამის დასასრულს და შესაბამისად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, ხოლო არჩევითი საგნები თამაშობენ დამატებით როლს უფრო ფართო სწავლის შედეგის მისაღწევად; (3) დუბლინის დესკრიპტორის მიხედვით, მე-6 საფეხურის კვალიფიკაციები ფოკუსირებულია კრიტიკულ აზროვნებასა და მაღალი დონის ანალიზზე, ეს ნიშნავს, რომ „აღწერე, ჩამოთვალე ან წარადგინე“ მიეკუთვნება აზროვნების უფრო დაბალ ხარისხს ბლუმსის ტაქსონომიის მიხედვით და გამოყენებული იქნება ქვედა დონის კვალიფიკაციებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამის მიზნების რუკა;
- სწავლის შედეგების რუქა;
- დარგის ექსპერტების მიერ პროგრამების გარე შეფასებები;
- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის ანგარიშები;
- პოტენციურ დამსაქმებლებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფების ანგარიშები;
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

პროგრამა 2 ლიტერატურათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი) (ბაკალავრიატი)

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, საბაკალავრო პროგრამა ლიტერატურათმცოდნეობაში შედგება შვიდი სწავლის შედეგისგან და აღწერს მათ, რათა აქცენტი გააკეთოს ლიტერატურული პრინციპებისა და კონცეფციების ძირითად ცნებებზე; ლიტერატურულ ოჯახებსა და ჟანრების თავისებურებებზე; ლიტერატურის ისტორიის ეპოქებსა და ტენდენციებზე; ლიტერატურული ნაწარმოების კავშირზე შესაბამის ისტორიულ, ინტელექტუალურ და კულტურულ კონტექსტებთან; ლიტერატურული ნაწარმოების ანალიზსა და ინტერპრეტაციაზე მისი ჟანრული, ეპოქალური და ესთეტიკური მახასიათებლების გათვალისწინებით.

ვებგვერდზე, თუმცა, ჩამოთვლილია რვა პუნქტი (ბოლო ორი პუნქტი ერთი პუნქტის ქვეშ) და ესენია: ლიტერატურათმცოდნეობის ძირითადი ცნებების, პრინციპებისა და კონცეფციების ახსნა; ლიტერატურული ოჯახებისა და ჟანრების ესთეტიკური და

სტრუქტურული თავისებურებების აღწერა; ლიტერატურული ნაწარმოებების ანალიზი და ინტერპრეტაცია; ერთი ან რამდენიმე ქვეყნის ან/და ეპოქის ლიტერატურის მნიშვნელოვანი წარმომადგენლების ჩამოთვლა და მათი პარადიგმული ნაწარმოებების სიუჟეტი/თემის გადმოცემა; ლიტერატურული ნაწარმოებების დაკავშირება შესაბამის ისტორიულ, ინტელექტუალურ, კულტურულ კონტექსტთან; ქართული ლიტერატურის ადგილისა და მნიშვნელობის განსაზღვრა ევროპული და მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში; ლიტერატურული ნაწარმოების მნიშვნელობისა და ღირებულების შეფასება; კვლევითი პროექტის განხორციელება მინიმალური ხელმძღვანელობით სფეროში გამოყენებული მიდგომებისა და პრინციპების გამოყენებით ლიტერატურათმცოდნეობის აქტუალურ საკითხზე/პრობლემაზე; მიღებული მონაცემების ინტერპრეტაციისა და ეფექტური პრეზენტაციის გაკეთების უნარი.

ვინაიდან, ზოგადად რომ ვთქვათ, ეს მოიცავს ასეთი პროგრამისგან მოსალოდნელ შინაარსს, ეს სწავლის შედეგები ფორმულირებულია ზმნების გამოყენებით, რათა დადგინდეს, თუ რა ტიპის მოქმედებების შესრულებას შეძლებენ კურსდამთავრებულები დასრულების შემდეგ და ზოგიერთი ზმნა მიუთითებს განათლების დაბალ საფეხურს, სადაც „აღწერა“, „ჩამოთვლა“, „დაკავშირება“ (ანუ იდენტიფიცირება) ასოცირდება მე-6 საფეხურზე უფრო დაბალ სწავლის შედეგებთან. ეს შეიძლება მოიძებნოს კურსის სწავლის შედეგებში, სადაც შინაარსი პროგრესირებს, მაგრამ ამ პროგრამის საფეხურზე უფრო მოსალოდნელია, რომ ისინი შეიცვალოს გამოყენებით, კრიტიკულობით, შეფასებითი შესაძლებლობებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის მიზნების რუკა;
- სწავლის შედეგების რუქა;
- დარგის ექსპერტების მიერ პროგრამების გარე შეფასებები;
- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის ანგარიშები;
- პოტენციურ დამსაქმებლებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფების ანგარიშები;
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

პროგრამა 3 შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა (მაგისტრატურა)

შედარებითი ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები ოთხი პუნქტისგან შედგება. სწავლის შედეგებში ასახულია ზოგადი და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ძირითადი თეორიული მოდელები და ცნებები, აგრეთვე მათი გამოყენების უნარები ნაწარმოების ანალიზში. პროგრამის სწავლის შედეგები ასახავს ქართული ლიტერატურის თემატური, იმაგოლოგიური, სტრუქტურული, ჟანრული და ესთეტიკური ასპექტების დამოუკიდებელ კვლევას მსოფლიო ლიტერატურის ტენდენციებთან მიმართებაში, ლიტერატურული ტექსტის კრიტიკულად წაკითხვისა და მასში დასმული ეთიკური საკითხების ამოცნობის უნარს.

თუმცა, სწავლის ერთ-ერთი შედეგი გამოიხატება შემდეგნაირად: „აღწერს და

გადმოსცემს ზოგადი და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ძირითად თეორიულ მოდელებსა და ცნებებს და იყენებს მათ ლიტერატურული ტექსტების შედარებით ანალიზში“, აღწერილობისა და გადმოცემის ელემენტებით, რაც გვთავაზობს დამახსოვრებას, გახსენებას და შესაძლოა სისტემატიზაციას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის მიზნების რუკა;
- სწავლის შედეგების რუკა;
- დარგის ექსპერტების მიერ პროგრამების გარე შეფასებები;
- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის ანგარიშები;
- პოტენციურ დამსაქმებლებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფების ანგარიშები;
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.

პროგრამა 4 გამოყენებითი ლინგვისტიკა (მაგისტრატურა)

გამოყენებითი ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები ეფუძნება ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის ლინგვისტურ ნაწილს. თვითშეფასების ანგარიში მიუთითებს, რომ პროგრამა შედგება შვიდი სწავლის შედეგისგან, რომელიც მოიცავს თეორიულ საკითხებს და ასევე ლინგვისტიკის გამოყენებით ასპექტს; ქართული და სხვა ენების მორფოლოგიისა და სინტაქსის ანალიზი შეისწავლება ენის ტიპოლოგიისა და ლინგვისტური უნივერსალიების თვალსაზრისით; კურსდამთავრებულს შეუძლია განიხილოს ისეთი ასპექტები, როგორიცაა ენის ვარიაცია, ენის შეცვლა სინქრონული და დიაქრონიული პერსპექტივით, ასევე შეაგროვოს და დაამუშავოს ანალიტიკური მასალა, განსაზღვროს და გამოიყენოს საველე სამუშაოები და სხვა მეთოდები.

პროგრამის სწავლის შედეგების დადგენისას გათვალისწინებული იქნა დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები, რის შედეგადაც გაძლიერდა პროგრამის პრაქტიკული ნაწილი. გამოყენებულ ფორმულირებებში პრივილეგირებულია უნარების ელემენტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის მიზნების რუკა;
- სწავლის შედეგების რუკა;
- დარგის ექსპერტების მიერ პროგრამების გარე შეფასებები;
- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის ანგარიშები;
- პოტენციურ დამსაქმებლებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფების ანგარიშები;
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

პროგრამა 5 ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა (დოქტორანტურა)

თვითშეფასების ანგარიში მიუთითებს, რომ სადოქტორო პროგრამა „ლინგვისტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა" მოიცავს შვიდ სწავლის შედეგს, რომლებიც მოიცავს ისეთი კომპეტენციების განვითარებას, როგორიცაა: ორიგინალური კვლევის დამოუკიდებელი დაგეგმვა და განხორციელება ლინგვისტიკის და/ან ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთი თეორიული ან/და გამოყენებითი კვლევის მიმართულებით, უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ცოდნით, ინოვაციური მეთოდების გამოყენებით და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით; წვლილის შეტანა დარგობრივი ცოდნისა და პროფესიული პრაქტიკის განვითარებაში ლინგვისტიკასა და/ან ლიტერატურულ კვლევებში, როგორც კვლევის შედეგების გაზიარებით საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციის დონეზე, ასევე ცოდნის აუდიტორიაში გადაცემით, კვლევის გაზიარების მიზნით; მონაწილეობა ადგილობრივ და/ ან საერთაშორისო თემატურ კონფერენციებში, სამუშაო შეხვედრებსა და სხვა შეხვედრებში; სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება რეცენზირებად ჟურნალებში; დარგობრივი ცოდნისა და პროფესიული პრაქტიკის განვითარების ხელშეწყობა ენათმეცნიერებაში ან/და ლიტერატურათმცოდნეობაში ცოდნის გადაცემის გზით სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.

თუმცა, მტკიცებულებაში „მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა" ჩამოთვლია სადოქტორო პროგრამის 5 სწავლის შედეგი, რომლებიც ფოკუსირებულია „უნარის" აღმნიშვნელ ვერბალურ ფორმულირებებზე, რომლებიც მიუთითებს ცოდნასა და ქცევის ელემენტებზე, მაგრამ არ აყალიბებს მათ, როგორც ასეთს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- პროგრამის მიზნების რუკა;
- სწავლის შედეგების რუქა;
- დარგის ექსპერტების მიერ პროგრამების გარე შეფასებები;
- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის ანგარიშები;
- პოტენციურ დამსაქმებლებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფების ანგარიშები;
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

- პროგრამებში უნდა გადაიხედოს სწავლის შედეგები და მათი ფორმულირება ბოლონიის ინსტრუმენტების შესაბამისი უნდა იყოს, ასევე ყველა შედეგი უნდა შეესაბამებოდეს შესაბამისი განათლების საფეხურს.
- პროგრამებმა მკაფიოდ უნდა წარმოაჩინოს ვებგვერდზე სწავლის შედეგები და უზრუნველყოს, რომ ის, რაც საჯაროდ არის ხელმისაწვდომი, ემთხვევა იმას, რაც პროგრამის ხელმძღვანელობის საბოლოო დოკუმენტაციაშია და რაც გამოიყენება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის მიზნებისთვის.

**კლასტერის საერთო რჩევები:**

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**
რეკომენდებულია, რომ ყველა პროგრამამ განახორციელოს ზემოთ მოყვანილი ზოგადი რეკომენდაციები.

**პროგრამა 1 ქართული ფილოლოგია (ძირითადი და დამატებითი) (ბაკალავრიატი)**

**რეკომენდაცია:**

- პროგრამაში სრულად უნდა გადაიხედოს ყველა სწავლის შედეგი, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ: (1) ფორმულირებები შეესაბამებოდეს ბოლონიის მოთხოვნებს; (2) სწავლის ყველა შედეგი იყოს მიღწევადი ძირითადი სასწავლო აქტივობებით (არა არჩევითი); და (3) ყურადღება გამახვილდეს კრიტიკულ აზროვნებაზე და მაღალი დონის ანალიზზე, როგორც ამას ბლუმსის ტაქსონომიის ზმნების არჩევანი გვთავაზობს.

**პროგრამა 3 შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა (მაგისტრატურა)**

**რეკომენდაცია:**

- პროგრამამ უნდა გადახედოს სწავლის შედეგს „აღწერს და გადმოსცემს...“ იმის უზრუნველსაყოფად, თუ როგორ შეიძლება გამოიყენონ თეორიული მოდელები და ცნებები პრაქტიკაში და რა სარგებელი მოაქვს მათ კურსდამთავრებულისთვის დასაქმების გზაზე.

შეფასება

| კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (საბაკალავრო პროგრამა - ქართული ფილოლოგია (ძირითადი და დამატებითი)) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (საბაკალავრო პროგრამა - ლიტერატურათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი)) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (სამაგისტრო პროგრამა - შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (სამაგისტრო პროგრამა - გამოყენებითი ლინგვისტიკა) | ☐ | X | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 5 (სადოქტორო პროგრამა - ლინგვისტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა ) | ☐ | X | ☐ | ☐ |

### 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

➢ განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.

➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების კომბინირებული სწავლების შედეგების შეფასების მექანიზმი მოიცავს პროგრამების განხორციელების შეფასების მეთოდის მონიტორინგს. პროგრამის შეფასებისთვის შემუშავებულია შიდა თვითშეფასების მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, გარე შემფასებლები, პროგრამების ხელმძღვანელები, სამუშაო ჯგუფები და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია) ჩართულობას შიდა თვითშეფასების პროცესში. თვითშეფასების ინსტრუმენტები გამოიყენება პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად, აგრეთვე რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემების შეგროვება, მათ შორის სტუდენტთა აკადემიური მოსწრება, სტუდენტთა სემესტრული გამოკითხვები, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება, პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება, დამსაქმებლის უკუკავშირი, პროგრამების გარე ურთიერთშეფასება, კურსდამთავრებულთა გამოკითხვები და სხვა.

ფილოლოგიის კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები რეგულარულად ფასდება გაუმჯობესების მიზნით. უნივერსიტეტმა შეიმუშავა პროგრამების შეფასების ციკლი, რომელიც არის 5, 3 და 6 წლიანი, შესაბამისად, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებისთვის. ერთი საანგარიშო პერიოდი მოიცავს ორ სემესტრს მონაცემთა შეგროვებისთვის და მესამე სემესტრს ანალიზისა და გადაწყვეტილების მისაღებად. პროგრამების გაუმჯობესების მიზნით პროგრამებში განხორციელდა ცვლილებები, მათ შორის პროგრამის სტრუქტურაში, პროგრამის შინაარსში, პროგრამის სწავლის შედეგებში და შეფასების სისტემაში. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაში ჩართულია უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაცია, პროგრამის პრომოუტერები და პროგრამაში ჩართული პერსონალი.

მნიშვნელოვანია განვასხვავოთ შეფასების ორი მიმართულება/მიდგომა: (1) ეხება სწავლის შედეგების მიზანშეწონილობას, ადგენს შეესაბამება თუ არა ისინი ბაზრის საჭიროებებს, აქვთ თუ არა მათ შესაძლებლობა გახდეს საზომი სტუდენტებისთვის, რომლებიც სწავლის სასურველ დონეზე არიან და შესაძლებელია თუ არა მათი მიღწევა ამ დონეზე; და (2) ეხება იმას, თუ როგორ გამოიყენება ისინი პრაქტიკაში, ხელს უწყობენ თუ არა ისინი სასწავლო გეგმის შემუშავებას და შინაარსის შექმნას, შეიძლება თუ არა მათთან დაკავშირება

სწავლებისა და სწავლის პროცესში და აძლევს თუ არა სტუდენტებს საშუალებას გამოავლინონ თავიანთი მიღწევები. ჯგუფის დაკვირვებით, მიუხედავად იმისა, რომ პირველზე კეთდება დიდი აქცენტი, ის ურჩევს, რომ ეს უკანასკნელიც წამოიწიოს წინა პლანზე, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების პროცედურების ნაწილი. როგორც ასეთი, სწავლის შედეგები შეიძლება წარმოადგენდეს მკაფიო და მუდმივ ფილტრს სწავლების ხარისხის, შეფასების დადგენის, მარკირებისა და დამთავრების მოთხოვნების ნებისმიერი ანალიზისა და შეფასებისთვის. ასევე, ნებისმიერ ტრენინგს სწავლების ხარისხთან და პერსონალის შეფასების კომპეტენციებთან დაკავშირებულ საკითხებზე დასჭირდება სწავლის შედეგებზე ფოკუსირება. სწორედ ამ ორი მიმართულებით, ერთი გარედან და მეორე შიგნიდან, მიიღწევა სწავლის შედეგების ყოვლისმომცველი შეფასება.

ამჟამად, ჯგუფმა აღმოაჩინა მრავალი ხარვეზი სწავლის შედეგებში (1.2-ის მიხედვით), რომელიც უნდა გამოვლენილიყო აღწერილი შეფასების მექანიზმის მეშვეობით. ის ფაქტი, რომ ფორმულირებისა და გამოყენების საკითხები არ არის იდენტიფიცირებული, მიუთითებს იმაზე, რომ მექანიზმები არ არის სრულად ფუნქციონალური ან საკმარისად ძლიერი.

„საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებისა და გაუქმების პოლიტიკა და პროცედურები“ განიხილავს განხორციელებულ ცვლილებებს და გვაწვდის სწავლის შედეგებში შეტანილი ცვლილებების ჩამონათვალს, როგორც ძირითადს და მოითხოვს მათი დამტკიცების ოფიციალურ პროცესს, რომლის მიხედვითაც ცვლილებას განიხილავს ფაკულტეტის/სკოლის საბჭო, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სანამ მას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგენენ. პოლიტიკაში ასევე ნათქვამია, რომ „პროგრამაში განხორციელებული ცვლილებებისა და მოდიფიკაციების სისტემატიზაციის მიზნით, ფაკულტეტი/სკოლა აწარმოებს მონაცემთა ბაზას, რომელიც ასახავს საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებულ ცვლილებებს, შესაბამისი გადაწყვეტილებების მითითებით (საბჭოს სხდომის თარიღი და ოქმების ნომერი). ჯგუფისთვის გაურკვეველია, ამ მონაცემთა ბაზაში მხოლოდ ის გადაწყვეტილებები შედის, რომლებიც მიიღება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე, თუ მისი გამოყენება ხდება უფრო მცირე ცვლილებების ასახვისთვისაც, რომლებიც შეიძლება დროთა განმავლობაში გადაიზარდოს დიდ ცვლილებებში და მოითხოვოს სწავლის შედეგების კორექტირება. ჯგუფს მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია არსებობდეს მკაფიო მექანიზმი, რომელიც ფოკუსირებული იქნება უფრო მცირე ცვლილებებზე, რაც საბოლოოდ შეიძლება გადაიზარდოს დიდ ცვლილებებში და მოითხოვოს სწავლის შედეგების კორექტირება. ეს ახლა კიდევ უფრო აქტუალურია კლასტერული ფორმატის პირობებში, რადგან კლასტერზე ზედამხედველობა და კლასტერში წარმოდგენილ სწავლის შედეგებს შორის სინერგია შეიძლება იყოს აუცილებელი აქტუალურობისა და თანმიმდევრობის შესანარჩუნებლად. ვინაიდან კლასტერული მიდგომა ახლა მოითხოვს ზეპროგრამულ ინსტრუმენტებს ხარისხის შეფასებისთვის, პოლიტიკაში მითითებული მონაცემთა ბაზა, როგორც ჩანს, შესაფერისია ცვლილებების ასეთი მონიტორინგისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- მიზნებისა და შედეგების რუკა;

- სწავლის შედეგების რუკა;
- სამიზნე ნიშნულები; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება;
- პროგრამის შესაფასებლად სხვადასხვა დაინტერესებული მხარის გამოკითხვის/შეფასების შედეგები;
- პროგრამების თვითშეფასების შედეგად პროგრამებში განხორციელებული ცვლილებები;
- მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სასწავლო პროცესის შეფასებისა და განვითარების სამსახურის დებულება.
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- კლასტერმა უნდა შეიმუშაოს შეფასების მექანიზმები, რომლებიც სწავლის შედეგებს გახდის რელევანტურს, კარგად ჩამოყალიბებულს და მიღწევადს და რომელიც დაადასტურებს კავშირს სწავლის შედეგებსა და სასწავლო გეგმის შემუშავებას შორის.

კლასტერის საერთო რჩევები:

- პროგრამებმა შეიძლება უფრო ინტენსიურად გამოიყენოს სწავლის შედეგები, როგორც ფილტრი სწავლების, სწავლისა და შეფასების აქტივობების ხარისხისთვის, იმის განსაზღვრის პროცესში, საჭიროებს თუ არა ისინი გადახედვას, შეცვლას ან გაუმჯობესებას.
- უნივერსიტეტმა შეიძლება უფრო ფართოდ გამოიყენოს მონაცემთა ბაზა, რომელიც ამჟამად აგროვებს ძირითად პროგრამულ ცვლილებებს (ე.ი. საბჭოს მიერ დამტკიცებულ ცვლილებებს) და დაუშვას უფრო მცირე ცვლილებების აღრიცხვა, რათა მოხდეს კუმულაციური მცირე ცვლილებების მონიტორინგი და კონტროლი, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მთელ კლასტერზე.

შეფასება

| კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (საბაკალავრო პროგრამა - ქართული ფილოლოგია (ძირითადი და დამატებითი)) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (საბაკალავრო პროგრამა - ლიტერატურათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი)) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (სამაგისტრო პროგრამა - შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა) | ☐ | X | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 4 (სამაგისტრო პროგრამა - გამოყენებითი ლინგვისტიკა) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (სადოქტორო პროგრამა - ლინგვისტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა ) | ☐ | X | ☐ | ☐ |

### 1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

➢ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

➢ პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები შემუშავდა უნივერსიტეტში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებისა და გაუქმების წესებისა და პროცედურების“ შესაბამისად. პროგრამების სტრუქტურები რეალისტურია და შეესაბამება განათლების შესაბამის საფეხურებს. კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სტრუქტურები არის თანმიმდევრული, ლოგიკური და ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. მიღების წინაპირობები მოცემულია პროგრამის სტრუქტურაში.

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები შედგება სავალდებულო, სავალდებულო არჩევითი საგნებისგან (რომლებიც ჯგუფის ნაწილს ქმნიან) და ინდივიდუალური არჩევითი საგნებისგან. უნივერსიტეტი მხარს უჭერს სტუდენტური მუშაობის ინდივიდუალიზაციას და ცდილობს შესთავაზოს სტუდენტებს ისეთი ვარიანტები, რომლებიც შეესაბამება მათ კარიერულ გეგმებს. ეს არის სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს უმაღლესი განათლების საერთაშორისო მიდგომებს, სადაც მოქნილობა და მოდულარიზაცია სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. მიუხედავად ამისა, ჯგუფმა დაწვრილებით გამოიკვლია, ინარჩუნებს თუ არა პროგრამები სავალდებულო შინაარსის ძირითად მასას, რათა ყველა სტუდენტმა განურჩევლად მიაღწიოს სწავლის შედეგებს და კმაყოფილი დარჩა, რომ ეს ნამდვილად ხდება. მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი არჩევითი საგანი შეიძლება გახდეს დამატებითი სწავლისა და უნარების წყარო, რაც შეიძლება სასარგებლო იყოს ცალკეული სტუდენტების კარიერული მიზნების მხარდასაჭერად, თუმცა, სავალდებულო შინაარსი არის ის, რაც აყალიბებს სწავლის შედეგებს; ასეთი სწავლის შედეგები უნდა ეფუძნებოდეს ექსკლუზიურად სავალდებულო შინაარსს, რადგან მათი მიღწევა ერთიანია ყველა სტუდენტისთვის, რომლებსაც ერთი და იგივე კვალიფიკაცია ენიჭებათ.

უნივერსიტეტმა დაადასტურა, რომ სტაჟირება არ არის კლასტერში დაჯგუფებული რომელიმე პროგრამის სავალდებულო მახასიათებელი და რომ სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ მოწვევები პროექტებში მონაწილეობის მისაღებად, რომლებსაც უნივერსიტეტი უჭერს მხარს; თუმცა, ეს არ არის ხელმისაწვდომი ყველა სტუდენტისთვის. სტუდენტები, რომლებიც გაივლიან სტაჟირებას, მიიღებენ ანაზღაურებას და გახდებიან კვლევის ასისტენტები შესაბამის პროექტებში. კლასტერი აღიარებს უპირატესობებს სტუდენტებისთვის და აღნიშნავს, რომ ისინი ეცნობიან როგორც საველე მუშაობის პრინციპებს, ასევე მონაცემთა დამუშავებას პრაქტიკაში და ექსპედიციებშიც კი იღებენ მონაწილეობას. კლასტერი ასევე ადასტურებს, რომ მრავალი პრაქტიკული აქტივობა ორგანიზებულია ინდივიდუალური კურსების ფარგლებში, თუმცა ეს ჯერ კიდევ საუნივერსიტეტო გარემოშია და არა შრომის ბაზრის კონტექსტში. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კურსდამთავრებულებისთვის, განსაკუთრებით კი გამოყენებითი ენათმეცნიერების კურსდამთავრებულებისთვის შესაძლებლობების გაზრდით, მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, გაეცნონ სამუშაო სამყაროს და გარკვეულ სამუშაო პროფილს უმაღლესის დამთავრებამდე – ამით ისინი უფრო ღრმად გააცნობიერებენ, თუ სად არის მათი არჩევანი და როგორ სურთ გააგრძელონ თავიანთი კარიერა. სტაჟირება ასევე არის დამსაქმებლებისგან მიღებული ინფორმაციის ღირებული წყარო იმ შინაარსისა და ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულების შესახებ, რომელსაც სხვადასხვა პროგრამა აძლევს თავის სტუდენტებს. სტაჟირების საშუალებით, სტაჟირების პროვაიდერებს/მენტორებს შეუძლიათ სათანადოდ ჩამოაყალიბონ, თუ რომელი სფეროები შეიძლება საჭიროებდეს კორექტირებას, რათა უზრუნველყონ აქტუალურობა და ბაზარზე არსებულ ტენდენციებთან შესაბამისობა. ცხადია, რომ ზოგიერთ კურსდამთავრებულს სურს გააგრძელოს კვლევითი კარიერა საუნივერსიტეტო გარემოში, თუმცა, ზევრმა სხვამ შეიძლება იპოვოს შესაბამისი პოზიციები შრომის ბაზარზე და სწორედ კლასტერის პასუხისმგებლობაა, მისცეს ასეთ სტუდენტებს საჭირო გამოცდილება, რათა მათ თავდაჯერებულად ეძიონ სამსახური.

**პროგრამა 1 ქართული ფილოლოგია (ძირითადი და დამატებითი) (ბაკალავრიატი)**

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა შედგება 240 კრედიტისგან, რომელიც დაყოფილია შემდეგნაირად:

თავისუფალი კომპონენტი: ზოგადი მოდული - 60 კრედიტი
● შესავალი თანამედროვე აზროვნებაში I, II - 12 კრედიტი
● აკადემიური ტექნიკა - 6 კრედიტი
● სტატისტიკა - 6 კრედიტი
● პრაქტიკული კურსები ინგლისურ ენაში - 24 კრედიტი
● INTRO კოდირებული შესავალი კურსები - 12 კრედიტი
ძირითადი - 120 კრედიტი:
● სავალდებულო კურსები - 60 კრედიტი;
● სავალდებულო-არჩევითი კურსები - (ლინგვისტიკის ბლოკი და ლიტერატურათმცოდნეობის ბლოკი, თითოდან მინიმუმ 12 კრედიტი) - არანაკლებ 42 კრედიტისა;
● არჩევითი კურსები - 18 კრედიტი;

● არჩევითი საგნების ნაცვლად სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ პროგრამის სავალდებულო-არჩევითი კურსები.

დამატებითი/თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები უზრუნველყოფს საბაზისო კომპეტენციების განვითარებას ქართული ფილოლოგიის ორი ძირითადი მიმართულების, ენისა და ლიტერატურის დარგების გათვალისწინებით. ენისა და ლიტერატურის დარგის კურსები შედის პროგრამის სავალდებულო-არჩევით ბლოკებში. ლინგვისტიკის ბლოკის ფარგლებში შესაძლებელია ცოდნის გაღრმავება ლექსიკოლოგიის, სტილისტიკის, ძველი ქართული ენის, ქართველური ენების (მეგრული, ლაზური, სვანური), გამოთვლითი ლინგვისტიკის სფეროებში. ასევე შესაძლებელია ცოდნის გაღრმავება ქართული ლიტერატურული ტექსტების განხილვით, ასევე დასავლური და უძველესი ლიტერატურის შესწავლით ლიტერატურათმცოდნეობის ბლოკის ფარგლებში. არჩევითი კურსების ფარგლებში სტუდენტებს საშუალება აქვთ შეისწავლონ კავკასიური ფოლკლორისა თუ ჟურნალისტური მწერლობის საკითხები.

საბაკალავრო ნაშრომი პროგრამაში არჩევითია, თუმცა, პროგრამის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ბაკალავრიატის საფეხურზე სტუდენტს ჰქონდეს ვრცელი წერილობითი ნაშრომის შექმნის გამოცდილება სამეცნიერო მეთოდების გამოყენებით.

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა შეესაბამება ბაკალავრის საფეხურს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები/კონცეფციები;
- კომპეტენციის რუკა;
- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მოდიფიცირების და გაუქმების წესები და პროცედურები;
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.

პროგრამა 2 ლიტერატურათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი) (ბაკალავრიატი)

ლიტერატურათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის მოცულობა 240 კრედიტია და სწავლის სტანდარტული ხანგრძლივობა მოიცავს 4 აკადემიურ წელს. პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები გროვდება შემდეგი სქემით:

თავისუფალი კომპონენტი: ზოგადი მოდული - 60 კრედიტი

● შესავალი თანამედროვე აზროვნებაში I, II - 12 კრედიტი

● აკადემიური ტექნიკა - 6 კრედიტი

● სტატისტიკა - 6 კრედიტი

● პრაქტიკული კურსები ინგლისურ ენაში - 24 კრედიტი

● INTRO კოდირებული შესავალი კურსები - 12 კრედიტი
● ძირითადი - 120 კრედიტი:

● ლიტერატურათმცოდნეობის პროგრამის სავალდებულო კურსები - 48 კრედიტი

● ლიტერატურათმცოდნეობის პროგრამის სავალდებულო-არჩევითი კურსები - 60

კრედიტი (სავალდებულო-არჩევითი საგნების თითოეული ბლოკიდან მინიმუმ 6

კრედიტი)

● ლიტერატურათმცოდნეობის პროგრამის არჩევითი კურსები - 12 კრედიტი (სტუდენტს შეუძლია არჩევითი საგნების ნაცვლად პროგრამის სავალდებულო არჩევითი კურსების გავლა)

დამატებითი/თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი.

პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული სავალდებულო კურსები უზრუნველყოფს ბაკალავრიატისთვის აუცილებელი საბაზისო კომპეტენციების განვითარებას და მოიცავს შემდეგ თემებს: ქართული ლიტერატურის ისტორია პარადიგმატული თვალსაზრისით, უძველესი ლიტერატურა და დასავლური ლიტერატურის ისტორია; ლიტერატურული ტექსტისა და შემოქმედებითი მწერლობის სპეციფიკის ინტერპრეტაცია და ანალიზი.

პროგრამის სტრუქტურა არ ითვალისწინებს პრაქტიკულ კომპონენტს, რაც მნიშვნელოვანია პროგრამის სწავლის შედეგების სინქრონიზაციისათვის.

ლიტერატურათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები/კონცეფციები;
- კომპეტენციის რუკა;
- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მოდიფიცირების და გაუქმების წესები და პროცედურები;
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.

**პროგრამა 3 შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა (მაგისტრატურა)**

შედარებითი ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა 120 კრედიტისგან შედგება.

პროგრამის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- სავალდებულო კურსები - 36 კრედიტი;
- სავალდებულო-არჩევითი კურსები - 42 კრედიტი;
- არჩევითი კურსები - 18 კრედიტი;
- სამაგისტრო ნაშრომი - 24 კრედიტი.

პირველ და მეორე სემესტრში სტუდენტები სწავლობენ სავალდებულო კურსებს, კვლევის მეთოდებს, თეორიულ კურსებს, შემდეგ სემესტრებში მუშაობენ კვლევით ნაშრომებზე და ახორციელებენ სამაგისტრო კვლევას, წარადგენენ და ასრულებენ სამაგისტრო ნაშრომს. პროგრამის სტრუქტურაში შემავალი საგნები ასახავს ფილოლოგიის დარგს, მის სპეციფიკას.

პროგრამის სტრუქტურა არ ითვალისწინებს პრაქტიკულ კომპონენტს, რაც მნიშვნელოვანია პროგრამის სწავლის შედეგების სინქრონიზაციისათვის.

შედარებითი ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები/კონცეფციები;
- კომპეტენციის რუკა;
- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მოდიფიცირების და გაუქმების წესები და პროცედურები;
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.

**პროგრამა 4 გამოყენებითი ლინგვისტიკა (მაგისტრატურა)**

გამოყენებითი ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა 120 კრედიტისგან შედგება. პროგრამის სტრუქტურა შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

- სავალდებულო კურსები - 30 კრედიტი;
- სავალდებულო-არჩევითი საგნები - 48 კრედიტი;
- არჩევითი საგნები - 12 კრედიტი;
- სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი.

გამოყენებითი ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტები შეისწავლიან ლინგვისტიკის კვლევის მეთოდებს, ენის ტიპოლოგიის საკითხებს, გრამატიკის წარმოშობის საკითხებს, ენისა და ტექნოლოგიების ურთიერთობას. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გაიუმჯობესონ ინგლისური ენის ცოდნა, ისწავლონ ლათინური და ა.შ. სტუდენტები სამაგისტრო ნაშრომს წერენ ბოლო სემესტრში.

გამოყენებითი ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები/კონცეფციები;
- კომპეტენციის რუკა;
- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მოდიფიცირების და გაუქმების წესები და პროცედურები;
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.

პროგრამა 5 ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა (დოქტორანტურა)

სადოქტორო პროგრამის - „ლინგვისტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა" საგანმანათლებლო კომპონენტის მოცულობა შეადგენს 42 კრედიტს (ECTS) და სწავლის სტანდარტული ხანგრძლივობა 3-5 წელია.

პროგრამის სასწავლო კომპონენტის სტრუქტურა შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

● სავალდებულო კომპონენტები - 12 კრედიტი;

● სავალდებულო-არჩევითი საგნები - 6 კრედიტი;

● არჩევითი საგნები - 24 კრედიტი;

პროფესორის ასისტენტობა სადოქტორო პროგრამის სავალდებულო კომპონენტია. პროგრამის სავალდებულო/არჩევით კურსებში შემოთავაზებულია კურსები „ლიტერატურათმცოდნეობის თეორიები" და „ლინგვისტური კვლევის მეთოდები", რომლებსაც დოქტორანტები ირჩევენ კვლევითი სფეროს მიხედვით (ლიტერატურათმცოდნეობა ან ლინგვისტიკა).
პროგრამა სთავაზობს არჩევით კურსებს როგორც ლინგვისტიკაში, ასევე ლიტერატურათმცოდნეობაში. სადოქტორო პროგრამის საგანმანათლებლო კომპონენტი მრავალფეროვანია და მორგებულია პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებზე. სასწავლო კურსები როგორც ლინგვისტიკიდან (მათ შორის ციფრული ლინგვისტიკიდან) ასევე ლიტერატურათმცოდნეობიდან დაბალანსებულია არჩევითი კურსების ბლოკში. გარდა ამისა, არჩევითი კურსი „წერა აკადემიური პუბლიკაციისთვის" უვითარებს სტუდენტს სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს.

პროგრამის სტრუქტურა მოიცავს კოლოკვიუმების სერიას სწავლების პირველი სემესტრიდან. კოლოკვიუმები უზრუნველყოფს კვლევის პროცესის სისტემატიზაციას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- სილაბუსები/კონცეფციები;

- კომპეტენციის რუკა;
- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მოდიფიცირების და გაუქმების წესები და პროცედურები;
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

- კლასტერმა უნდა განიხილოს სტუდენტებისთვის სავალდებულო სტაჟირების შემოღება შესაბამის დონეზე, რათა უზრუნველყოს, რომ შრომის ბაზრის გამოცდილება ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის და დაეხმარება მათ ჩამოაყალიბონ თავიანთი შეხედულებები პოტენციური კარიერის ვარიანტების შესახებ.

**კლასტერის საერთო რჩევები:**

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

**პროგრამა 1 ქართული ფილოლოგია (ძირითადი და დამატებითი) (ბაკალავრიატი)**
**რეკომენდაციები:**

- პროგრამამ საბაკალავრო ნაშრომი უნდა გახადოს სავალდებულო, რადგან ეს არის მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

შეფასება

| კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (საბაკალავრო პროგრამა- ქართული ფილოლოგია (ძირითადი და დამატებითი)) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (საბაკალავრო პროგრამა - ლიტერატურათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი)) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (მაგისტრატურა - შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (მაგისტრატურა - გამოყენებითი ლინგვისტიკა) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (სადოქტორო პროგრამა - ლინგვისტიკა და | ☐ | X | ☐ | ☐ |

| ლიტერატურათმცოდნეობა<br>) | | | | |
|---|---|---|---|---|

## 1.5. სასწავლო კურსი/საგანი

➢ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
➢ ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

---

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სასწავლო კურსები შეესაბამება სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსს, შედეგებს და დატვირთვას.

სასწავლო კურსების უმეტესობაში წარმოდგენილია თანამედროვე და შესაბამისი ლიტერატურა, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ სასწავლო კურსის სილაბუსების ერთ ნაწილში ტექნიკური გაუმართაობაა, კერძოდ, ფილოლოგიის კლასტერის კომბინირებული პროგრამების სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებში: "კავკასიური მითოლოგია", "პრაქტიკა ქართულ მორფოლოგიაში", "ცენზურის ისტორია", დიდი რომანები", "შესავალი კავკასიოლოგიაში", "ლიტერატურული კრიტიკა", "შემოქმედებითი წერა" და ა.შ. სილაბუსებში, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალში მითითებული ნაშრომები არ არის მითითებული სასწავლო თემებში და პირიქით, სასწავლო თემებში მითითებულია ლიტერატურა, რომელიც არ არის მითითებული სავალდებულო ან/და დამხმარე ლიტერატურაში, აგრეთვე, წიგნების ბიბლიოგრაფიული მონაცემები სრულად არ არის მითითებული.

ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული სასწავლო კურსები: "ენობრივი პოლიტიკა მრავალეთნიკურ ქვეყნებში", "მორფოლოგია I", "მორფოლოგია II", "თერგდალესი", "ახალი ამბები, ინტერვიუ და საინფორმაციო სტატია", "საჯარო გამოსვლა", "ლიტერატურა "ემიგრაციაში: ფარია, ემიგრანტი, ებრაელი", თემებში არ არის მითითებული რომელი ნაშრომების მიხედვით შეისწავლება ესა თუ ის თემა, ან თემა არ წერია კვირების მიხედვით.

ასევე სასწავლო კურსები "ქართული ენები (მეგრული)" , "კავკასიური მითოლოგია", "ცენზურის ისტორია", შესავალი კავკასიოლოგიაში", "რეპორტაჟი, პორტრეტი და ანალიტიკური წერა", "ფილოსოფიური აზროვნების მნიშვნელოვანი ეტაპები ევროპაში და მისი გავლენა ლიტერატურაზე", "მსოფლიო ლიტერატურის ისტორიები და მოტივები", „ლინგვოკულტურალიზმი“ და სხვა. ძირითად და დამატებით ლიტერატურაში მითითებულია რუსულენოვანი ნაშრომები (მათ შორის, ქართულად ნათარგმნი), თუმცა რუსული ენის ცოდნა არ არის განსაზღვრული, როგორც წინაპირობა.

**პროგრამა 1 ქართული ფილოლოგია (ძირითადი და დამატებითი) (ბაკალავრიატი)**

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა შეესაბამება ქართული ფილოლოგიის დარგობრივ მახასიათებლებს. პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს მნიშვნელოვან საკითხებს ქართული ფილოლოგიის ორივე დარგისთვის: ქართული ენისა და ქართული ლიტერატურისთვის. პროგრამის სასწავლო კურსები შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს, ასევე სასწავლო მიზნებსა და შედეგებს.

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ზოგადი მოდული წარმოადგენს სავალდებულო კომპონენტს, რომელიც მოიცავს ზოგად საუნივერსიტეტო შესავალ კურსებს, თეორიულ და პრაქტიკულ კურსებს, რომლებიც ორიენტირებულია წერის უნარზე, უცხო ენაზე, კერძოდ, ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებზე. ფილოლოგიის დარგისთვის სავალდებულო სასწავლო კურსები ასევე მოიცავს ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის შესავალ და გაღრმავებულ სასწავლო კურსებს. სავალდებულო სასწავლო კურსები ასევე მოიცავს დარგობრივ სასწავლო კურსებს ენისა და ლიტერატურის მიმართულებით, მათ შორის პრაქტიკულ და თეორიულ კურსებს. სასწავლო კურსები მოიცავს ქართველური ენების სწავლებას: ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური. ლიტერატურის კურსებზე გათვალისწინებულია კულტუროლოგიის სწავლება, ლიტერატურული ტექსტის ანალიზი, ქართული ლიტერატურის პერიოდების სწავლება და სხვა. პროგრამა მოიცავს სასწავლო კურსებს კავკასიოლოგიაში. პროგრამა გთავაზობთ არჩევით სასწავლო კურსებს როგორც ენების, ასევე თეორიული და გაღრმავებული კურსების მიმართულებით.

პროგრამაზე დაკვირვების დროს გამოიკვეთა ტექნიკური და შინაარსობრივი საკითხები, რომლებიც საჭიროებს სილაბუსების მომზადების გაუმჯობესებას, წყაროების მითითებას და თემატურ გაიდლაინებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები/კონცეფციები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების დამატებითი/განმეორებადი კურსების/კომპონენტების შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და ანაზღაურების განსაზღვრის წესი;
- მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო კომიტეტის და სადოქტორო ხარისხის დებულება;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი;
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.

**პროგრამა 2 ლიტერატურათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი) (ბაკალავრიატი)**

ლიტერატურათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსები შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს, ასევე სასწავლო მიზნებსა და შედეგებს. სასწავლო კურსები

უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას, ორიენტირებულია ფილოლოგიის, კერძოდ, ლიტერატურათმცოდნეობის სფეროზე. პროგრამა განსაზღვრავს ცოდნისა და უნარების განვითარებას, რაც შეიძლება მიღწეული იყოს სასწავლო კურსებით. პროგრამის სავალდებულო-არჩევითი კურსები გაერთიანებულია თემატურ ბლოკებში: „ლიტერატურული პერიოდები", „ლიტერატურული თემები და ლიტერატურული მოტივები", „ლიტერატურა და სხვა მედია", „დიდი მწერლები და დიდი ნაწარმოებები". აღნიშნულ ბლოკებში შემავალი კურსები მოიცავს თემების ფართო სპექტრს და აძლევს სტუდენტებს შესაძლებლობას გაიღრმავონ ცოდნა მათთვის საინტერესო თემებზე, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე.

პროგრამაზე დაკვირვების დროს გამოიკვეთა ტექნიკური და შინაარსობრივი საკითხები, რომლებიც საჭიროებს სილაბუსების მომზადების, წყაროების მითითების და თემატური გაიდლაინების გაუმჯობესებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები/კონცეფციები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების დამატებითი/განმეორებადი კურსების/კომპონენტების შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და ანაზღაურების განმსაზღვრელი წესი;
- ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო კომიტეტის დებულება და სადოქტორო ხარისხი;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი;
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.

**პროგრამა 3 შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა (მაგისტრატურა)**

"შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის" სამაგისტრო პროგრამა შეესაბამება როგორც სამაგისტრო საფეხურს, ასევე პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსები უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას, ორიენტირებულია ფილოლოგიის, კერძოდ, ლიტერატურათმცოდნეობის სფეროზე. პროგრამა განსაზღვრავს იმ ცოდნასა და უნარებს, რაც შეიძლება მიღწეული იქნეს სასწავლო კურსებით. პროგრამა ორიენტირებულია ლიტერატურათმცოდნეობის მეთოდების სწავლებაზე, ის სტუდენტებს შეასწავლის შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის პრობლემებს, დარგის მნიშვნელოვანი საკითხები ასახულია სასწავლო კურსებში. პროგრამის სავალდებულო კომპონენტია სამაგისტრო ნაშრომი. პროგრამის ფარგლებში განიხილება აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხები.

პროგრამის სასწავლო კურსები ორიენტირებულია ლიტერატურათმცოდნეობის სფეროზე. ლიტერატურული ტექსტის ინტერპრეტაცია, ლიტერატურათმცოდნეობის მეთოდები, აკადემიური წერა ლიტერატურათმცოდნეობისთვის, ქართული ლიტერატურის კონტექსტუალიზაცია და სხვა სასწავლო კურსები მოიცავს ლიტერატურათმცოდნეობის სფეროში სწავლების მნიშვნელოვან საკითხებს. პროგრამაში ასახულია ლიტერატურათმცოდნეობის აქტუალური და თანამედროვე საკითხები, მეთოდები, თეორიები, როგორიცაა ნარატოლოგიის თეორია, დრამის თეორია, ლიტერატურის

ფემინისტური კრიტიკა, პოსტ-კოლონიალური თეორია და ა.შ. ასევე, პროგრამის სასწავლო კურსებით ისწავლება როგორც ლიტერატურული პერიოდები და მიმდინარეობები, ასევე ცალკეული ავტორების შემოქმედება. მაგალითად, ჰომეროსი, გალაკტიონი და ა.შ. არჩევითი კურსები მოიცავს: მე-20 საუკუნის ანგლო-ამერიკული პოეზია, ანგლო-ამერიკული რომანი, რომანულენოვანი ქვეყნების ლიტერატურა და მისი როლი ევროპული კულტურული მემკვიდრეობის ფორმირებაში, თანამედროვე ესპანურენოვანი ლიტერატურა: მაგიური რეალიზმი, თანამედროვე ფრანგულენოვანი ლიტერატურა: მაგიური რეალიზმი, იტალიური ლიტერატურა - ოტოჩენტოს ლიტერატურიდან დღემდე, პორტუგალიური ლიტერატურა ქართულ თარგმანებში, პოსტმოდერნისტული ხელოვნება და პოსტტოტალიტარული სივრცე, ვიზუალური ნიშნები და თანამედროვე კულტურა, კულტურული ანთროპოლოგია: თეორია და კვლევა, ქართული მითოლოგიური მოთხრობები, შუა საუკუნეების ქართული ისტორიული მწერლობა, პოსტმოდერნისტული ესთეტიკური თეორიები, იდენტობის თეორია, კულტურული კვლევები, აკადემიური ინგლისური.

პროგრამაზე დაკვირვებისას გამოიკვეთა ტექნიკური და შინაარსობრივი საკითხები, რომლებიც საჭიროებს სილაბუსების გაუმჯობესებას, წყაროების მითითებას და თემატურ სახელმძღვანელოებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები/კონცეფციები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების დამატებითი/განმეორებადი კურსების/კომპონენტების შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და ანაზღაურების განმსაზღვრელი წესი;
- ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო კომიტეტის დებულება და სადოქტორო ხარისხი;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი;
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.

პროგრამა 4 გამოყენებითი ლინგვისტიკა (მაგისტრატურა)

„გამოყენებითი ენათმეცნიერების" სამაგისტრო პროგრამა შეესაბამება როგორც სამაგისტრო დონეს, ასევე პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებსა და სწავლის შედეგებს.

სასწავლო კურსები უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას, ორიენტირებულია ფილოლოგიის, კერძოდ, ლინგვისტიკის სფეროზე. პროგრამა განსაზღვრავს იმ ცოდნასა და უნარებს, რაც შეიძლება მიღწეული იქნეს სასწავლო კურსებით. დარგის მნიშვნელოვანი საკითხები ასახულია სასწავლო კურსებში. პროგრამის სავალდებულო კომპონენტია სამაგისტრო ნაშრომი. პროგრამის ფარგლებში განიხილება აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხები.

პროგრამაზე დაკვირვების დროს გამოიკვეთა ტექნიკური და შინაარსობრივი საკითხები, რომლებიც საჭიროებს სილაბუსების მომზადების გაუმჯობესებას, წყაროების მითითებასა და თემატურ გაიდლაინებს. კურსის სილაბუსში „ლინგვოკულტუროლოგია (ენისა და კულტურის კვლევები)", ცამეტი თემიდან 6-ში (ექვსში) მითითებულია რუსეთში

გამოცემული რუსულენოვანი სახელმძღვანელო (ზ.ა მასლოვა, ლინგვოკულტუროლოგია, მოსკოვი, 2010), როგორც პირველადი წყარო, მაშინ როცა რუსული ენის ცოდნა არ ჩანს დაშვების წინაპირობებში. უფრო მეტიც, კურსის სახელწოდება „ლინგვოკულტუროლოგია“, როგორც ტერმინი, გვხვდება მხოლოდ რუსი და პრორუსი ავტორების მიერ შედგენილ ტექსტებში. კურსის სილაბუსში „ტექსტის ანალიზი და დიდი რაოდენობით მონაცემთა შეგროვება: დასახელებული ერთეულის ამოცნობა" არ არის ძირითადი და დამატებითი საკითხავების ჩამონათვალი. მასში ნათქვამია შემდეგი: „საკითხავი ძირითადად ონლაინ რესურსებიდან იქნება. საკითხავი დავალებები იქნება შემდეგი სახელმძღვანელოდან: იურაფსკი, დენი და ჯეიმს ჰ. მარტინი. „მეტყველებისა და ენის დამუშავება: შესავალი ბუნებრივი ენის დამუშავებაში, გამოთვლით ლინგვისტიკასა და მეტყველების ამოცნობაში“. Englewood Cliffs, NJ:Prentice-Hall, Inc., მე-2 გამოცემა. (ელექტრონული წიგნი ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: www.coursesmart.co.uk)”. თუმცა, მითითებული ვებგვერდი შორს არის აკადემიური ვებგვერდისგან და მისი შინაარსი საეჭვოა თუნდაც ადეკვატურობისა და წესიერების თვალსაზრისით. ექსპერტთა ჯგუფი ვარაუდობს, რომ ეს შეცდომაა; ამასთან, სტუდენტებისთვის ასეთი ვებგვერდის მითითება უაღრესად პრობლემურია და პროგრამის მთლიანობისთვის სადავო ხდება. საჭიროა მყისიერი ქმედება აღნიშნულის გამოსასწორებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები/კონცეფციები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების დამატებითი/განმეორებადი კურსების/კომპონენტების შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და ანაზღაურების განმსაზღვრელი წესი;
- ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო კომიტეტის დებულება და სადოქტორო ხარისხი;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი;
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.

პროგრამა 5 ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა (დოქტორანტურა)

ენათმეცნიერების და ლიტერატურათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის სასწავლო კურსები შეესაბამება სადოქტორო დონეს. პროგრამა მოიცავს ლინგვისტიკის და ლიტერატურათმცოდნეობის დარგებს, სტუდენტები ირჩევენ სასურველ მიმართულებას აღნიშნული სფეროებიდან მათი სასწავლო სფეროსა და ინტერესებიდან გამომდინარე და ამზადებენ კვლევით ნაშრომს. სასწავლო კურსები ითვალისწინებს დარგის თანამედროვე ცოდნისა და მეთოდოლოგიის სწავლებას. სასწავლო კურსები შეესაბამება სადოქტორო პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს.

პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს კურსებს, რომლებიც დოქტორანტს საშუალებას აძლევს გაიღრმავოს ცოდნა სამეცნიერო სიახლეებისა და კვლევის მეთოდოლოგიების შესახებ მის კვლევის თემასთან დაკავშირებულ სფეროში. ამ მიზნით პროგრამა ითვალისწინებს სავალდებულო-არჩევით ბლოკს, რომელიც აერთიანებს მეთოდოლოგიურ კურსებს პროგრამის კვლევის მიმართულებების შესაბამისად, და არჩევით ბლოკს, რომელშიც

შემოთავაზებულია დარგობრივი კურსები როგორც ლინგვისტიკის, ასევე ლიტერატურის დარგში. გარდა ამისა, დოქტორანტს აქვს შესაძლებლობა ჩაატაროს სემინარი მომიჯნავე დარგის პროფესორთან მისი კვლევითი ინტერესებიდან და სასწავლო საჭიროებიდან გამომდინარე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები/კონცეფციები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების დამატებითი/განმეორებადი კურსების/კომპონენტების შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და ანაზღაურების განმსაზღვრელი წესი;
- ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო კომიტეტის დებულება და სადოქტორო ხარისხი;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი;
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

- პროგრამებმა უნდა გაასწორონ სასწავლო კურსებში არსებული ხარვეზები მითითებულ ძირითად და დამხმარე ლიტერატურასთან დაკავშირებით.
- პროგრამებმა უნდა უზრუნველყონ ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის სრულად ასახვა სასწავლო კურსის სილაბუსებში.
- პროგრამებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ნებისმიერი შემოთავაზებული ლიტერატურა (განსაკუთრებით, ძირითადი ლიტერატურა) ითვალისწინებს პროგრამისთვის გამოცხადებულ ენობრივ წინაპირობებს, და რომ სტუდენტები ნამდვილად გაიგებენ წიგნების შინაარსს, ორიგინალში.

**კლასტერის საერთო რჩევები:**

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

**პროგრამა 4 (გამოყენებითი ენათმეცნიერება (მაგისტრატურა))**

**რეკომენდაციები:**

- სილაბუსებში უნდა იყოს შეტანილი ძირითადი და დამატებითი საკითხავების ჩამონათვალი და შესაბამისი აკადემიური შინაარსის ვებგვერდი; არსებული ბიბლიოგრაფია (როგორც ზემოთ აღინიშნა) მიუღებელია მაღალი დონის აკადემიური ინსტიტუტისთვის და ხდება უაღრესად პრობლემატური, რადგან მას აქვს პოტენციალი შეარყიოს უნივერსიტეტის რეპუტაცია და მთლიანობა დაინტერესებულ მხარეებთან მიმართებაში.

**რჩევები:**

- სასურველია პროგრამამ გადახედოს კურსს, რომელშიც შედის ტერმინი „ლინგვოკულტუროლოგია“.

შეფასება

| კომპონენტი 1.5 აკადემიური კურსი/საგანი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (საბაკალავრო პროგრამა - ქართული ფილოლოგია (ძირითადი და დამატებითი)) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (საბაკალავრო პროგრამა - ლიტერატურათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (სამაგისტრო პროგრამა - შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (სამაგისტრო პროგრამა - გამოყენებითი ლინგვისტიკა) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (დოქტორანტურა - ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა) | ☐ | X | ☐ | ☐ |

## პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (საბაკალავრო პროგრამა - ქართული ფილოლოგია (ძირითადი და დამატებითი)) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (საბაკალავრო პროგრამა - ლიტერატურათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (სამაგისტრო პროგრამა - შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (სამაგისტრო პროგრამა - გამოყენებითი ლინგვისტიკა) | ☐ | X | ☐ | ☐ |

| პროგრამა 5 (დოქტორანტურა - ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა ) | ☐ | X | ☐ | ☐ |
|---|---|---|---|---|

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

რამდენადაც კლასტერში ცალკეულ პროგრამებს აქვთ საკუთარი მოთხოვნები, გამოყენებულია სხვადასხვა სახის დაშვების წინაპირობები და პროცედურები. წარმატებული აბიტურიენტებისთვის წინაპირობები მკაფიოდ არის განსაზღვრული და ჩამოყალიბებული კლასტერში ცალკეული პროგრამების სპეციფიკურ საჭიროებებთან დაკავშირებით. წინაპირობები არის ადეკვატური და სამართლიანი. თვითშეფასების ანგარიშზე, სხვა თანდართულ დოკუმენტებზე და ადგილზე ვიზიტის დროს გასაუბრებებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამაში დაშვების წინაპირობები და პროცედურები გამჭვირვალე, სამართლიანი და თავისუფლად ხელმისაწვდომია.

**პროგრამა 1 ქართული ფილოლოგია (ძირითადი და დამატებითი) (ბაკალავრიატი)**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, არის გამჭვირვალე და სამართლიანი. აბიტურიენტები, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს ერთიანი ეროვნული გამოცდები (ქართული ენა, უცხო ენა, ლიტერატურა/ისტორია), მიიღებიან ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე.

საბაკალავრო პროგრამაზე მიღების პირობები და მასთან დაკავშირებული დეტალები განთავსებულია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდებზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- კურიკულუმი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესი და შეფასების სისტემა;
- სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდიwww.iliauni.edu.ge.
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.

**პროგრამა 2 ლიტერატურათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი) (ბაკალავრიატი)**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, არის გამჭვირვალე და სამართლიანი. აბიტურიენტები, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს ერთიანი ეროვნული გამოცდები (ქართული ენა, უცხო ენა, ლიტერატურა/ისტორია), მიიღებიან ლიტერატურათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამაზე.

საბაკალავრო პროგრამაზე მიღების პირობები და მასთან დაკავშირებული დეტალები განთავსებულია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდებზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- კურიკულუმები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესი და შეფასების სისტემა;
- სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდიwww.iliauni.edu.ge.
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.

**პროგრამა 3 შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა (მაგისტრატურა)**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, არის გამჭვირვალე და სამართლიანი. სამაგისტრო პროგრამაზე მისაღებ აპლიკანტებს უნდა ჰქონდეთ ბაკალავრის ხარისხი ან ეკვივალენტი ხარისხი სხვადასხვა დარგში, მათ შორის: ჰუმანიტარული მეცნიერებები (022), ენები (023), ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, მათ შორის ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებები (028), სოციალური და ქცევითი მეცნიერებები (031), ჟურნალისტიკა და ინფორმაცია (032), ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, მათ შორის სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა, ინფორმაციის მენეჯმენტი (038), ხელოვნება (021), ბიზნესი და ადმინისტრირება (041), სამართალი (042), საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (061).

საერთო სამაგისტრო გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ აპლიკანტი აბარებს უნივერსიტეტის მისაღებ (ზეპირ) გამოცდებს: ინგლისური ენის ცოდნა (B2) და ლიტერატურათმცოდნეობა. წარმატებული აპლიკანტები მიიღებიან შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამაზე.

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების პირობები და მასთან დაკავშირებული დეტალები განთავსებულია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდებზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- კურიკულუმები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესი და შეფასების სისტემა;
- სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდია: www.iliauni.edu.ge.
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.

**პროგრამა 4 გამოყენებითი ლინგვისტიკა (მაგისტრატურა)**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, არის გამჭვირვალე და სამართლიანი. სამაგისტრო პროგრამაზე მისაღებ აპლიკანტებს უნდა ჰქონდეთ ბაკალავრის ხარისხი ან ეკვივალენტი ხარისხი სხვადასხვა დარგში, მათ შორის: ჰუმანიტარული მეცნიერებები (022), ენები (023), ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, მათ შორის ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებები (028), სოციალური და ქცევითი მეცნიერებები (031), ჟურნალისტიკა და ინფორმაცია (032), ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, მათ შორის სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა, ინფორმაციის მენეჯმენტი (038), ხელოვნება (021), ბიზნესი და ადმინისტრირება (041), სამართალი (042), საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (061).

ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით გავლის შემდეგ, აპლიკანტი აბარებს უნივერსიტეტის მისაღები (ზეპირი) გამოცდებს: ინგლისურ ენასა (B2) და ლინგვისტიკაში. წარმატებული აპლიკანტები მიიღებიან გამოყენებითი ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამაზე.

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების პირობები და მასთან დაკავშირებული დეტალები განთავსებულია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდებზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- კურიკულუმები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესი და შეფასების სისტემა;
- სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი: www.iliauni.edu.ge.
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.

**პროგრამა 5 ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა (დოქტორანტურა)**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ენათმეცნიერების და ლიტერატურათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, არის გამჭვირვალე და სამართლიანი. ძირითადი წინაპირობაა მაგისტრის ხარისხი ან

ექვივალენტი ჰუმანიტარულ ან სოციალურ მეცნიერებებში. მთელი პროცედურა შედგება ოთხი ეტაპისგან: 1. აპლიკანტი რეგისტრირდება და წარადგენს საჭირო დოკუმენტებს, მათ შორის დოქტორანტურის კვლევის განაცხადის ფორმას შემოთავაზებული კვლევის თემის მიზნების, კვლევის კითხვებისა და მათი შესაბამისობის, მეთოდოლოგიის, მოსალოდნელი შედეგების და ა.შ. მოკლე აღწერილობით, 2. აპლიკანტი ან აბარებს უნივერსიტეტის მისაღებ გამოცდას ინგლისურ ენაში (მინიმუმ B2) ან წარადგენს შესაბამის სერტიფიკატს. 3. სადოქტორო კვლევის განაცხადის ფორმას აფასებს კომიტეტი და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო. 4. აპლიკანტი აბარებს ზეპირ გამოცდას თავის საგნობრივ სფეროში. მთელი პროცედურა დეტალურად არის აღწერილი სპეციალურ დოკუმენტში „საგანმანათლებლო პროგრამის მიღების პროცედურა და შეფასების სისტემა“. მისაღები კონკურსის გამოცხადებისთანავე, მიღების შესახებ ინფორმაცია განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე (www.iliauni.edu.ge).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კურიკულუმები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესი და შეფასების სისტემა;
- სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი: www.iliauni.edu.ge.
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

**კლასტერის საერთო რჩევები:**

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

შეფასება

| 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (საბაკალავრო პროგრამა - ქართული ფილოლოგია (ძირითადი და დამატებითი))** | X | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (საბაკალავრო პროგრამა - ლიტერატურათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი)** | X | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 3 (სამაგისტრო პროგრამა - შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა)** | X | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 4 (სამაგისტრო პროგრამა - გამოყენებითი ლინგვისტიკა)** | X | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 5 (დოქტორანტურა - ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა)** | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შესაბამისად სტუდენტების პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევის/შემოქმედებითი/წარმოდგენისა და ტრანსფერული უნარ-ჩვევების განვითარებას ან/და მათ ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასტერში შემავალი ყველა პროგრამა არსებითად უწყობს ხელს სტუდენტების პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. ინდივიდუალური პროგრამების შესაბამისი კომპონენტები ხელს უწყობს ამ უნარების განვითარებას. აღსანიშნავია, რომ შესაბამისი უნარების განვითარების პროცესში სტუდენტებს ხელმძღვანელობას უწევს ექსკლუზიურად მაღალი რანგის აკადემიური პერსონალი, როგორც აფილირებული ისე მოწვეული პერსონალის სახით; გარდა ამისა, პროცესში აქტიურად არიან ჩართულები უნივერსიტეტის ცენტრები და ინსტიტუტები, სხვადასხვა პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად (ბიბლიოთეკები, არქივები, გამომცემლები, კვლევითი ინსტიტუტები და ა.შ.), რომლებთანაც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს გაფორმებული მემორანდუმი. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ კლასტერში არსებული პროგრამები გთავაზობთ სასწავლო და კლასგარეშე აქტივობების საინტერესო და პროდუქტიულ ნაზავს.

სავალდებულო სტაჟირების ჩართვის შესახებ პრაქტიკული კომპონენტების გასაძლიერებლად და სტუდენტებისთვის სამუშაო გარემოს უკეთ გაცნობის მიზნით ზემოთ იხილეთ რეკომენდაცია.

რიგი სილაბუსები შეიცავს რიდერებს, რომლებიც წარმოადგენს დაკოპირებული წყაროების კრებულს მრავალფეროვანი შესაბამისი წყაროებიდან. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეიძლება დახმარება იყოს სტუდენტებისთვის და აძლევდეთ მათ წვდომას მეტ რესურსთან, უნდა აღინიშნოს, რომ რიდერების ამ სახით გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს საავტორო უფლებებთან დაკავშირებული რისკები, და რომ შეიძლება დაირღვეს საავტორო უფლებები, თუ მეტი კონტროლის გათვალისწინებით არ იქნება შედგენილი ეს რიდერები. ინტერვიუებში აღინიშნა, რომ უნივერსიტეტი ნებას რთავს ნებისმიერი წიგნის 40%-მდე ასლის გადაღებას (ანგარიშის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია ადასტურებს დასაშვებ 40%-იან ზღვარს), რაც ექსპერტთა პანელის თქმით, არსებითად აღემატება ევროპული კანონმდებლობით დასაშვებ 10%-ს. უნივერსიტეტი დააზუსტებს, რა კანონმდებლობა მოქმედებს საქართველოში, და მართლაც, ანგარიშის პროექტზე წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაში ციტირებს 22-ე მუხლს ბიბლიოთეკების, არქივებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ნაწარმოების რეპროგრაფიული გამრავლების შესახებ და აღნიშნავს, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ მიუთითებს კონკრეტულ დასაშვებ ზღვარზე; თუმცა, აკადემიური პასუხისმგებლობისთვის და საერთაშორისო მეცნიერთა აკადემიური ძალისხმევისადმი პატივისცემის ნიშნად, შექმნან სამეცნიერო სფეროების განმავითარებელი ნაშრომები, მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტის რეგულაციები შეესაბამებოდეს ამ საკითხში საერთაშორისო საგანმანათლებლო პრაქტიკას. რიდერები სულ უფრო და უფრო ნაკლებად გამოიყენება საერთაშორისო დონეზე და სადაც მათი გამოყენება შენარჩუნებულია, მოქმედებს ინსტიტუციური საავტორო უფლებების პოლიტიკა, რომელიც ადგენს მოთხოვნებს, რითაც უნდა იხელმძღვანელონ პერსონალმა და სტუდენტებმა.

**პროგრამა 1 ქართული ფილოლოგია (ძირითადი და დამატებითი) (ბაკალავრიატი)**

პროგრამა შემუშავებულია გონივრულად და საკმარისად ეფექტურად, რათა ხელი შეუწყოს სტუდენტების პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. კრიტიკული ანალიზი, აკადემიური მუშაობის პრინციპები და რაოდენობრივი მსჯელობა არის ტრანსფერული უნარები, რომლებიც განვითარებულია ისეთი კურსებით, როგორიცაა „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში“, „აკადემიური ტექნიკა“; რა თქმა უნდა, არსებობს პროგრამის სპეციფიკური კურსები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარებას („დარგის ლინგვისტიკა და ენის გამოთვლითი დამუშავება“, „ქართველური ენები (ქართული, მეგრული, ლაზური, სვანური)“). ამ კურსების მნიშვნელოვანი ასპექტი არის ის, რომ ისინი შეესაბამება კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოს და სწავლის სფეროს კლასიფიკატორს. ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ასპექტია ის ფაქტი, რომ ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია კორპუსული ლინგვისტური პროექტები და შესაბამისი რესურსები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- კურიკულუმები
- კურსების სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- საბაკალავრო ნაშრომის კონცეფცია
- სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია
- ასისტენტობის ნაშრომის  კონცეფცია (დოქტორანტურა)
- კოლოკვიუმის კონცეფცია (დოქტორანტურა)
- პროსპექტუსის კონცეფცია (დოქტორანტურა)
- სადოქტორო ნაშრომის კონცეფცია
- კომპეტენციის რუკები
- მემორანდუმი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პარტნიორ ორგანიზაციებს შორის
- მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო კომიტეტი და სადოქტორო დებულება
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

პროგრამა 2 ლიტერატურათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი) (ბაკალავრიატი)

პროგრამა შემუშავებულია გონივრულად და საკმარისად ეფექტურად, რათა ხელი შეუწყოს სტუდენტების პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. კრიტიკული ანალიზი, აკადემიური მუშაობის პრინციპები და რაოდენობრივი მსჯელობა არის ტრანსფერული უნარები, რომლებიც განვითარებულია ისეთი კურსებით, როგორიცაა „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში “, „აკადემიური ტექნიკა“; რა თქმა უნდა, არსებობს პროგრამის სპეციფიკური კურსები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარებას („ლიტერატურული ტექსტების ანალიზი“, „შემოქმედებითი წერა“, „ქართული ლიტერატურის პარადიგმატული ისტორია“). ამ კურსების მნიშვნელოვანი ასპექტი არის ის, რომ ისინი შეესაბამება კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოს და სწავლის სფეროს კლასიფიკატორს. ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ასპექტია ის ფაქტი, რომ კორპუსული ლინგვისტური პროექტები და შესაბამისი რესურსები ხელმისაწვდომია ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კურიკულუმები
- კურსების სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- საბაკალავრო ნაშრომის კონცეფცია
- სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია
- ასისტენტობის ნაშრომის  კონცეფცია (დოქტორანტურა)
- კოლოკვიუმის კონცეფცია (დოქტორანტურა)
- პროსპექტუსის კონცეფცია (დოქტორანტურა)
- სადოქტორო ნაშრომის კონცეფცია
- კომპეტენციის რუკები
- მემორანდუმი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პარტნიორ ორგანიზაციებს შორის
- მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო კომიტეტი და სადოქტორო დებულება
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

პროგრამა 3 შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა (მაგისტრატურა)

პროგრამა შემუშავებულია გონივრულად და საკმარისად ეფექტურად, რათა ხელი შეუწყოს სტუდენტების პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. ეს არის თავისებური პროგრამა, რომლის მიზანია სტუდენტებს საშუალება მისცეს დაეუფლონ კვლევის მიდგომებს და ლიტერატურის შედარებითი კვლევის მეთოდებს, რათა შეისწავლონ სხვადასხვა ლიტერატურული პრობლემები ინტერდისციპლინური და ინტერკულტურული პერსპექტივიდან. აღსანიშნავია, რომ პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები საკმაოდ ეფექტურად არის შემუშავებული, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ როგორც თეორიული ცოდნის დაუფლებას დარგში, ასევე შესაბამისი კვლევითი უნარების შეძენას სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში, რომელიც არის სტუდენტთა აკადემიური საქმიანობის საბოლოო პროდუქტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კურიკულუმები
- კურსების სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- საბაკალავრო ნაშრომის კონცეფცია
- სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია
- ასისტენტობის ნაშრომის  კონცეფცია (დოქტორანტურა)
- კოლოკვიუმის კონცეფცია (დოქტორანტურა)
- პროსპექტუსის კონცეფცია (დოქტორანტურა)
- სადოქტორო ნაშრომის კონცეფცია
- კომპეტენციის რუქები
- მემორანდუმი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პარტნიორ ორგანიზაციებს შორის
- მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო კომიტეტი და სადოქტორო დებულება
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

პროგრამა 4 გამოყენებითი ლინგვისტიკა (მაგისტრატურა)

პროგრამა შემუშავებულია გონივრულად და საკმარისად ეფექტურად, რათა ხელი შეუწყოს სტუდენტების პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პროგრამა კონცენტრირებულია იმაზე, რომ სტუდენტებმა შეიძინონ უნარი, რომლის საშუალებითაც ისინი შეძლებენ  ენობრივი მონაცემების მოპოვებას, შეგროვებასა და დამუშავებას, რათა გახდნენ პროფესიონალი ლინგვისტები. კურსები, როგორიცაა "ენის დოკუმენტაცია", "ქართულის ენის ტიპოლოგიური ანალიზი", "მეგრულ-ლაზურის გრამატიკული ანალიზი", "სვანური ენის გრამატიკული ანალიზი", "სიტყვის მნიშვნელობა და მისი შესწავლის მეთოდები" და ა.შ., ისევე როგორც მდიდარი ხელმისაწვდომი ტექნოლოგიური, საბიბლიოთეკო და ელექტრონული რესურსები და ასევე, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებულ პროექტებში სტუდენტთა ჩართვა, უზრუნველყოფს სტუდენტების ეტაპობრივ ზრდას, როგორც ეფექტური პროფესიონალების, რომლებსაც შეუძლიათ დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევების ჩატარება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კურიკულუმები
- კურსების სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- საბაკალავრო ნაშრომის კონცეფცია
- სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია
- ასისტენტობის ნაშრომის კონცეფცია (დოქტორანტურა)
- კოლოკვიუმის კონცეფცია (დოქტორანტურა)
- პროსპექტუსის კონცეფცია (დოქტორანტურა)
- სადოქტორო ნაშრომის კონცეფცია
- კომპეტენციის რუქები
- მემორანდუმი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პარტნიორ ორგანიზაციებს შორის
- მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო კომიტეტი და სადოქტორო დებულება
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

პროგრამა 5 ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა (დოქტორანტურა)

პროგრამა შემუშავებულია გონივრულად და საკმარისად ეფექტურად, რათა ხელი შეუწყოს სტუდენტების კვლევისა და ტრანსფერული უნარების განვითარებას. კვლევითი უნარების განვითარების უზრუნველსაყოფად პროგრამა მოიცავს სადოქტორო კოლოკვიუმს, და ასევე პერიოდულად უკუკავშირს სტუდენტებთან. რაც შეეხება ტრანსფერულ უნარებს, ამ მხრივ ანგარიშგასაწევია ასისტენტობის კომპონენტი, რომელიც კარგად არის შემუშავებული და, შესაბამისად, ხელს უწყობს დოქტორანტების შემდგომ პროფესიულ განვითარებას. აღსანიშნავია, რომ პროგრამის განახლებულ ვერსიას დაემატა „პერსონალური და პროფესიული განვითარების ცენტრის“ (PPDC) მიერ შემოთავაზებული სასწავლო კურსები.

სადოქტორო დისერტაციის დაცვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა: დოქტორანტმა უნდა გამოაქვეყნოს სტატია საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალში (ან წარმოადგინოს მტკიცებულება, რომ იგი მიღებულია გამოსაცემად). აღსანიშნავია, რომ ეს არის წარმატებული პრაქტიკა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში და კლასტერმა ექსპერტთა ჯგუფს მიაწოდა სტატიების სია, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ კრიტერიუმს. სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ მათ ნამდვილად უჭერენ მხარს ამ მხრივ და, რომ მათ შეუძლიათ მიიღონ სახსრები სტატიის მომზადებისთვის, მათ შორის ენობრივი კორექტირების მიზნით. პანელს აინტერესებდა, გაივლის თუ არა კვლევის წინადადებები ეთიკურ შეფასებას, რადგან უფრო და უფრო მეტი ჟურნალი ითხოვს, რომ გამოქვეყნებამდე სტატიას ჰქონდეს გავლილი სამეცნიერო ეთიკურ ნორმებთან შესაბამისობის შემოწმება საკუთარ ინსტიტუციაში. ექსპერტთა ჯგუფს ესმის, რომ ამჟამად უნივერსიტეტის ეთიკის კომიტეტი არ არის უფლებამოსილი კვლევის ეთიკური შეფასებისათვის, და ძირითადად განიხილავს დისციპლინურ საკითხებს. ითვლება, რომ უნივერსიტეტი და მისი დოქტორანტები, ისევე როგორც მისი აკადემიური კვლევითი პერსონალი, უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდებიან საერთაშორისო ჟურნალებთან მიმართებაში, თუ კვლევის ეთიკური შეფასება იქნება გათვალისწინებული ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კვლევებისთვის, მათ შორის ფილოლოგიის კლასტერში.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი დოკუმენტები, როგორიცაა "ასისტენტობის კონცეფცია", "კოლოკვიუმის კონცეფცია", "პროსპექტუსის კონცეფცია", "დოქტორანტურის კონცეფცია" არის მკაფიოდ და ადეკვატურად ჩამოყალიბებული და ხელმისაწვდომია დოქტორანტებისთვის.

სადოქტორო პროგრამის წარმატებული ფუნქციონირების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ის, რომ პროგრამის ბენეფიციარებს აქვთ საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობები (გაცვლითი პროგრამები). უფრო მეტიც, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური ხელს უწყობს მკვლევართა და პროფესორთა როგორც გარე, ისე შიდა მობილობას, რაც, როგორც სტუდენტებმა განაცხადეს, დიდი მხარდაჭერაა მათი კვლევისთვის.

დადასტურდა, რომ სადოქტორო დისერტაციის დაცვის ნებისმიერი შეფერხება, ძირითადად, სტუდენტის პირადი შეზღუდვების შედეგია და არა უნივერსიტეტისა და ხელმძღვანელების მხრიდან მხარდაჭერის ნაკლებობის შედეგი, რომლებიც, როგორც სტუდენტებმა აღნიშნეს, უკიდურესად ყურადღებიანი არიან მათი საჭიროებების მიმართ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- კურიკულუმები
- კურსების სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- საბაკალავრო ნაშრომის კონცეფცია
- სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია
- ასისტენტობის ნაშრომის კონცეფცია (დოქტორანტურა)
- კოლოკვიუმის კონცეფცია (დოქტორანტურა)
- პროსპექტუსის კონცეფცია (დოქტორანტურა)
- სადოქტორო ნაშრომის კონცეფცია
- კომპეტენციის რუკები
- მემორანდუმი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პარტნიორ ორგანიზაციებს შორის
- მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო კომიტეტი და სადოქტორო დებულება

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

ზოგადი რჩევები ყველა ან მეტად ეხება სადოქტორო პროგრამას, მაგრამ ის თანაბრად შეიძლება გამოყენებულ იქნას კლასტერის სხვა დონეზე.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

- კლასტერმა უნდა უზრუნველყოს, რომ რიდერის გამოყენების შემთხვევაში დაცული იყოს ნებადართული კოპირების/გადამრავლების პროცენტობა, რომელიც არ უნდა სცილდებოდეს საერთაშორისო ლიმიტს, რათა თავიდან იქნას აცილებული საავტორო უფლებებთან დაკავშირებული ნებისმიერი რისკი. უნივერსიტეტი უნდა აკონტროლებდეს და ამოწმებდეს იმ რესურსებს, რომლებიც რიდერის სახითაა წარმოდგენილი.

**კლასტერის საერთო რჩევები:**

- უნივერსიტეტმა შეიძლება განიხილოს თავისი ეთიკური კომიტეტის უფლებამოსილების გაფართოება კვლევის წინადადებების შესასწავლად (კლასტერის ყველა საფეხურზე) და გასცეს ეთიკური ნებართვები, რაც ხელს შეუწყობს გამოქვეყნების ინიციატივებს.

- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

შეფასება

| კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | შესაბამისობა შია მოთხოვნებთ ან | მეტწილად შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შესაბამება მოთხოვნებს |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (საბაკალავრო პროგრამა - ქართული ფილოლოგია (ძირითადი და დამატებითი)) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (საბაკალავრო პროგრამა - ლიტერატურათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (სამაგისტრო პროგრამა - შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (სამაგისტრო პროგრამა - გამოყენებითი ლინგვისტიკა) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (დოქტორანტურა - ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| | | | | |

## 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები იყენებ სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომას და სწავლის მეთოდს, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ სწავლაზე პროფესორთან ერთად, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საკუთარი ცოდნისა და შესაძლებლობების ჩამოყალიბებაში, იყოს თავდაჯერებული და შემოქმედებითი. კლასტერად დაჯგუფებულ პროგრამებში გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდები აძლევს სტუდენტებს შესაძლებლობას მოიძიონ და შეაგროვონ ახალი ინფორმაცია, შეადარონ ძველი და ახალი ცოდნა, გამოიტანონ დასკვნები და დამოუკიდებლად იფიქრონ, გაიმდიდრონ ცოდნა, გააანალიზონ ფაქტები, მოვლენები და კონცეფციები და მოახდინონ მათი ინტერპრეტაცია.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლის შესაბამის დონეს, რაც, მთლიანობაში, ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას ცალკეულ კურსებსა და პროგრამებზე. თითოეულ სასწავლო გეგმასა და სილაბუსებში ჩამოთვლილია სწავლებისა და სწავლის შესაბამისი მეთოდები, რომლებიც გამოიყენება თითოეულ კურსში.

უნივერსიტეტი განიხილავს სტუდენტის მრავალფეროვან როლს: აქტიური სტუდენტი, მკვლევარი სტუდენტი, დამოუკიდებელი სტუდენტი, სტუდენტური გუნდის წევრი, სტუდენტი მკვლევარი და ა.შ. შესაბამისად, სწავლებისა და სწავლის შესაბამისი მეთოდები

განისაზღვრება სტუდენტების პირობითი როლებიდან გამომდინარე და არის სტუდენტზე ორიენტირებული. კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების განსაზღვრისას გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ადამიანური და მატერიალური რესურსები. პრობლემაზე დაფუძნებული და კვლევაზე დაფუძნებული მიდგომები სულ უფრო ინტენსიური ხდება ბაკალავრიატიდან დოქტორანტურამდე. სხვადასხვა მეთოდებს შორის არჩევანის გაკეთებისას გათვალისწინებულია სტუდენტების საჭიროებები და ინტერესები. ინტერესები და საჭიროებები განსხვავდება დონის მიხედვით; მეთოდები შეიძლება იყოს განსხვავებული დონის ფარგლებში და ასეთ შემთხვევაში განიხილება ალტერნატიული მეთოდები სხვადასხვა სახის საჭიროებებისა და ინტერესების მქონე სტუდენტების ჩართულობის უზრუნველსაყოფად. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას შეიმუშაონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება აკადემიურ გამოცდილებას (ამ საქმიანობაში მნიშვნელოვანი იყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვთა განვითარების ინსტიტუტი). აღსანიშნავია, რომ ეს არის შესაძლებლობა და არა ვალდებულება. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ჩართულია საერთაშორისო პროექტებში, რომლის ფარგლებშიც კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებში დანერგილია და გამოიყენება ახალი სასწავლო კურსები და სწავლებისა და სწავლის უახლესი ელექტრონული და ტექნოლოგიური მეთოდები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- კურიკულუმები
- კურსის სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებისა და გაუქმების წესები და პროცედურები
- პროგრამის შეფასების კრიტერიუმები
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

**კლასტერის საერთო რჩევები:**

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

**შეფასება**

| კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (საბაკალავრო პროგრამა - ქართული ფილოლოგია (ძირითადი და | X | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დამატებითი)) | | | | |
| პროგრამა 2 (საბაკალავრო პროგრამა - ლიტერატურათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (სამაგისტრო პროგრამა - შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (სამაგისტრო პროგრამა - გამოყენებითი ლინგვისტიკა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (დოქტორანტურა - ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა) | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.4. სტუდენტების შეფასება

ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასტერში შემავალი პროგრამები აჩვენებს სტუდენტების შეფასების საიმედო მეთოდებს და მთლიანობაში, შეესაბამება მოცემული სტანდარტის ზოგად მოთხოვნებს. ცალკეულ კურსებში გამოყენებული შეფასების კომპონენტები და მეთოდები შეესაბამება საგნების სპეციფიკას. აკადემიური კურსების სილაბუსებში მოცემულია თითოეული კომპონენტის შეფასების მეთოდები, მაგალითად, დეტალურად არის წარმოდგენილი ჯგუფური აქტივობების შეფასების კრიტერიუმები, შუალედური გამოცდის შეფასების კრიტერიუმები, პრეზენტაციები, პროექტები, ესეები. დასკვნითი გამოცდის მინიმალური მოთხოვნა არ უნდა აღემატებოდეს გამოცდის საერთო ქულის 60%-ს.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ინდივიდუალურ კურსებზე სტუდენტების შეფასება ეფუძნება 100-ქულიან სისტემას, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად:

(A) ფრიადი –91-100

(B) ძალიან კარგი -
81-100

(C) - კარგი – 71–80

(D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა

(E) საკმარისი - 51-60 ქულა

(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს მეტი დრო სჭირდება გამოცდისთვის და მას ხელახლა ჩაბარების უფლება აქვს.

(F)(F) -ჩაიჭრა - 40 ან ნაკლები ქულა. ეს ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და ხელახლა უნდა გაიაროს კურსი.

თითოეული საგნის შეფასება სტუდენტებისთვის წინასწარ არის ცნობილი არგუს სისტემის საშუალებით და ასევე განიხილება სემინარებზე. სტუდენტებმა ხაზი გაუსვეს შეფასების ობიექტურობას და გამჭვირვალობას,

ისინი იღებენ უკუკავშირს ლექტორებისგან თავიანთი შეცდომების, ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ, რაც ამცირებს გასაჩირვების შესაძლებლობებს.

თუ სტუდენტები თვლიან, რომ მათი შუალედური/ფინალური გამოცდის შეფასება არაობიექტურია, მათ უფლება აქვთ გაასაჩივრონ 2 დღის ვადაში. პროცესი ჩვეულებრივ ტარდება დეკანის მეთვალყურეობის ქვეშ. დარგის სპეციალისტი ან სააპელაციო კომისია, რომელიც შედგება არანაკლებ 3 წევრისაგან, განიხილავს იყო თუ არა შეფასება სწორი და წარადგენს დასკვნას 3 დღის ვადაში. შედეგები აიტვირთება არგუსის სისტემაში.

უნივერსიტეტი ამოწმებს პლაგიატს არა მხოლოდ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომებში, არამედ აკადემიურ კურსებზეც. იგი იყენებს ისეთ პლატფორმებს, როგორიცაა Moodle და Turnitin ინტეგრირებული eLearning-ში, რომლებიც ამოწმებენ პლაგიატის დონეს აკადემიურ ნაშრომებში, რომლებიც მოგვიანებით ასევე განიხილება ლექტორის/მასწავლებლის მიერ ინდივიდუალურად, რათა მიიღონ საბოლოო გადაწყვეტილება, შეიძლება ჩაითვალოს თუ არა ნაშრომი პლაგიატად. ექსპერტთა ჯგუფი აფასებს, რომ კლასტერი საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლებას ადამიანს აძლევს, რადგან ავტომატური გადაწყვეტილება, რომელიც დაფუძნებულია ექსკლუზიურად მსგავსების პროცენტებზე, ხშირად შეიძლება იყოს შეცდომაში შემყვანი, განსაკუთრებით იმ ენებისთვის, რომლებიც მხოლოდ ახლა აღმოაჩენენ, რომ პლაგიატის პროგრამული უზრუნველყოფის შესრულება უმჯობესდება.

გარდა ამისა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა მიიღო დაფინანსება, როგორც კოორდინატორმა უნივერსიტეტმა Erasmus + პროექტის ფარგლებში - კვლევის პასუხისმგებლობითი ჩატარება - კვლევის მთლიანობა და ეთიკა საქართველოს უნივერსიტეტებში (ETHICS) მაღალი ხარისხის კვლევის განსახორციელებლად.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, მინიმალური დამაკმაყოფილებელი შეფასებაა 51 ქულა. შეფასება ნაწილდება შემდეგნაირად:
(A) ფრიადი- 91-
100 (B) ძალიან
კარგი - 81-90
(C) კარგი – 71–80
(D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა
(E) საკმარისი - 51-60 ქულა
(FX) არ ჩააბარა - 41-50 - რაც ნიშნავს, რომ ბაკალავრიატის სტუდენტს მეტი დრო სჭირდება კვლევის წარსადგენად და უფლება აქვს კიდევ ერთხელ წარმოადგინოს ნაშრომი ინდივიდუალური ნამუშევრის საფუძველზე.
(F)(F) -ჩაიჭრა - 40 ან ნაკლები ქულა. - რაც იმას ნიშნავს, რომ ბაკალავრის სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო არ არის საკმარისი და მან კვლავ უნდა შეისწავლოს

თემა/საგანი.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კომპონენტები შემდეგია:
1. პირველი შუალედურის შეფასება ხელმძღვანელის მიერ - მაქსიმალური ქულა -20, მინიმალური დადებითი შეფასება - 11 ქულა
2. მეორე შუალედურის შეფასება ხელმძღვანელის მიერ - მაქსიმალური ქულა - 20, მინიმალური დადებითი შეფასება - 11
3. რეცენზენტის/რეცენზენტების შეფასება - მაქსიმალური - 30 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასება -15
4. საბაკალავრო ნაშრომის შეფასება კომისიის წევრების მიერ - მაქსიმულური ქულა– 30, მინიმალური დადებითი შეფასება - 15

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალის მიხედვით, მინიმალური დადებითი შეფასებაა –51 ქულა. შეფასება ნაწილდება შემდეგნაირად:
(A) ფრიადი- 91-100 (B) ძალიან კარგი - 81-90
(C) კარგი – 71–80
(D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა
(E) საკმარისი - 51-60 ქულა
(FX) არ ჩააბარა - 41-50 - რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს შეუძლია განახლებული ნაშრომის წარდგენა მომდევნო სემესტრში.
(F)(F) -ჩაიჭრა - 40 ან ნაკლები ქულა - რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტი კარგავს უფლებას წარმოადგინოს იგივე დისერტაცია და უნდა გაიაროს კურსი.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კომპონენტები მოიცავს:
1. ხელმძღვანელის შეფასება - 30 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასება - 16;
2. რეცენზენტი(ები)ს მიერ შეფასება - 40 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასება - 21;
3. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა - 30 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასება- 16.

შეფასების ფორმები ლოგიკურია და ითვალისწინებს საკვლევი თემის წარმოჩენას, ლიტერატურის მიმოხილვას; კვლევის კითხვების, მიზნების, ჰიპოთეზის ფორმულირებას; მეთოდოლოგიას და მისი შესაბამისობას კვლევის მიზანთან; ითვალისწინებს ანალიზსა და ინტერპრეტაციას, დისკუსიებსა და შეჯამებას; ენასა და სტილს. დეტალურად არის წარმოდგენილი თითოეული კომპონენტის მოთხოვნები, რაც ხელს უწყობს შეფასების ობიექტურობას.

სადოქტორო სწავლებაზე განაცხადი მოიცავს რამდენიმე ეტაპს, რომელთაგან ერთ-ერთია ზეპირი გამოცდა. შეფასების ფორმა მოიცავს ორ ძირითად კრიტერიუმს: პრეზენტაციას და დისკუსიას, თითოეული ფასდება 5 ქულიანი სარეიტინგო შეფასებით. ჯამური სარეიტინგო ქულა გამოითვლება თითოეული კრიტერიუმის სარეიტინგო ქულების საშუალო არითმეტიკულით. ზეპირი გამოცდის დროს დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს ათწუთიანი პრეზენტაცია სადოქტორო კვლევაზე, რომელიც შეფასდება

თანმიმდევრულობისა და ფოკუსის სიცხადის მიხედვით.

დისკუსიის გულისხმობს მსჯელობას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: საკვლევი თემა, კვლევის კითხვები, მეთოდოლოგია, ლიტერატურის მიმოხილვა, კვლევის მიზანი, ჰიპოთეზები, მოსალოდნელი შედეგები.

კვლევითი პროექტის შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- საკვლევი თემა/პრობლემა - რამდენად ნათლად არის განსაზღვრული საკვლევი საკითხი/პრობლემა;
- კვლევის კითხვები და ჰიპოთეზა - რამდენად კარგად არის ჩამოყალიბებული საკვლევი კითხვები, რამდენად შეესაბამება კვლევის კითხვები/ჰიპოთეზები კვლევის მიზანს;
- მეთოდოლოგია - რამდენად სწორად არის შერჩეული მეთოდოლოგია და რამდენად ნათლად არის აღწერილი მეთოდოლოგია;
- ლიტერატურის მიმოხილვა - რამდენად კარგად არის შერჩეული წყაროები და რამდენად ზუსტად ასახავს ის არსებულ ცოდნას კვლევის პრობლემის შესახებ, რამდენად კარგად ასახავს მიმოხილვა ახალი ცოდნის შექმნის აუცილებლობას;
- კვლევის მიზანი - რამდენად ეფუძნება კვლევის მიზანი ლიტერატურის მიმოხილვაზე, რამდენად სწორად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული;
- მოსალოდნელი შედეგები - რამდენად ნათლად არის ჩამოყალიბებული კვლევის შედეგების წვლილი დარგის განვითარებაში;
- ენა და სტილი - რამდენად თანმიმდევრულია მსჯელობა და დისკურსი/დისკუსია, რამდენად კარგად იყენებს აპლიკანტი აკადემიურ სტილსა და სტილის სტანდარტებს.

თითოეული კრიტერიუმი ფასდება ხუთბალიანი სარეიტინგო სკალის მიხედვით. ქულები დალაგებულია უმაღლესიდან უმცირესამდე, სადოქტორო განაცხადის ჯამური სარეიტინგო შეფასება გამოითვლება თითოეული კრიტერიუმის სარეიტინგო ქულების საშუალო არითმეტიკულით. სადოქტორო კვლევის განაცხადის მინიმალური საერთო სარეიტინგო ქულაა 3.

დისერტაციისთვის მომზადება რამდენიმე ეტაპს მოიცავს: პროსპექტუსის დაცვა სწავლის მეორე სემესტრში; სტუდენტები ასევე იღებენ უკუკავშირს ხელმძღვანელებისგან დისერტაციის შესახებ კოლოკვიუმების ფარგლებში, რომლებიც ტარდება სემესტრში ერთხელ. დისერტაციის დაცვამდე მისი პირველადი ვერსია ეგზავნება ხელმძღვანელს, რომელიც აწვდის უკუკავშირს რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით: საკითხის განსაზღვრა, მეთოდოლოგია, ანალიზი, დასკვნები, ინტერპრეტაციები, ორგანიზაცია და სტილი. ის ასევე შეიცავს რეკომენდაცებს. მეორე ეტაპზე დოქტრანტურის სტუდენტი აგზავნის დისერტაციის მეორად ვერსიას ხელმძღვანელის მიერ მიცემული რეკომენდაციების საფუძველზე, რომელიც გადაწყვეტს არის თუ არა ნაშრომი დაცვისთვის მზად და/თუ საჭიროებს დამატებით შესწორებებს. ფაკულტეტი უზრუნველყოფს სადოქტორო დისერტაციის შეფასების ყველა აუცილებელ ფორმას, როგორიცაა: ხელმძღვანელის მიერ დისერტაციის განხილვის ფორმა, დისერტაციის ხელმძღვანელისათვის წარდგენის ფორმა,

დისერტაციის დასაცავად წარდგენის გადაწყვეტილების ფორმა; დისერტაციის დაცვის ფორმა. შეფასების ფორმებში ნათლად არის ჩამოყალიბებული ნაშრომისთვის საჭირო რეგულაციები და კრიტერიუმები.

სადოქტორო დისერტაციის რეცენზენტები შეიძლება იყვნენ უნივერსიტეტის პროფესორები/ასოცირებული პროფესორები/ასისტენტ პროფესორები/პროფესორ-ემერიტუსები/მკვლევარები ან მოწვეული პირები ადგილობრივი ან საერთაშორისო საგანმანათლებლო/კვლევითი დაწესებულებიდან/კვლევითი ინსტიტუტიდან, ვისაც აქვს დოქტორის ხარისხი, დარგის უახლესი ცოდნა და აქტიურად მონაწილეობენ სამეცნიერო კვლევებში ან/და გამოქვეყნებული აქვს დისერტაციის თემის შესაბამისი აკადემიური ნაშრომი. თუ დისერტაცია დაწერილია უცხო ენაზე, მაშინ რეცენზენტები კომპეტენტური უნდა იყვნენ ამ კონკრეტულ ენაში.

სადოქტორო დისერტაცია ფასდება შემდეგი სისტემით:

1. ფრიადი (summa cum laude) - საუცხოო ნაშრომი;
2. ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც ყველა მხრივ აჭარბებს დადგენილ მოთხოვნებს;
3. კარგი (cum laude) - ნაშრომი, რომელიც აღემატება საჭირო სტანდარტს;
4. საშუალო (bene) - საშუალო დისერტაცია, რომელიც აკმაყოფილებს მოთხოვნებს;
5. დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად მაინც აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს;
6. არადამაკმაყოფილებელი (insufficient) - შედეგი, რომელიც არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს მნიშვნელოვანი უზუსტობების გამო;
7. აბსოლუტურად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც საერთოდ არ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს.

დისერტაციის დაცვა საჯაროა და მასში ჩართულია გარე შემფასებელი. გარდა ამისა, დოქტორანტები ვალდებულნი არიან გამოაქვეყნონ აკადემიური სტატია საერთაშორისო რეცენზირებად თემატურ ჟურნალში/ჟურნალებში, რომლებიც შეტანილია საერთაშორისოდ აღიარებულ სიებში (Clarivate Analytics, Scopus, Master Journal List, Ulrich's Index, EBSCOHost, ERIH PLUS, Latindex Catalog). პუბლიკაცია უნდა შეესაბამებოდეს დისერტაციის თემას. ეს კეთდება კვლევის უმაღლესი ხარისხის უზრუნველსაყოფად. სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულებმა ხაზი გაუსვეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, ადმინისტრაციისა და მათი აკადემიური ხელმძღვანელების მხარდაჭერას.

გარდა ზემოაღნიშნული შეფასების მეთოდებისა, სტუდენტები იყენებენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ სტილს. წიგნში წარმოდგენილია დეტალური ინფორმაცია სხვადასხვა აკადემიური ნაშრომის სტრუქტურისა და მოთხოვნების შესახებ, მათ შორის, სამაგისტრო ნაშრომი, სადოქტორო დისერტაცია, აკადემიური სტატია, აკადემიური პრეზენტაცია, ცნობები და ა.შ. ის ხელმისაწვდომია ონლაინ უნივერსიტეტის გვერდზე. რაც შეეხება აკადემიური დისერტაციის დებულებებსა და მოთხოვნებს, ისინი წინასწარ ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი სისტემატიურად უგზავნის გამოკითხვებს სტუდენტებს, რათა უზრუნველყოს უკუკავშირი პროგრამების ეფექტურობაზე. სტუდენტები აწვდიან უკუკავშირს სხვადასხვა თემაზე, ლექტორებთან ურთიერთობის შესახებ, დროულად იტვირთება თუ არა შუალედური/გამოცდების შედეგები არგუსის სისტემაში და ა.შ. კვლევის შედეგები გამოყენებულია როგორც რეკომენდაციები პროგრამების გაძლიერებისთვის. გარდა ამისა, ილიას უნივერსიტეტის თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, საბაკალავრო და სამაგისტრო კურსების ეფექტურობის მონიტორინგი ხდება სტუდენტის აკადემიური მოსწრების სტატისტიკური ანალიზით, ისეთი საშუალებების გამოყენებით, როგორიცაა საშუალო და მედიანა, სიხშირე და სტანდარტული გადახრა. აკადემიური მოსწრების სისტემა შემუშავდა 2022 წელს.

აქვე უნდა ითქვას, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალური და პროფესიული განვითარების ცენტრს შემუშავებული აქვს სხვადასხვა სასწავლო კურსი და პროგრამა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის განვითარებისთვის. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფთან საუბრისას თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ მათ შეუძლიათ მიმართონ უნივერსიტეტს ტრენინგებსა და კონფერენციაში მონაწილეობის სურვილით და უნივერსიტეტი განიხილავს ამგვარი მოთხოვნების დაფინანსებას. შესაბამისად, ჯგუფი ასკვნის, რომ როგორც სტუდენტებს, ასევე პერსონალს აქვს დიდი მხარდაჭერა უნივერსიტეტის მხრიდან სათანადო სწავლების, სწავლისა და შეფასების ხარისხის ამაღლებისათვის.

საბოლოოდ, კლასტერში ჩართულმა პერსონალმა დაადასტურა, რომ თითეული კურსის შესაბამის კომპონენტს ინდივიდუალურად აფასებენ ის ლექტორ/მასწავლებლები, რომლებიც ასწავლიან ამ საგანს. ექსპერტთა ჯგუფს სურს აღინიშნოს, რომ საერთაშორისო პრაქტიკა სულ უფრო მეტად ემხრობა მოდერაციას და ორმაგ მარკირებას/შემოწმებას (განსაკუთრებით იქ, სადაც გარე ექსპერტიზა არ არის ხელმისაწვდომი), როგორც შეფასების პროცესის თანმიმდევრულობისა და სამართლიანობის გარანტიის საშუალებას. ექსპერტთა ჯგუფს ესმის, რომ ეს ყოველთვის არ არის შესაძლებელი მრავალი მიზეზის გამო – ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს ლოჯისტიკასთან ან კონკრეტულად ამ საგნის მასწავლებელი პერსონალის შემცირებასთან; თუმცა, უნივერსიტეტს შეიძლება მაინც სურდეს იფიქროს ამ პრაქტიკის დანერგვაზე, სადაც 2 ან 3 შემფასებელი ახდენს საბოლოო შეფასებას, მაგალითად; სადიპლომო ნაშრომების ან სტანდარტული საკურსო ნაშრომის შეფასებისას ან დასკვნით გამოცდებზე, რადგან ამან შეიძლება გააძლიეროს შეფასების პროცესის ხარისხი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საბაკალავრო ნაშრომის კონცეფცია;
- სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია;
- სადოქტორო დისერტაციის კონცეფცია;
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- კურსების სილაბუსი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების დამატებითი/განმეორებადი კურსების/კომპონენტების შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და ანაზღაურების განმსაზღვრელი წესი;

- აკადემიური მოსწრების ანალიზის დოკუმენტი; ილის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ანგარიშები,
- ადგილზე ვიზიტის დროს მოწოდებული დოკუმენტები - კონსულტაციები კოორდინატორთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან;
- ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო და სადოქტორო დებულება;
- ელექტრონული პორტალი „არგუსი“
- პლატფორმები - elearning.iliauni.edu.ge და turnitin.com
- პერსონალური და პროფესიული განვითარების ცენტრის დებულება.
- პროექტი - კვლევის პასუხისმგებლობით წარმართვა - სამეცნიერო კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა საქართველოს უნივერსიტეტებში ((ETHICS).
- პროგრამის შეფასების კრიტერიუმები.
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში;
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

- უნივერსიტეტმა შეიძლება განიხილოს შეფასების მოდერაციის სისტემის ან ორმაგი მარკირება/შემოწმების სისტემის შემუშავება, რათა გააძლიეროს შეფასების კომპონენტების თანმიმდევრულობა და სამართლიანობა, გარდა გამოსაშვები შეფასებებისა, რომლებსაც ძირითადად ადგენს კომიტეტი.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

შეფასება

| კომპონენტი 2.4. - სტუდენტის შეფასება | შესაბამისობაში მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (საბაკალავრო პროგრამა - ქართული ფილოლოგია (ძირითადი და დამატებითი)) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (საბაკალავრო პროგრამა - ლიტერატურათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (სამაგისტრო პროგრამა - შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (სამაგისტრო პროგრამა - გამოყენებითი ლინგვისტიკა) | X | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 5 (დოქტორანტურა - ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა ) | X | ☐ | ☐ | ☐ |

### პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | შესაბამისობა შია მოთხოვნებთ ან | მეტწილად შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (საბაკალავრო პროგრამა - ქართული ფილოლოგია (ძირითადი და დამატებითი)) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (საბაკალავრო პროგრამა - ლიტერატურათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (სამაგისტრო პროგრამა - შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (სამაგისტრო პროგრამა - გამოყენებითი ლინგვისტიკა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (დოქტორანტურა - ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა ) | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

ოფიციალურ დოკუმენტებსა და ინტერვიუებზე დაყრდნობით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს სტუდენტების კონსულტაციას და აკადემიურ კეთილსინდისიერებას, რასაც ცხადყოფს არგუსის არსებობა, სისტემა, რომელიც წარმოადგენს ძირითად პლატფორმას სტუდენტებს, პერსონალსა და ადმინისტრაციას

შორის კომუნიკაციისთვის. სტუდენტებს რეგულარულად ეცნობებათ დაგეგმილი შეხვედრების, კონფერენციების, ღონისძიებების, სტაჟირების, გაცვლითი პროგრამების შესახებ; იგი ასევე გამოიყენება, როგორც ძირითადი პროგრამა, რომლითაც სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ სხვადასხვა კურსი, შეამოწმონ გამოცდების შედეგები და საერთო აქტივობები, ლექტორების უკუკავშირი; მათ შეუძლიათ შეაფასონ საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები, რაც სასარგებლოა საერთო აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად. ადგილზე ვიზიტის დროს სტუდენტებმა ხაზი გაუსვეს ლექტორების მხრიდან ობიექტურ და გამჭვირვალე უკუკავშირს და დადებითად დაახასიათეს პლატფორმა მისი ეფექტურობისთვის.

სკოლა ეფექტურად უწყობს ხელს სტუდენტთა ინტეგრაციას აკადემიურ ცხოვრებაში. ახლად ჩარიცხულ სტუდენტებს საშუალება ეძლევათ გაეცნონ საუნივერსიტეტო სისტემას და სასწავლო პროცესს. მათ ასევე შეუძლიათ მიმართონ კოორდინატორს, ადმინისტრაციის წევრებს და ლექტორებს კონსულტაციისთვის, ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე. გარდა ამისა, ახალ ჩარიცხულთათვის დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე, სადაც მოცემულია PDF ფაილი ყველა საჭირო ინფორმაციის ჩათვლით, მათ შორის აკადემიური კალენდარი, სტანდარტები, გადახდის მეთოდები, არგუსი, სტუდენტებთან ურთიერთობის დეპარტამენტი, საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები და ა.შ. გარდა ამისა, ტარდება საინფორმაციო შეხვედრები ახლად მიღებულ სტუდენტებთან, რომლებსაც ეძლევათ Argus-ის პაროლი და ელექტრონული ფოსტა, რათა ჩაერთონ აკადემიურ პროცესებში პირველი სემესტრის დასაწყისიდანვე. რაც შეეხება დოქტორანტურას, საერთაშორისო სადოქტორო სკოლა მხარს უჭერს დოქტორანტებს საერთაშორისო პარტნიორ ინსტიტუტებთან ერთობლივი ხელშეკრულებების გაფორმებაში.

ბაკალავრიატის (ქართული ფილოლოგია და ლიტერატურათმცოდნეობა), მაგისტრატურის (გამოყენებითი ენათმეცნიერება და შედარებითი ლიტერატურა) და დოქტორანტურის (ლინგვისტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა) სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებმა ასევე ხაზი გაუსვა სკოლის მონაწილეობას სხვადასხვა აქტივობებში.

სტუდენტებს იღებენ დახმარებას როგორც ზოგადი აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში, ასევე კარიერულ განვითარებაში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი ახორციელებს დასაქმების ღონისძიებებს, როგორიცაა: მარი ბურდულის დასაქმების თვე (წელიწადში ორჯერ), რომლის დროსაც სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს საშუალება აქვთ დაესწრონ სხვადასხვა შეხვედრებს, რომლებიც იმართება სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომელთა ჩამონათვალი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდის მიხედვით 120-ს აჭარბებს. Unijobs - დასაქმების მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს მიიღონ ინფორმაცია კარიერული შესაძლებლობების და პროგრამების შესახებ, რომლებიც შეესაბამება მათი ინტერესების სფეროს. მათ ყოველდღიურად ეძლევათ ინფორმაცია ვაკანსიების, სამუშაო შეხვედრების შესახებ; ტარდება საერთაშორისო სადოქტორო სკოლისა და სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის

მიერ ორგანიზებული დოქტორანტების დასაქმების კვირეული. დასაქმების კვირეულში მონაწილეობა მიიღო 15 ორგანიზაციამ, დამსაქმებლები შეხვდნენ სხვადასხვა პროგრამის დოქტორანტებსა და კურსდამთავრებულებს, გამართეს საინფორმაციო შეხვედრები, გამართეს სამუშაო ინტერვიუები და შესთავაზეს შემდგომი თანამშრომლობა.

უნივერსიტეტმა დასაქმებასთან დაკავშირებული არაერთი პროექტი განახორციელა:

- BOOSTER - კარიერის განვითარების აქსელერატორი - პროექტის მიზანია 21-ე საუკუნის ყველაზე მოთხოვნადი უნარების განვითარება, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კრეატიულობა, კომუნიკაცია და ა.შ.
- Nova Idea - ყოველწლიური საგრანტო პროექტი, რომელიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს მიიღონ 10 000 ლარის დაფინანსება/თანადაფინანსება. კონკურსი რამდენიმე ეტაპს მოიცავს. აღსანიშნავია ისიც, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები დაუკავშირდნენ Nova Idea-ს უკრაინასთან დაკავშირებული ინიციატივების მხარდასაჭერად.
- ილიაუნი + - განკუთვნილია უნივერსიტეტის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის. პროექტი, რომელიც 2015 წლიდან ხორციელდება საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინიციატივითა და სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტთან თანამშრომლობით, მიზნად ისახავს კარიერული შესაძლებლობების განვითარებას და ხელშეწყობას. კონკურსის წესით შერჩეულ სტუდენტებს შეუძლიათ დაესწრონ ილიაუნის კიბერლაბორატორიის Unilab-ის ერთ-ერთ კურსს.

სხვა პროექტებს შორის შეიძლება დასახელდეს: ცნობადობის ამაღლების პროექტები, TOURMODE, ADS GEORGIA, RCHEULI და ა.შ.

გარდა დასაქმების თვეებისა, სტუდენტების აკადემიური და კარიერული წინსვლისთვის, უნივერსიტეტი გთავაზობთ: სტუდენტურ კლუბებს, რომლებიც ეხმარება მათ საუნივერსიტეტო აქტივობებში ჩართვაში. მასში შედის: დებატკლუბი, ილიაუნის ცეკვის სტუდენტური კლუბი, ილიაუნის ისტორიის სტუდენტური კლუბი, რა? სად? როდის? - ილიაუნის სტუდენტური კლუბი და ა.შ. სტუდენტებს შეუძლიათ გაწევრიანდნენ სხვადასხვა ტიპის კლუბებში მათი ინტერესებიდან გამომდინარე, რაც ასევე ხელს უწყობს მათი განვითარებისთვის საჭირო სხვადასხვა უნარების შეძენას. საკონტაქტო ინფორმაცია კლუბების შესახებ წარმოდგენილია ისუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე.

აღსანიშნავია აკადემიური წერის ცენტრის როლი წერითი უნარების განვითარებაში, რომელიც გთავაზობთ სხვადასხვა საინფორმაციო და სასწავლო აქტივობებს და ასევე უზარმაზარ რესურსს როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე. ყველა საფეხურის სტუდენტს საშუალება აქვთ მიიღონ კონსულტაცია აკადემიური წერის სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებულ თემებზე. იმართება Zoom-ის სემინარები ისეთ თემებზე, როგორიცაა: როგორ დავწეროთ აკადემიური ნაშრომის მიმოხილვა, როგორ ჩამოვაყალიბოთ საშინაო დავალების და სათაურის სტრუქტურა, როგორ დავწეროთ ლიტერატურის მიმოხილვა და ა.შ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში რეგულარულად იმართება სასწავლო შეხვედრები უნივერსიტეტის რესურსებისა და ელექტრონული სისტემის გამოყენების შესახებ.

ბიბლიოთეკა სტუდენტებს საშუალებას აძლევს დარეგისტრირდნენ და დაესწრონ ქვემოთ

ჩამოთვლილ სასწავლო კურსებს:

- ზოგადი ტრენინგი - ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების გამოყენების შესახებ;
- ელექტრონული კატალოგის გამოყენების შესახებ;
- ბიბლიოთეკის რესურსების გამოყენების შესახებ;
- ბიბლიოთეკის მომსახურებით სარგებლობის შესახებ;
- მონაცემთა ელექტრონული ბაზების გამოყენების შესახებ;
- მენდელის პროგრამის გამოყენების შესახებ;
- ელექტრონული სასწავლო პლატფორმის- eLearning –ის გამოყენების შესახებ

აკადემიური მოსწრების ამაღლება ასევე მიიღწევა სხვადასხვა საერთაშორისო გაცვლითი პროგრამით, რომელსაც ზედამხედველობს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი. დეპარტამენტი ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს სტუდენტებთან, რომლებიც ეცნობიან ინფორმაციას ამ პროგრამების შესახებ Argus-ის, ელექტრონული ფოსტისა და სოციალური ქსელის მეშვეობით. გარდა ამისა, ადგილზე ვიზიტის დროს სტუდენტებმა ხაზი გაუსვეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამების სისტემის ორგანიზებულობასა და მოქნილობას. მოწოდებული დოკუმენტაციის მიხედვით, 2016/2017 სასწავლო სემესტრიდან Erasmus+-ის მეშვეობით საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა მიიღო 20 სტუდენტმა, მათ შორის დოქტორანტმა. უნივერსიტეტების ჩამონათვალი, სადაც სტუდენტებმა გაცვლით პროგრამებში მიიღეს მონაწილეობა ასეთია: გლაზგოს უნივერსიტეტი, კენტის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი), გრონინგენის უნივერსიტეტი (ნიდერლანდები), უფსალას უნივერსიტეტი (შვედეთი), პოლ ვალერის უნივერსიტეტი მონპელიე 3, პოლ ვალერის უნივერსიტეტი მონპელიე 4 (საფრანგეთი), ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი, უნივერსიტეტი დიუსელდორფის (გერმანია), გრანადას უნივერსიტეტის (ესპანეთი) და ა.შ. უნივერსიტეტი ასევე გთავაზობთ Mavlena-ს გაცვლით პროგრამას. საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი ატარებს რეგულარულ საინფორმაციო შეხვედრებს სტუდენტებთან, ინდივიდუალურად უწევს მათ კონსულტაციას, მხარს უჭერს შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებაში და უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას საერთაშორისო პროცედურებთან დაკავშირებით.

სკოლა აქტიურ მონაწილეობას იღებს საერთაშორისო ღონისძიებების ორგანიზებაში და საერთაშორისო ხელშეკრულებების გაფორმებაში. მაგალითად, მოეწყო ღონისძიება, რომელიც მიეძღვნა თომას ელიოტის „უნაყოფო მიწის“ 100 წლის იუბილეს, სადაც სტუდენტებს ასევე მიეცათ საშუალება ეკონტაქტათ ამერიკელ პროფესორთან; კოტუტელის ხელშეკრულებები დოქტორანტებისთვის. საერთაშორისო ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია ჩვეულებრივ იგზავნება Argus-ზე და ქვეყნდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე. დოქტორანტურის კურსდამთავრებულებმა განაცხადეს, რომ სკოლა ყველა სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო პროექტებსა და პროგრამებში და რომ მათ რეგულარულად აძლევენ ინფორმაციას ყველა შესაძლებლობის შესახებ. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ თუ ისინი არ მიიღებენ მონაწილეობას, ეს ნამდვილად არ არის უნივერსიტეტის კომუნიკაციისა და მხარდაჭერის ნაკლებობის გამო, არამედ პირადი მიზეზიბის გამო, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მათ აკადემიურ პროცესს.

გარდა ზემოაღნიშნული აქტივობებისა, რომელსაც ახორციელებს სკოლა, ისუ-მ 2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან დანერგა მენტორული პროგრამა დოქტორანტურის დონეზე. მენტორის ფუნქციაა დაეხმაროს სტუდენტებს კარიერულ განვითარებაში, ისინი უზიარებენ სტუდენტებს თავიანთ საგანმანათლებლო და პროფესიულ გამოცდილებას, თუმცა, მათ არ აქვთ იგივე ფუნქციები, როგორც სამეცნიერო ხელმძღვანელს.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ასევე სთავაზობს კონსულტაციებს სტუდენტებს, რომლებსაც აწუხებთ ფსიქოლოგიური პრობლემები, როგორიცაა: დეპრესია, შფოთვა, გუნება-განწყობის დაქვეითება, სტრესთან დაკავშირებული პრობლემები და ა.შ. თუ ასეთი შემთხვევები გამოვლინდა ან სტუდენტები ითხოვენ დახმარებას, მათ კონსულტაციას უწევენ ფსიქიკური ჯანმრთელობის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები რეგულარული ზედამხედველობის თანხლებით.

პროგრამებს ძირითადად ხელმძღვანელობს 2 ან მეტი ხელმძღვანელი. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა, თუ როგორ მუშაობს ეს თანახელმძღვანელობის პრინციპი და არის თუ არა ნათლად განაწილებული პასუხისმგებლობები, რათა საჭიროების შემთხვევაში სტუდენტებმა და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა ზუსტად იცოდნენ, ვის რა საკითხთან დაკავშირებით მიმართონ. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა ჯგუფს უთხრეს როგორც თანამშრომლებმა, ასევე სტუდენტებმა, რომ ნებისმიერი კითხვის არსებობის შემთხვევაში, ყოველთვის არის ვინმე, ვინც პაუხს გასცემს მათ შეკითხვას, ჯგუფმა აღნიშნა, რომ ეს არის ნაკლებად ფორმალური მიდგომა, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ რომელიმე ხელმძღვანელს აკადემიური ან პროცედურული განმარტების მისაღებად. ხელმძღვანელებმა დაადასტურეს, რომ არ არსებობს სამუშაო აღწერა წერილობითი ფორმით, სადაც ნათლად იქნება გაწერილი მათი როლები და შესაბამისი პასუხისმგებლობები, მათი როლებისთვის მკაფიოდ მინიჭებული პასუხისმგებლობებით; და რომ ხელმძღვანელის როლი არის აუნაზღაურებელი და მათ სჯერათ, რომ ეს კარგად მუშაობს, განსაკუთრებით მათი კოლეგიური ურთიერთობისა და ხშირი თანამშრომლობის შედეგად. თუმცა, აღინიშნა, რომ არ არსებობს ჩანაწერი სტუდენტებთან ურთიერთობის შესახებ და არც რაიმე ფორმალური თანმიმდევრულობის მტკიცებულება ჩანს მოწოდებულ პასუხებში. აქ ჩნდება რისკი, რადგან სტუდენტები შეიძლება წააწყდნენ განსხვავებულ პოზიციებს, რაც შეიძლება დამაბნეველი გახდეს, თუ პრობლემა შენარჩუნდება და სხვადასხვა ხელმძღვანელს ინდივიდუალურად მიუდგებიან.

პროგრამებში არ არის მოხსენებული საერთაშორისო სტუდენტები, თუმცა უნივერსიტეტს აქვს Erasmus+ შეთანხმებები და, სავარაუდოდ, საერთაშორისო სტუდენტები ეყოლებათ. ვებგვერდის ინგლისური ვერსია არ შეიძლება შეფასდეს, როგორც საკმარისად კარგი, რადგან სწავლის შედეგების შესახებ ინფორმაცია ხშირად არათანმიმდევრულია ან არ არსებობს. ეს აფერხებს საერთაშორისო გაცვლებს, ისევე როგორც უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის დღის წესრიგს, რადგან უცხოელი სტუდენტები ამოწმებენ თავიანთი სასწავლო პროგრამის თავსებადობას იმასთან, რაც შემოთავაზებულია უნივერსიტეტში და შესაძლოა, ამის გამო უნივერსიტეტმა დაკარგოს საერთაშორისო

სტუდენტები, რადგან ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. მაგალითად, სადოქტორო პროგრამის ვებგვერდი ინგლისურ ენაზე მზადდებოდა ამ ანგარიშის დაწერის დროს. ეს ნიშნავს, რომ სფერო, რომელსაც შეიძლება პოტენციურმა საერთაშორისო სტუდენტებმა მიაქციონ ყურადღება, მათთვის მიუწვდომელია ინფორმაციის თვალსაზრისით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის დებულება https://iliauni.edu.ge/uploads/other/62/62039.pdf
- სამეცნიერო კვლევების საკოორდინაციოსამსახური https://bit.ly/3LfTXlC
- აკადემიური წერის ცენტრი -https://writingcentre.iliauni.edu.ge/ge/
- სტუდენტური კლუბები - https://iliauni.edu.ge/ge/studentebistvis/studenturi-klubebi
- დასაქმების თვეები - მარი ბურდული დასაქმების თვე https://iliauni.edu.ge/en/studentebistvis/mari-burdulis-saxelobis-dasaqmebis-tve
- უნიჯობსი https://iliauni.edu.ge/ge/siaxleebi-8/axali-ambebi-36/unijobs-dasaqmebis-xelshewyobis-programa.page
- ნოვა იდეა https://iliauni.edu.ge/ge/siaxleebi-8/konkursebi/studenturi-proeqtebis-sagranto-konkursi-nova-idea-2022-ukrainis-mxardasacherad.page
- ილიას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა http://library.iliauni.edu.ge
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა

- სასწავლო კურსები სტუდენტებისთვის - https://library.iliauni.edu.ge/?page_id=21201&preview=true

- საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/units/foreignrelations/gacvliti-programebi
- საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები - ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტთა საქმიანობა
- ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრი - https://iliauni.edu.ge/en/studentebistvis/iliaunis-studentta-fsiqologiuri-konsultirebis-centri
- სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის დებულება
- აკადემიური პროგრამის ხელმძღვანელების წესები და სამუშაო ჯგუფების აქტივობები;
- სტუდენტთა ფსიქოლოგიური საკონსულტაციო ცენტრი - https://bit.ly/3MoRMxu
- კარიერული განვითარება საერთაშორისო სადოქტორო სკოლაში https://internationaldoctoralschool.iliauni.edu.ge/ge/dasaqmebis-kvireuli-doqtorantebisthvis-2/
- საერთაშორისო სადოქტორო სკოლა -https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/units/developmentoffice
- განვითარების ოფისი - https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/units/developmentoffice
- პორტალი "არგუსი"
- პორტალი "E-learning"
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში;
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

- კლასტერმა უნდა დააკისროს მკაფიო პასუხისმგებლობა სხვადასხვა პროგრამის ხელმძღვანელს და უზრუნველყოს სტუდენტებთან ნებისმიერი კომუნიკაციის თანმიმდევრულობა და გამჭვირვალობა.
- ვებგვერდის ინგლისური ვერსია უნდა განახლდეს და ინფორმაცია შეესაბამებოდეს ქართულ შინაარსს.

**კლასტერის საერთო რჩევები**

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

შეფასება

| სტანდარტი 3,1 - სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები: | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (საბაკალავრო პროგრამა - ქართული ფილოლოგია (ძირითადი და დამატებითი))** | ☐ | X | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (საბაკალავრო პროგრამა - ლიტერატურათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი)** | ☐ | X | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 3 (სამაგისტრო პროგრამა - შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა)** | ☐ | X | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 4 (სამაგისტრო პროგრამა - გამოყენებითი ლინგვისტიკა)** | ☐ | X | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 5 (დოქტორანტურა - ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა)** | ☐ | X | ☐ | ☐ |

## 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა იძლევა სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ შესრულების საშუალებას.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე, მაგისტრანტებს უფლება აქვთ მესამე სემესტრში თავად აირჩიონ აკადემიური ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიურ ხელმძღვანელთან შეთანხმების აუცილებელ ფორმებს, კვლევის გეგმას, დასკვნას და შეფასების ფორმებს ხელმძღვანელისთვის.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებს მოეთხოვებათ აკადემიური აქტივობა, რომელიც შეესაბამება სტუდენტის კვლევის ზოგად თემას. მათ უნდა ჰქონდეთ დარგის შესაბამისი ცოდნა, აქტიურად მიიღონ მონაწილეობა სამეცნიერო კვლევებში და გამოაქვეყნონ აკადემიური ნაშრომი, რომელიც შეესაბამება სამაგისტრო ნაშრომის თემებს. სტუდენტს ასევე შეუძლია ხელმძღვანელობდეს შესაბამისი მიმართულების დოქტორანტი, რომელმაც დაიცვა პროსპექტუსი ამ სფეროში ან გამოსცა ნაშრომი; ან მეცნიერი, რომელსაც აქვს

დოქტორის ხარისხი და შესაბამისი აკადემიური პუბლიკაცია საერთაშორისო მონაცემთა ბაზებში ბოლო ორი წლის განმავლობაში.

რაც შეეხება სადოქტორო საფეხურს, სტუდენტი ირჩევს ხელმძღვანელს კვლევის განაცხადში, უნივერსიტეტში განაცხადის წარდგენამდე. ეს შეიძლება იყოს უნივერსიტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ემერიტუსის პროფესორი დოქტორის ხარისხით, რომელსაც აქვს კვლევის გამოცდილება, რომელიც შეესაბამება სტუდენტის დისერტაციის თემას და აქვს დარგის თანამედროვე ცოდნა. დოქტორანტს ასევე შეიძლება ჰყავდეს თანახელმძღვანელი უცხო ქვეყნიდან კონკრეტულ საგნობრივ კომიტეტთან შეთანხმების საფუძველზე.
სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ყურადღება გაამახვილეს ხელმძღვანელების ჩართულობაზე, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ სამაგისტრო და სადოქტორო დისერტაციის წერის პროცესს. მათი ხელმძღვანელობა გადამწყვეტი იყო მათი, როგორც მკვლევარების პიროვნული განვითარებისთვის, და აღწერენ კვლევის პროცესს, როგორც სასარგებლოს.

დოქტორანტებმა/კურსდამთავრებულებმა ასევე აღწერეს სადოქტორო პროგრამისთვის განაცხადის დოკუმენტების მომზადების დრო და სადოქტორო დისერტაციისთვის კვლევის პერიოდი. მათ გამოარჩიეს ხელმძღვანელების როლი მათ დასახმარებლად კვლევის, თემის, მეთოდოლოგიის, ჩარჩოს, ლიტერატურის სწორი სათაურის არჩევისას, მაგრამ აღნიშნეს, რომ ჰქონდათ აკადემიური თავისუფლება და მოქნილობა. ხელმძღვანელები ასევე ეხმარებიან დოქტორანტებს/კურსდამთავრებულებს პუბლიკაციების გამოქვეყნებაში, კორექტირებაში, უკუკავშირის მიცემაში, თარჯიმნების მოძებაში და ზოგადად ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელებში, აქტივობებში ინტეგრაციაში.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა შეიმუშავა სტანდარტი, რომლის მიხედვითაც დოქტორანტურის საფეხურზე ერთ აკადემიურ ხელმძღვანელს უფლება აქვს ჰყავდეს მაქსიმუმ 5 დოქტორანტი. რაც შეეხება სამაგისტრო პროგრამებს, აქაც ერთ ხელმძღვანელზე 5 სტუდენტია. განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება გაკეთდეს გამონაკლისი სამაგისტრო პროგრამებზე დაშვებული სტუდენტების რაოდენობაა: 15-20 შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობაზე, 8-10 - გამოყენებითი ლინგვისტიკაზე, 2-3 - სადოქტორო პროგრამაზე. რაც შეეხება აკადემიურ პერსონალს, მათი რიცხვი შესაბამისად 18, 13 და 25-ია.

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისთვის დროის განაწილება ინდივიდუალურია, თუმცა სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციის დოკუმენტის მიხედვით, სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ კვირაში მინიმუმ 2 საათიანი კონსულტაცია აკადემიურ ხელმძღვანელთან, რაც ასევე დამოკიდებულია კვლევის სპეციფიკაზე. დოქტორანტები იღებენ ციკლურ შეფასებას პროგრესის, კვლევის დიზაინის შესახებ, ეძლევათ დახმარება პროექტის მართვაში.

სამაგისტრო ნაშრომზე ხელმძღვანელებთან მუშაობისას სტუდენტებმა უნდა გადაწყვიტონ დისერტაციის თემა და მიზანი. მათ უნდა შეინარჩუნონ აკადემიური დამოუკიდებლობა და ჩაატარონ კვლევა, აქტიურად დაესწრონ კონსულტაციებს ხელმძღვანელთან და განიხილონ

უკუკავშირი კვლევის გასაუმჯობესებლად. ხელმძღვანელი ასევე ხელმძღვანელობს სტუდენტებს სამეცნიერო პროექტებში, ღონისძიებებში მონაწილეობაში და ეხმარება მათ სწავლის შედეგების მიწოდებაში/პრეზენტაციაში.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს გამოკითხვებს დამამთავრებელი სემესტრის მაგისტრატურის სტუდენტებთან მათი ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მიერ განხორციელებული ხელმძღვანელობის შესახებ. დოქტორანტურის დონეზე მოცემული კვლევა ტარდება ფოკუს ჯგუფის ფარგლებში. 2022 წლის გაზაფხულზე ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფმა შეიმუშავა ახალი კითხვარი სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტზე და დოქტორანტების მიერ ხელმძღვანელების შეფასებაზე. გამოყენებითი ლინგვისტიკის მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს შორის ჩატარებულ გამოკითხვაში (2020), მონაწილეებმა თავიანთი ხელმძღვანელების უკუკავშირი ეფექტური შეაფასეს. იგივე შედეგები აღმოჩნდა შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის კურსდამთავრებულებთან, რომლებმაც შეავსეს კითხვარი. 2021 წლის გამოკითხვამ აჩვენა, რომ გამოყენებითი ლინგვისტიკის პროგრამის ყველა მონაწილე აქტიურად ეკონტაქტებოდა ხელმძღვანელებს და იღებდა უკუკავშირს, რომელიც დაეხმარა მათ წერის პროცესში. გარდა ამისა, მათ ხაზი გაუსვეს შეფასების სისტემის ობიექტურობასა და გამჭვირვალობას. რაც შეეხება შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის პროგრამას, მონაწილეებმა განაცხადეს, რომ ადმინისტრაციული პროცესების ორგანიზება კარგად განხორციელდა, თითქმის ყველა მათგანს (11 მონაწილიდან 1-ს დისერტაცია არ დაუცვა) ჰქონდა რეგულარული კონსულტაციები სამეცნიერო ხელმძღვანელებთან.

რაც შეეხება დოქტორანტებსა და კურსდამთავრებულებს, გამოკითხვამ აჩვენა, რომ ყველა მათგანმა დადებითი შეფასება მისცა ხელმძღვანელებს. სტუდენტებმა ხაზგასმით აღნიშნეს ხელმძღვანელთა როლი აკადემიური ნაშრომების გამოქვეყნების საქმეში და შეაფასეს კვლევის პროცესი, როგორც ძალიან ღირებული და გადამწყვეტი. დოქტორანტებმა ისაუბრეს ადმინისტრაციის და ზოგადად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერაზე. ვიზიტის დროს, ერთ-ერთმა კურსდამთავრებულმა ასევე განაცხადა, რომ მან მიიღო უნივერსიტეტის მხარდაჭერა ციფრული ხელსაწყოს გამოყენებისთვის, როგორიცაა Catma სადოქტორო დისერტაციის მომზადების დროს.

უნივერსიტეტი ასევე დებს ინფორმაციას აკადემიური პერსონალის და მათი პუბლიკაციების შესახებ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

| მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები<br>პროგრამა 3 (სამაგისტრო პროგრამა - შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა) | |
|---|---|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა | 8 |
| სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელთა რაოდენობა | |
| მაგისტრანტთა რაოდენობა | 86 |

| | |
|---|---|
| დოქტორანტების რაოდენობა | |
| თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები | 0.09 |
| თანაფარდობა - სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელები/დოქტორანტები | |

| მაგისტრატნტთა/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები მე-4 პროგრამა (სამაგისტრო პროგრამა - გამოყენებითი ლინგვისტიკა) | |
|---|---|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა | 11 |
| სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელთა რაოდენობა | |
| მაგისტრანტთა რაოდენობა | 15 |
| დოქტორანტების რაოდენობა | |
| თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები | 0.73 |
| თანაფარდობა - სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელები/დოქტორანტები | |
| **მაგისტრატნტთა/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები მე-5 პროგრამა (დოქტორანტურა - ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა)** | |
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა | 7 |
| სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელთა რაოდენობა | 7 |
| მაგისტრანტთა რაოდენობა | |
| დოქტორანტების რაოდენობა | 12 |
| თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები | |
| თანაფარდობა - სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელები/დოქტორანტები | 0.58 |

ექსპერტთა ჯგუფს უთხრეს, რომ ყველა კატეგორიის პერსონალს შეუძლია

ხელმძღვანელობა, მათ შორის ასოცირებულ და მოწვეულ პერსონალს, რომლებსაც აქვთ შეზღუდული დროის კონტრაქტები. დადასტურდა, რომ განახლებები გარანტირებული არ არის, ამიტომ პანელს მიაჩნია, რომ კლასტერმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოიჩინოს, რათა თავიდან აიცილოს ნებისმიერი რისკი სტუდენტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით, რათა შენარჩუნდეს უწყვეტობა ხელმძღვანელთან ან სამეთვალყურეო გუნდთან, რომელიც თავდაპირველად იყო შემოთავაზებული.

**პროგრამა 5 ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა (დოქტორანტურა)**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დოქტორანტების მაქსიმალური რაოდენობა აკადემიურ ხელმძღვანელზე არის 5. აკადემიური ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ემერიტუს პროფესორი დოქტორის ხარისხით, რომელსაც აქვს დოქტორანტის სადისერტაციო თემის შესაბამისი კვლევის გამოცდილება. მათ უნდა გააჩნდეთ დარგის უახლესი ცოდნა, აქტიურად მონაწილეობდნენ სამეცნიერო კვლევებში ან/და გამოქვეყნებული ჰქონდეთ დოქტორანტის სადისერტაციო თემის შესაბამისი აკადემიური ნაშრომები. დოქტორანტს ასევე შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი აკადემიური ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი ან აკადემიური თანამდებობა. თანახელმძღვანელი, რომელსაც აქვს დოქტორის ხარისხი, ასევე შეიძლება იყოს სხვა აკადემიური დაწესებულებიდან ან უცხო ქვეყნიდან, საგნის კონკრეტულ კომიტეტთან შეთანხმების ან საერთაშორისო თანამშრომლობის საფუძველზე. ხელმძღვანელების აკადემიური ინტერესებისა და პუბლიკაციების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ონლაინ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

უნივერსიტეტი აწვდის საჭირო დოკუმენტაციას: განაცხადი სადოქტორო კვლევაზე, რომელიც შეიცავს ისეთ კომპონენტებს როგორიცაა: კვლევის სათაური, კვლევის პრობლემები, ლიტერატურის მიმოხილვა, კვლევის მიზანი, კვლევის კითხვები, ჰიპოთეზა, მეთოდოლოგია, მოსალოდნელი შედეგები, ასევე შეიცავს აკადემიური ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის დადასტურების ფორმას, თანხმდებიან თუ არა დოქტორანტურის ხელმძღვანელობაზე და ა.შ.

ადგილზე ვიზიტის დროს დოქტორანტებმა და კურსდამთავრებულებმა ხაზი გაუსვეს მათი ხელმძღვანელის ჩართულობას აკადემიურ საქმიანობაში. კურსდამთავრებულებმა ისაუბრეს აკადემიური გარემოს შესაბამისობაზე. იმის შესახებ, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხელმძღვანელის მიერ გაწეულ დახმარებას. რეგულარული კონსულტაციები მათ დაეხმარათ: სწორი სათაურის შერჩევაში, მეთოდოლოგიაში, კვლევის პროექტის დიზაინში, ადგილობრივ და საერთაშორისო აკადემიურ წრეებში ინტეგრაციაში, აკადემიური სტატიის გამოქვეყნებაში საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალში. ერთ-ერთმა დოქტორანტმა ხაზი გაუსვა დოქტორანტების ხელმძღვანელთან კონსულტაციების რეგულარულობას. ყოველკვირეული კონსულტაციები ასევე აუცილებელი იყო დროის მართვის, მოტივაციისა და დატვირთვის განაწილებისთვის.

უნივერსიტეტი აკვირდება აკადემიური პერსონალისა და ხელმძღვანელის მიერ

განხორციელებული ხელმძღვანელობის ხარისხს. დოქტორი კურსდამთავრებულებისა და აქტიური სტუდენტების კითხვარი (2021) აჩვენებს მათ ჩართულობას სხვადასხვა აქტივობებში, როგორიცაა: აკადემიური სტატიის გამოქვეყნება, კურსდამთავრებულებმა ხაზი გაუსვეს მათ დახმარებას გამოცემის პროცესში, ასევე რეგულარული კონსულტაციებისა და ხელმძღვანელებისგან უკუკავშირის მიღების მნიშვნელობას.

ექსპერტთა ჯგუფი აღიარებს ხელმძღვანელების წვლილს და ძალისხმევას, რომელსაც ისინი დებენ ხელმძღვანელობის პროცესში, მაგრამ სურთ დააყენოს საკითხი, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს გრძელვადიანი უკუგება. დოქტორანტები დაშვებამდე უკავშირდებიან ხელმძღვანელებს და ისინი ერთად მუშაობენ სავარაუდო კვლევზე, რომელიც წარდგენილ იქნება სადოქტორო განაცხადთან ერთად. ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ ეს არ აისახება მათ დატვირთვაში, თუმცა, მართლაც, ასეთ მოსამზადებელ სამუშაოს შეიძლება დასჭირდეს მნიშვნელოვანი დრო, რაზეც უნივერსიტეტმა უნდა იფიქროს. ექსპერტთა ჯგუფს ესმის, რომ ეს საქართველოს უმაღლესი განათლების სექტორის მახასიათებელია; თუმცა მიუხედავად ამისა, შეიძლება გათვალისწინებული იყოს, რომ მას სარგებლობის მოტანა უფრო შეუძლია, ვიდრე სტუდენტის დაზიანება. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა პერსონალის ყველა წევრის გამოცდილებაზე, როდესაც ისინი ირჩევენ თავიანთ დისერტაციებს/საკვლევ თემას, თუმცა, შესაძლოა, გუნდურმა შეთანხმებამ დაიცვას ხელშეკრულების შეწყვეტა ან დამატებითი მუხლი, რომელმაც შეიძლება შეინარჩუნოს პერსონალის წევრი მანამ, სანამ ისინი არ დაასრულებენ ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- სამაგისტრო ნაშრომის კონცეფიცია;
- სადოქტორო დისერტაციის კონცეფცია
- სადოქტორო დისერტაციის კონცეფცია
- განაცხადის ფორმები დოქტორანტურისთვის
- პორტალი "არგუსი"
- ინფორმაცია აკადემიური პერსონალის შესახებ ონლაინ - https://faculty.iliauni.edu.ge/metsnierebatha-da-khelovnebis-phakulteti/
- ილიას სახელმწიფოუნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია.
- ხელმძღვანელთა და მაგისტრატურა/დოქტორანტთა თანაფარდობა
- კურსდამთავრებულთა ანგარიში
- დოქტორანტის და კურსდამთავრებულთა ფოკუს ჯგუფის ანგარიში.
- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები და კვლევები
- ინფორმაცია აკადემიური პერსონალის შესახებ ონლაინ - https://faculty.iliauni.edu.ge/metsnierebatha-da-khelovnebis-phakulteti/
- მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო და სადოქტორო რეგულაციები
- ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობა
- ილიას სახელმწიფოუნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია.
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში;
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

- კლასტერმა შეიძლება მოიძიოს უწყვეტობის გარანტირების უფრო ინოვაციური გზები, სადაც ასოცირებული ან მოწვეული პერსონალი ასრულებს ხელმძღვანელის როლებს.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

**პროგრამა 5 ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა (დოქტორანტურა)**

**რეკომენდაციები:**

- უნივერსიტეტმა უნდა მოიფიქროს გზები როგორ გახადოს სამუშაო დატვირთვის ნაწილი ის მოსამზადებელი სამუშაოები, რომელსაც ხელმძღვანელები ახორციელებენ პოტენციურ დოქტორანტებთან მათი განაცხადის შეტანის პროცესის დაწყებამდე.

**რჩევები:**

შეფასება

| კომპონენტი 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (საბაკალავრო პროგრამა - ქართული ფილოლოგია (ძირითადი და დამატებითი)) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (საბაკალავრო პროგრამა - ლიტერატურათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (სამაგისტრო პროგრამა - შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (სამაგისტრო პროგრამა - გამოყენებითი ლინგვისტიკა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (დოქტორანტურა - ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა) | ☐ | X | ☐ | ☐ |

## პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | შესაბამისობა შია მოთხოვნებთ ან | მეტწილად შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (საბაკალავრო პროგრამა - ქართული ფილოლოგია (ძირითადი და დამატებითი)) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (საბაკალავრო პროგრამა - ლიტერატურათმცოდნეობ ა (ძირითადი და დამატებითი) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (სამაგისტრო პროგრამა - შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (სამაგისტრო პროგრამა– გამოყენებითი ლინგვისტიკა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (დოქტორანტურა - ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა ) | ☐ | X | ☐ | ☐ |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ კლასტერში კომბინირებულ პროგრამებს ახორციელებს აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთა უმეტესობა არის დარგში აღიარებული მეცნიერი, აქვს სამეცნიერო ხარისხი და არის კვალიფიციური მკვლევარი, აქვს ბოლო 5 წლის განმავლობაში დასრულებული სამეცნიერო ნაშრომები,

მონაწილეობს სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ფორუმებში, აქვეყნებს ნაშრომებს. ფილოლოგიურ კლასტერში გაერთიანებულ პროგრამებში მონაწილეობენ აგრეთვე აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელსაც არ აქვს სამეცნიერო ხარისხი ან სამეცნიერო გამოცდილება, მათი სამეცნიერო გამოცდილება არ დასტურდება უნივერსიტეტის მიერ მოწოდებულ პირად საქმეებში. უნივერსიტეტში აღნიშნავენ, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი, რომელსაც არ გააჩნია აკადემიური კვალიფიკაცია ფილოლოგიის დარგში და არც სამეცნიერო გამოცდილება, შეირჩა პრაქტიკული გამოცდილებით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბაკალავრო დონეზე სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო ნაშრომთან მიმართებაში, მათ შორის საბაკალავრო დისერტაციების ხელმძღვანელობასთან მიმართებაში, რადგან საბაკალავრო პროგრამის დებულებით, დეტალურად არ არის დაკონკრეტებული, რა კვალიფიკაცია უნდა ჰქონდეს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელს. მხოლოდ აღნიშნულია, რომ: „სტუდენტმა უნდა აირჩიოს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი. ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი შეიძლება შეირჩეს შესაბამისი დარგის პროფესორებისა და მკვლევარებისგან".

ასოცირებულმა და მოწვეულმა პერსონალმა დაადასტურა, რომ მათი კონტრაქტები ლიმიტირებულია და განახლება არ არის გარანტირებული. ექსპერტთა ჯგუფს ესმის, რომ ეს არის საქართველოს უმაღლესი განათლების სექტორის სპეციფიკა, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ მენეჯმენტის სპეციალური გადაწყვეტილებები უნდა იყოს მიღებული, რათა უზრუნველყოფილ იქნას უწყვეტობის რისკის შემცირება, ეს ეხება კონკრეტული კურსების სწავლებას და დროთა განმავლობაში ერთი და იმავე შინაარსის ხელმისაწვდომობას, ასევე, ხელმძღვანელთა ამოცანებს და კონსულტაციისთვის დაკისრებულ ამოცანებს. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, ასევე უნდა გადაიხედოს ასოცირებული და მოწვეული პერსონალის მოვალეობები. სათანადოდ უნდა იყოს შეფასებული სტუდენტის სწავლის უწყვეტობის რისკი და დასახული უნდა იყოს შესაბამისი ქმედება.

დატვირთვის თვალსაზრისით, დადასტურდა, რომ გამოთვლები ეხება ექსკლუზიურად სწავლების საათების რაოდენობას ან საკონტაქტო დროს, თუმცა შეფასებები, უწყვეტი პროფესიული განვითარების აქტივობები, მათ შორის კვლევის მიზნებისთვის, ან თუნდაც დაკისრებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, შეიძლება არ იყოს რაოდენობრივად დათვლილი და შეტანილი სამუშაო დატვირთვის მარტიცაში ან ანაზღაურებული. ექსპერტთა პანელს მიაჩნია, რომ უნივერსიტეტმა უნდა განახორციელოს ჰოლისტური მიდგომა სამუშაო დატვირთვასთან მიმართებით და უზრუნველყოს, რომ პერსონალი არა უბრალოდ შეფასდეს დამატებითი, კლასგარეშე აქტივობების მიხედვით, არამედ პერსონალის ყველა აქტივობა უნდა გახდეს მათი საკონტრაქტო მატრიცის ნაწილი.

პროგრამის ხელმძღვანელები არიან აღიარებული მკვლევარები ფილოლოგიის დარგში და შეუძლიათ სრულად გაუმკლავდნენ პროგრამის შინაარსს, გადასინჯვისა და გაუმჯობესების მიზნით. თუმცა, ჯგუფმა აღნიშნა, რომ ასევე უნდა გადაიხედოს პროგრამის ხელმძღვანელისა და თანა-ხელმძღვანელობის ფუნქციობის საკითხი (იხ. რეკომენდაცია ზემოთ), რადგან საჭიროა მეტი ფორმალიზაცია სტუდენტებთან კომუნიკაციის თანმიმდევრულობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად.

**პროგრამა 1 ქართული ფილოლოგია (ძირითადი და დამატებითი) (ბაკალავრიატი)**

სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით, პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია (19/358); აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას (15/4); ბრუნვის მაჩვენებელი ასეთია: გასული აკადემიური პერსონალი - 2, ახალი აკადემიური პერსონალი - 5, დამატებული მოწვეული პერსონალი - 2. საბაკალავრო პროგრამას სამი პროფესორი უძღვება. აკადემიური და მოწვეული პერსონალის უმრავლესობა არის დარგში აღიარებული მეცნიერი, აქვს სამეცნიერო ხარისხი და არის კვალიფიციური მკვლევარი, აქვს ბოლო 5 წლის განმავლობაში დასრულებული სამეცნიერო ნაშრომები, მონაწილეობს სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ფორუმებში, აქვეყნებს ნაშრომებს. პროგრამაში მონაწილეობენ აგრეთვე აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომლებსაც არ აქვთ სამეცნიერო ხარისხი ან სამეცნიერო გამოცდილება, მათი სამეცნიერო გამოცდილება არ დასტურდება უნივერსიტეტის მიერ მოწოდებულ პირად საქმეებში უნივერსიტეტში აღნიშნავენ, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი, რომელსაც არ გააჩნია აკადემიური კვალიფიკაცია ფილოლოგიის დარგში და არც სამეცნიერო გამოცდილება, შეირჩა პრაქტიკული გამოცდილებით. ასევე, პროგრამა ადასტურებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც სასწავლო კურსის ხელმძღვანელებს არ აქვთ აკადემიური ცენზურა ან კვლევა სასწავლო კურსით განსაზღვრულ თემაზე. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბაკალავრო დონეზე სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო ნაშრომების, მათ შორის საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობისას.

| პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგია (ძირითადი და დამატებითი) (ბაკალავრიატი)[6] | | | | |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)** | პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა | დარგობრივი ექსპერტიზის მქონე პერსონალის ჩათვლით[7] | მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის წოდების მქონე პერსონალი[8] | მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი |
| **აკადემიური პერსონალის საერთო რაოდნეობა** | 15 | 14 | 14 | 15 |
| **პროფესორი** | 7 | 7 | 7 | 7 |
| **ასოცირებული პროფესორი** | 6 | 5 | 5 | 6 |

[6] აუცილებლობის შემთხვევაში დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

[7] ძირითადი სასწავლო დარგის შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[8] შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ასისტენტ-პროფესორი | 2 | 2 | 2 | 2 |
| ასისტენტი | - | | | |
| მოწვეული პერსონალი | 4 | 1 | 1 | – |
| სამეცნიერო პერსონალი | - | | | – |

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია;
- სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაოს აღწერა;
- აკადემიური პერსონალის შრომითი ხელშეკრულების ნიმუშები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პოზიციების დასაკავებელი კონკურსის ჩატარებისა და დასაქმების პირობების რეგულაციები;
- დებულება პედაგოგიური პერსონალის მიღების შესახებ;
- გამოცხადებული კონკურსები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებისა და გაუქმების წესები და პროცედურები;
- აკადემიური პროგრამისა და სამუშაო ჯგუფების ხელმძღვანელთა მოვალეობებისა და საქმიანობის წესი;
- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა;
- ელექტრონული პორტალი „არგუსი" http://argus.iliauni.edu.ge;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი www.iliauni.edu.ge
- დაწესებულებაში ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუ

პროგრამა 2 ლიტერატურათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი) (ბაკალავრიატი)

ლიტერატურათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამაზე აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა სტუდენტთა რაოდენობასთან შედარებით ძალიან კარგია (17/54). პროგრამის აკადემიური (13) და მოწვეული პერსონალი (4), პერსონალის ბრუნვის მაჩვენებელთან ერთად (წასული აკადემიური პერსონალი - 4, ახალი აკადემიური პერსონალი - 3, წასული მოწვეული პერსონალი - 1, დამატებული მოწვეული პერსონალი - 3), უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამას ხელმძღვანელობს ორი პროფესორი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის უმრავლესობა დარგის აღიარებული მეცნიერია, აქვს სამეცნიერო ხარისხი და არის კვალიფიციური მკვლევარი, აქვს ბოლო 5 წლის განმავლობაში დასრულებული სამეცნიერო ნაშრომები, მონაწილეობს სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ფორუმში, აქვეყნებს ნაშრომებს. პროგრამაში ასევე შედის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელსაც არ გააჩნია სამეცნიერო ხარისხი ან სამეცნიერო

გამოცდილება, მათი სამეცნიერო გამოცდილება არ არის დადასტურებული უნივერსიტეტის მიერ მოწოდებულ პირად საქმეებში. უნივერსიტეტში აღნიშნავენ, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი, რომელსაც არ გააჩნია აკადემიური კვალიფიკაცია ფილოლოგიის დარგში და არც სამეცნიერო გამოცდილება, შეირჩევა პრაქტიკული გამოცდილების მიხედვით. ასევე, პროგრამაში ჩანს ისეთი შემთხვევები, როდესაც სასწავლო კურსის ხელმძღვანელებს არ აქვთ აკადემიური ცენზურა ან კვლევა სასწავლო კურსით განსაზღვრულ თემაზე. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბაკალავრო დონეზე სხვადასხვა სახის სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობისას.

| პროგრამა 2 (ლიტერატურათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი) (ბაკალავრიატის დონე)[9] | | | | |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)** | პროგრამის პერსონალის რაოდენობა | მათ შორის დარგობრივი გამოცდილების მქონე პერსონალი[10] | მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[11] | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
| **აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა** | 13 | | | 13 |
| **- პროფესორი** | 5 | 5 | 5 | |
| **- ასოცირებული პროფესორი** | 6 | 6 | 6 | |
| **- ასისტენტ-პროფესორი** | 2 | 2 | 2 | |
| **- ასისტენტი** | - | | | |
| **მოწვეული პერსონალი** | 4 | 1 | 1 | _ |
| **სამეცნიერო პერსონალი** | - | | | _ |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია;
- სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია;

[9] აუცილებლობის შემთხვევაში დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

[10] ძირითადი სასწავლო დარგის შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[11] შესაბამისი სადოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს

- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაოს აღწერა;
- აკადემიური პერსონალის შრომითი ხელშეკრულების ნიმუშები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პოზიციების დასაკავებელი კონკურსის ჩატარებისა და დასაქმების პირობების რეგულაციები;
- დებულება პედაგოგიური პერსონალის მიღების შესახებ;
- გამოცხადებული კონკურსები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებისა და გაუქმების წესები და პროცედურები;
- აკადემიური პროგრამისა და სამუშაო ჯგუფების ხელმძღვანელთა მოვალეობებისა და საქმიანობის წესი;
- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა;
- ელექტრონული პორტალი „არგუსი“ http://argus.iliauni.edu.ge;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი www.iliauni.edu.ge
- დაწესებულებაში ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუ

**პროგრამა 3 შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა (მაგისტრატურა)**

ლიტერატურათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისია (21/86); აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა (18/3) პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის ბრუნვის მაჩვენებლის შესაბამისი (ახალი აკადემიური პერსონალი - 2, წასული მოწვეული პერსონალი - 3, დამატებული მოწვეული პერსონალი - 2), რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. კურსდამთავრებულთა თანაფარდობა მათ ხელმძღვანელებთან (8/86) შეესაბამება სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში განსაზღვრულ მეთოდოლოგიას და ხელმძღვანელების დატვირთვას. სამაგისტრო პროგრამას უძღვება ორი პროფესორი, აკადემიური და მოწვეული პერსონალის უმრავლესობა დარგის აღიარებული მეცნიერია, მათ აქვთ სამეცნიერო ხარისხი და არიან კვალიფიციური მკვლევარები, აქვთ ბოლო 5 წლის განმავლობაში დასრულებული სამეცნიერო ნაშრომები, მონაწილეობენ სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ფორუმში, აქვეყნებენ ნაშრომებს. ამასთან, პროგრამაში ჩანს ისეთი შემთხვევები, როდესაც სასწავლო კურსის ხელმძღვანელებს არ აქვთ აკადემიური ცენზურა ან კვლევა სასწავლო კურსით განსაზღვრულ საგანში.

| პროგრამა 3 (შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა (მაგისტრატურა)[12] | | | | |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური,** | პროგრამის პერსონალის რაოდენობა | მათ შორის დარგობრივი გამოცდილების | მათ შორის დარგობრივი მიმართულებით | მათ შორის, აფილირებული აკადემიური |

[12] აუცილებლობის შემთხვევაში დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

| სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი) | | მქონე პერსონალი[13] | დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[14] | პერსონალი |
|---|---|---|---|---|
| აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა | 18 | | | 18 |
| - პროფესორი | 11 | 11 | 11 | |
| - ასოცირებული პროფესორი | 4 | 4 | 4 | |
| - ასისტენტ-პროფესორი | 3 | 3 | 3 | |
| - ასისტენტი | - | | | |
| მოწვეული პერსონალი | 3 | 2 | 2 | _ |
| სამეცნიერო პერსონალი | | | | _ |

### მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია;
- სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაოს აღწერა;
- აკადემიური პერსონალის შრომითი ხელშეკრულების ნიმუშები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პოზიციების დასაკავებელი კონკურსის ჩატარებისა და დასაქმების პირობების რეგულაციები;
- დებულება პედაგოგიური პერსონალის მიღების შესახებ;
- გამოცხადებული კონკურსები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებისა და გაუქმების წესები და პროცედურები;
- აკადემიური პროგრამისა და სამუშაო ჯგუფების ხელმძღვანელთა მოვალეობებისა და საქმიანობის წესი;
- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა;
- ელექტრონული პორტალი „არგუსი“ http://argus.iliauni.edu.ge;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი www.iliauni.edu.ge

---

[13] ძირითადი სასწავლო დარგის შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[14] შესაბამისი სადოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს

- დაწესებულებაში ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუ

**პროგრამა 4 გამოყენებითი ლინგვისტიკა (მაგისტრატურა)**

გამოყენებითი ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 21 აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტების რაოდენობა 15-ია. აკადემიური და მოწვეული პერსონალის კოეფიციენტი (13/8) და ბრუნვის მაჩვენებელი (ახალი აკადემიური პერსონალი - 4, წასული აკადემიური პერსონალი - 2, დამატებული მოწვეული პერსონალი - 4) უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. კურსდამთავრებულთა თანაფარდობა მათ ხელმძღვანელებთან (11/15) შეესაბამება სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში განსაზღვრულ მეთოდოლოგიას და ხელმძღვანელების დატვირთვას. სამაგისტრო პროგრამას ხელმძღვანელობს ორი პროფესორი. აკადემიური და მოწვეული თანამშრომლები არიან დარგში აღიარებული მეცნიერები, აქვთ სამეცნიერო ხარისხი და არიან კვალიფიციური მკვლევარები, აქვთ ბოლო 5 წლის განმავლობაში დასრულებული სამეცნიერო ნაშრომები, მონაწილეობენ სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ფორუმში, აქვეყნებენ ნაშრომებს.

| პროგრამა 4 (გამოყენებითი ლინგვისტიკა (მაგისტრატურა)[15] | | | | |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)** | პროგრამის პერსონალის რაოდენობა | მათ შორის დარგობრივი გამოცდილების მქონე პერსონალი[16] | მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[17] | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
| **აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა** | 13 | | | 13 |
| **- პროფესორი** | 8 | 8 | 8 | |
| **- ასოცირებული პროფესორი** | 5 | 5 | 5 | |
| **- ასისტენტ-პროფესორი** | | | | |
| **- ასისტენტი** | - | | | |
| **მოწვეული პერსონალი** | 8 | 8 | 8 | _ |
| **სამეცნიერო პერსონალი** | - | | | _ |

[15] აუცილებლობის შემთხვევაში დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

[16] ძირითადი სასწავლო დარგის შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[17] შესაბამისი სადოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს

**პროგრამა 5 ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა (დოქტორანტურა)**

ენათმეცნიერების და ლიტერატურათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამაში სულ 27 აფილირებული პროფესორია ჩართული. პროგრამებში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა სტუდენტთა რაოდენობის ადეკვატურია (27/12). პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს პროგრამის პერსონალის ბრუნვის მაჩვენებელი (ახალი აკადემიური პერსონალი - 6, წასული აკადემიური პერსონალი - 2). დოქტორანტების რაოდენობა შეესაბამება ხელმძღვანელების დატვირთვას, რაც უზრუნველყოფილია ფაკულტეტის მიერ შემუშავებულ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის სემესტრული დატვირთვის სქემით.

სადოქტორო პროგრამას ოთხი პროფესორი ხელმძღვანელობს. აკადემიური და მოწვეული პერსონალი არიან დარგში აღიარებული მეცნიერები, აქვთ სამეცნიერო ხარისხი და არიან კვალიფიციური მკვლევარები, აქვთ ბოლო 5 წლის განმავლობაში დასრულებული სამეცნიერო ნაშრომები, მონაწილეობენ სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ფორუმებში, აქვეყნებენ ნაშრომებს.

| პროგრამა 5 (ლინგვისტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა (დოქტორანტურა)[18] | | | | |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)** | პროგრამის პერსონალის რაოდენობა | მათ შორის დარგობრივი გამოცდილების მქონე პერსონალი[19] | მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[20] | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
| **აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა** | 27 | | | 27 |
| **- პროფესორი** | 14 | 14 | 14 | |
| **- ასოცირებული პროფესორი** | 10 | 10 | 10 | |
| **- ასისტენტ-პროფესორი** | 3 | 3 | 3 | |
| **- ასისტენტი** | - | | | |
| **მოწვეული პერსონალი** | - | | | _ |
| **სამეცნიერო პერსონალი** | - | | | _ |

[18] აუცილებლობის შემთხვევაში დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

[19] ძირითადი სასწავლო დარგის შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[20] შესაბამისი სადოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია;
- სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაოს აღწერა;
- აკადემიური პერსონალის შრომითი ხელშეკრულების ნიმუშები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პოზიციების დასაკავებელი კონკურსის ჩატარებისა და დასაქმების პირობების რეგულაცია;
- დებულება პედაგოგიური პერსონალის მიღების შესახებ;
- გამოცხადებული კონკურსები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებისა და გაუქმების წესები და პროცედურები;
- აკადემიური პროგრამისა და სამუშაო ჯგუფების ხელმძღვანელთა მოვალეობებისა და საქმიანობის წესი;
- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა;
- ელექტრონული პორტალი „არგუსი" http://argus.iliauni.edu.ge;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი www.iliauni.edu.ge
- დაწესებულებაში ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუ

| პროგრამა 3 (სამაგისტრო პროგრამა - შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (სამაგისტრო პროგრამა - გამოყენებითი ენათმეცნიერება) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (დოქტორანტურა - ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა ) | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

### 5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამებში გამოყენებულია ხარისხის შიდა შეფასების მექანიზმები, რომლებიც ხორციელდება უნივერსიტეტში შემუშავებული და მოქმედი ხარისხის პოლიტიკის შესაბამისად. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები აჩვენებს, რომ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებს კოორდინაციას უწევს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური/უნივერსიტეტის მართვის დეპარტამენტი, რომლის მთავარი ამოცანაა საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის ამაღლება, სასწავლო პროცესის ხარისხის შესაფასებლად საჭირო ინსტრუმენტებისა და მეთოდების შემუშავება, შეფასების პერიოდულობის დაგეგმვა, შეფასება და მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით რეკომენდაციების გაცემა სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ჰყავს 11 სპეციალისტი, რომლებიც კოორდინაციას უწევენ ამ პროცესებს. კლასტერში არსებული პროგრამების ხელმძღვანელები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან და უფროს სპეციალისტებთან ერთად, თანამშრომლობენ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში.

თვითშეფასების პროცესი მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებისთვის და ეფუძნება კლასტერის პროგრამების სტუდენტების, კურსდამთავრებულების (ფოკუს ჯგუფის ანგარიშები, არსებობის შემთხვევაში) კვლევებს, დამსაქმებლების უკუკავშირს და სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების გარე შეფასებას.

შიდა თვითშეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით შეგროვებულ მონაცემებზე დაყრდნობით, პროგრამის ხელმძღვანელები პროგრამის სამუშაო ჯგუფთან ერთად შეიმუშავებენ შიდა თვითშეფასების ანგარიშებს, რაც მოიცავს საანგარიშო პერიოდში თვითშეფასების შედეგად გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენას და შესაბამისი აქტივობების/ინტერვენციების დაგეგმვას პროგრამის გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით.

აღნიშნულის უზრუნველსაყოფად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ეყრდნობა საქმიანობის მარეგულირებელ დებულებებს.

უნივერსიტეტს აქვს კარგად დაგეგმილი და განხორციელებული პროცედურები, რის საფუძველზეც ხდება მიმდინარე პროცესების შეფასება. შეფასების შედეგების საფუძველზე შემდგომი განვითარება და გაუმჯობესება „დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე – განავითარე" პრინციპით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა გამოკითხვებში არა მხოლოდ მნიშვნელოვან უკუკავშირს იძლევა, არამედ იზიარებს პასუხისმგებლობას პროგრამის გაუმჯობესებაზე. ინტერვიუებმა დაადასტურა ჩატარებულ გამოკითხვებზე სტუდენტების გამოხმაურების მაღალი პროცენტი. თუმცა, კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ არ ჩატარებულა გამოკითხვა მათი დაინტერესებული მხარეების ჯგუფისთვის, თუმცა

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა აღნიშნა, რომ კურსდამთავრებულებისთვის ფოკუს ჯგუფები უფრო აქტუალური იყო. დამსაქმებლებმა დაადასტურეს მათი ჩართულობა როგორც გამოკითხვებში, ასევე შემდგომ დისკუსიებში, რამაც მათ მისცა სასწავლო გეგმის ხელახალი დიზაინის პროცესში დახმარების საშუალება.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება არის რეგულარული პროცესი, რისთვისაც გამოიყენება როგორც პირდაპირი, ისე ირიბი მეთოდები; როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი მონაცემები, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი დოკუმენტების პაკეტი და ინტერვიუებში აღნიშნული ინფორმაცია. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა ინტერვიუებში მიუთითეს, რომ მათ მიერ ჩაწერილი მონაცემები საკმაოდ ახალია, რადგან პანდემიის დროს თანმიმდევრული მონაცემების მოპოვება პრობლემა იყო; თუმცა ახლა მონაცემები ნელ-ნელა გროვდება და მათ საშუალებას აძლევს მიიღონ მკაფიო სურათი სუსტი და ძლიერი მხარეების შესახებ. ჯგუფმა შენიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებისა და გაუქმების პოლიტიკა მიუთითებს დახურვის პროცედურებზე, მაგრამ არ გვთავაზობს ამისთვის რაიმე ობიექტურ გამომწვევ მიზეზებს. სამომავლოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შეუძლია ასეთი მიზეზების განსაზღვრა პოლიტიკის უფრო მარტივი ფუნქციონირებისთვის.

ინტერვიუებმა ასევე აჩვენა, რომ დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა მოიცავს მათ კმაყოფილებას სტუდენტებისა და პერსონალის მომსახურების ხარისხით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკის ფონდებით და ა.შ. დადასტურდა, რომ ახლახანს გამოკითხვები გადამუშავდა, რათა უფრო აქტუალურად შეხებოდა დაკვირვების ქვეშ მყოფ სფეროებს (მაშინ როცა ადრე ერთი და იგივე კითხვარის შაბლონი გამოიყენებოდა ყველა მომსახურებისთვის).

აქტიურად მუშაობს კოლეგიალური შეფასების სისტემა, რაც ხელშემწყობი ფაქტორია საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების შეფასების პროცესში. მოწვეულ ლექტორებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ ლექციებს აქტიურად ესწრებოდნენ პროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის სამსახურის წარმომადგენელი - განსაკუთრებით მუშაობის დაწყების პირველ პერიოდში. სწავლებაზე დაკვირვება ტარდება გაფრთხილებით ან გაუფრთხილებლად, ასევე ეწყობა ლექციის ჩვენება მენტორობის და განვითარების მიზნით. ასეთ პრაქტიკას ხელს უწყობს შეფასების რუბრიკა, რომელიც მუდმივად გამოიყენება.

ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა, რომ ამ კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების სილაბუსები შეიცავს გარკვეული სახის ტექნიკურ და შინაარსობრივ ხარვეზებს, ამიტომ კოლეგიური დასწრებისას, ასევე პროგრამების შეფასების პროცესში, ხარისხის ამაღლებისა და აღმოფხვრის მიზნით, სასურველია პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად გამოვლინდეს ტექნიკური და შინაარსობრივი ხარვეზები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა განიხილოს ამ კუთხით გარკვეული მექანიზმების შემუშავება. ასევე კარგი იქნებოდა ყურადღება მიექცეს იმ სფეროს, რომელშიც აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობს დიპლომს ან მათი კვლევის მიმართულებას წასაკითხი კურსების მიხედვით. (იხილეთ ზემოთ მოყვანილი რეკომენდაციები)

ინტერვიუს დროს ასევე გაირკვა, რომ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობის შეფასება მნიშვნელოვან როლს ასრულებს განხილვისა და ადაპტაციის პროცესებში. წლიური ანგარიშის ფორმა, რომელსაც პერსონალი ყოველ სასწავლო წელს ავსებს, აერთიანებს სხვადასხვა ტიპის, როგორც სამეცნიერო, ასევე შემოქმედებით საქმიანობას. შემდეგ მიღებულ მონაცემებს ამუშავებენ ფაკულტეტის საბჭო და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რის შემდეგაც პერსონალს მიეწოდება წინადადებები გასაუმჯობესებელი სფეროების მიხედვით. გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით, აქტივობები დაგეგმილია ინდივიდუალურად აკადემიურ პერსონალთან ერთად. პერსონალის მიერ განსახორციელებელი სამეცნიერო და პრაქტიკული საათები დეტალურად არის აღწერილი პერსონალის ხელშეკრულებაში. (გთხოვთ აგრეთვე იხილოთ რეკომენდაცია დატვირთვის შესახებ) ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ კლასტერში ასევე შეიძლება ერთობლივი განვითარების/ტრენინგის სესიების ან კარგი პრაქტიკის აქტივობების შეთავაზება, რომელთა გაზიარებაც გააერთიანებს პერსონალის ინდივიდუალური შეფასების დროს გამოვლენილ საჭიროებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კლასტერში გაერთიანებულ საგანმანათლებლო პროგრამებში გამოყენებული ხარისხის შიდა შეფასების მექანიზმები სათანადოა. ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის მიმართულებები სტუდენტზეა ორიენტირებული და ემსახურება სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესებას.

როგორც ექსპერტთა ჯგუფმა შეხვედრების დროს დაადგინა, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიკოსები და მოწვეული პირები კარგად იცნობენ ამ მექანიზმებს და თვლიან, რომ მათ გამოყენება ეფექტურია პროგრამისა და თვითგანვითარებისთვის.

შიდა ხარისხის მექანიზმებით გამოვლენილ ხარვეზებს აქტიურად განიხილავს თვითშეფასების სამუშაო ჯგუფი, ასევე ფაკულტეტის საბჭო თავის სხდომებზე, მუშავდება ღირებული რეკომენდაციები, რის საფუძველზეც ხდება შესაბამისი ცვლილებები და საბოლოოდ მტკიცდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ.

პანდემიის პირობებში, პროგრამის სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად, დისტანციურ სწავლებაზე გადასვლამდე, უმაღლესი განათლების სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა „ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი დოკუმენტი“, რის საფუძველზეც აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა გადაამუშავა სასწავლო კურსები და სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვის მეთოდოლოგია.

საერთო ჯამში, ექსპერტთა ჯგუფისთვის მნიშვნელოვანი იყო იმის დანახვა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა და უნივერსიტეტმა განიხილეს, რას ნიშნავს აკრედიტაციის კლასტერული მიდგომა მათი შიდა სტრუქტურებისთვის და საჭიროა თუ არა ცვლილებების ან კორექტირების შეტანა კლასტერში დასანერგად. ცხადი იყო, რომ ზოგიერთი საკითხი ჯერ კიდევ განხილვის პროცესში იყო, როგორიცაა უფრო ეფექტური ზედამხედველობა, სინერგია

შინაარსში და შინაარსის პროგრესირება, პერსონალის ჩართულობა და როგორ შეიძლება კლასტერში მრავალ პროგრამაზე ერთდროულად მომუშავე პერსონალის გამოცდილების გამოყენება კლასტერის განვითარებისთვის. ეს, რა თქმა უნდა, თავიდანვე ერთგვარი პროცესია, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა სააზროვნო პროცესები, რომლებიც უკვე გავლენას ახდენს მომავალ მიდგომებზე. ეს განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან, როგორც ჯგუფმა შენიშნა (და ეს დადასტურდა ინტერვიუებით), განხილვის პროცესები ძირითადად დაკავშირებული იყო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის პროცესებთან, თვითშეფასების აქტივობებით და დაინტერესებული მხარეების გაძლიერებული ჩართულობით, რაც ხდებოდა ცენტრის შეფასების მომზადების დროს. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ქართული კონტექსტი მოქმედებს ციკლის სახით, რომელიც გარედან არის ორიენტირებული, თუმცა საბოლოოდ მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს შინაგანად განსაზღვრულ ციკლზე, სადაც დაინტერესებული მხარეების ჩართულობის აქტივობები განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმიანობის შედეგი კი არაა, არამედ იმ შიდა კონტექსტის მუდმივი და განმეორებადი მახასიათებელი, რომელიც აგენერირებს მონაცემებსა და ინფორმაციას, რაც შეიძლება მოდიოდეს გარე პროცესებიდან, საჭიროების შემთხვევაში. არანაკლებ საყურადღებოა დაწესებულების შიდა მიდგომა, გამოიყენოს გარე ცოდნა განვითარების ინფორმირებისთვის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული ხარისხის გარე უზრუნველყოფის მომზადებისას. ეს მიდგომა შეიძლება გახდეს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რომელიც უნდა განხორციელდეს რეგულარული ინტერვალებით, როგორც პროგრამის მონიტორინგისა და განხილვის პროცედურების ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ კლასტერს ჰქონდა პოტენციალი, შეემუშავებინა მიდგომა მუდმივი დაინტერესებული მხარეების ძლიერი ჩართულობით: ინტერვიუებიდან ცხადი იყო, რომ დამსაქმებლები მზად იყვნენ თავიანთი დრო, ცოდნა და გამოცდილება გამოეყენებინათ კლასტერის პროგრამების განვითარების მხარდასაჭერად. ანალოგიურად, სტუდენტები, რომლებიც ესწრებოდნენ საბჭოს სესიებს დღის წესრიგის ყველა საკითხში, წარმოადგენდნენ დაინტერესებულ მხარეთა ჩამოყალიბებულ ჯგუფს. ექსპერტთა ჯგუფს გაუკვირდა, რომ კლასტერმა გადაწყვიტა არ ჰქონოდა უშუალო ურთიერთობა სტუდენტებთან თვითშეფასების ანგარიშის შედგენის მიზნით, მაგრამ მენეჯმენტის თანამშრომლებმა დაადასტურეს, რომ სტუდენტების წარმომადგენლობითი შეხედულებები დაფიქსირდა ჩატარებული გამოკითხვების საშუალებით.

იმისათვის, რომ ფუნქციონირებდეს ხარისხის უზრუნველყოფის ძლიერი შიდა სისტემა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ინფორმაციას, რომელიც გამოქვეყნებულია პროგრამების შესახებ, ინდივიდუალურად, ასევე კლასტერების ფორმირებას. შესაბამისად, ვებგვერდის ინგლისური ვერსია უნდა შეესაბამებოდეს სხვა დოკუმენტაციას. ანგარიშზე მუშაობის დროს გამოიკვეთა მრავალი შეუსაბამობა, მათ შორის ის ფაქტი, რომ პროგრამების სახელები არასწორად იყო წარმოდგენილი, ანუ სამაგისტრო პროგრამებისთვის მითითებული იყო ენათმეცნიერების პროგრამა (არა გამოყენებითი ენათმეცნიერება) და ინგლისური, გერმანული, რომანული ფილოლოგია და შედარებითი ლიტერატურის პროგრამა (არა შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა). ასევე, ვებგვერდზე არაა წარმოდგენილი კლასტერიზაციის

მიდგომა და კლასტერის პროგრამები არაა დაკავშირებული შემოთავაზებული აღწერილობების საშუალებით.

დაბოლოს, ექსპერტთა ჯგუფმა დადებითად შეაფასა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილავდა ბენჩმარკინგის მიდგომებს და ცდილობდა გარკვეული შიდა ბენჩმარკინგის შედგენას, გარე ბენჩმარკინგი ჯერ კიდევ არ არის საქართველოს უმაღლესი განათლების სივრცის მახასიათებელი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- პროგრამის ხელმძღვანელების საქმიანობის წესები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის კონცეფცია;
- შეხვედრების ოქმები;
- მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის შეფასების კვლევის ანგარიში;
- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიშები;
- დამსაქმებელთა ფოკუს ჯგუფების ანგარიშები;
- გარე ექსპერტების შეფასებები;
- პროგრამის შიდა და გარე შეფასების ანალიზი

**კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები:**

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა შეიმუშაოს პროგრამების ხელმძღვანელებთან ერთად პროგრამების სილაბუსებში ტექნიკური და შინაარსობრივი ხარვეზების გამოვლენისა და აღმოფხვრის მექანიზმები.
- უნივერსიტეტმა უნდა დააწესოს რეკრუტირების რეგულაციები, როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალისთვის, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს იმას, თუ რამდენად შეესაბამება ერთმანეთს ის სფერო, რომელშიც პერსონალს აქვს დიპლომი, ან მათი კვლევის მიმართულება იმ კურსების შინაარსს, რომლებსაც ისინი როგორც პედაგოგები სთავაზობენ.
- უნივერსიტეტმა უნდა განიხილოს კონკრეტული მიზნების შეთავაზება, რომელთა მონიტორინგიც შესაძლებელია მოცემული პროგრამის შეჩერების ან დახურვის გადაწყვეტილებაში. გასათვალისწინებელია ის ზეგავლენა, რომელიც კურსის დახურვამ შეიძლება გამოიწვიოს მთელი კლასტერის სტრუქტურაზე და ფუნქციონირების პოტენციალზე.
- ვებგვერდი უნდა იყოს ზუსტი და თანმიმდევრული ენობრივ ვერსიებში, საჯარო ინფორმაცია ხშირად უნდა გადაიხედოს სანდოობისა და თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად.

**კლასტერის საერთო რჩევები:**

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შეუძლია განიხილოს, შეიძლება თუ არა კურსდამთავრებულთა გამოკითხვა მომგებიანი გახდეს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების შიდა ხარისხის უზრუნველყოფისთვის. ამის მიზეზი ისიცაა, რომ ერთი პროგრამის კურსდამთავრებულები შეიძლება გახდნენ შემდეგი საფეხურის პროგრამის სტუდენტები და მათ უფრო ფართო წარმოდგენა ექნებათ კლასტერის ფუნქციონირებაზე.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიძლება განიხილოს დამსაქმებლების

ჩართულობა მრავალ წარმომადგენლობით საქმიანობაში და კონკრეტულად პროგრამებისა და კლასტერების განვითარებაში.

- კლასტერმა შეიძლება შეიმუშავოს ერთობლივი განვითარების/ტრენინგის სესიები ან კარგი პრაქტიკის გაზიარების აქტივობები, რომლებიც აერთიანებს პერსონალის ინდივიდუალური შეფასების დროს გამოვლენილ საჭიროებებს.
- საქართველოს უმაღლესი განათლების კონტექსტში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების მომწიფებასთან ერთად, უნივერსიტეტმა შეიძლება მოისურვოს მისი ხარისხის შიდა უზრუნველყოფის გამოყოფა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის შეფასებებისგან და შექმნას საკუთარი ციკლი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, რომელიც ნებისმიერი გარე პროცესისგან დამოუკიდებლად წარიმართება.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

| კომპონენტი 5.1 შიდა ხარისხის შეფასება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (საბაკალავრო პროგრამა - ქართული ფილოლოგია (ძირითადი და დამატებითი)) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (საბაკალავრო პროგრამა - ლიტერატურათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი)) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (სამაგისტრო პროგრამა - შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (სამაგისტრო პროგრამა - გამოყენებითი ენათმეცნიერება) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (დოქტორანტურა - ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა | ☐ | X | ☐ | ☐ |

| ) | | | | |
|---|---|---|---|---|

### 5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ უნივერსიტეტმა ყურადღება გაამახვილა აკრედიტაციის წინა შეფასებებზე ცალკეულ პროგრამებთან დაკავშირებით და ახლა აქტიურად გადადიოდა კლასტერულ მიდგომაზე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემოთავაზებული პროცედურების თანახმად. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ინტერვიუებიდან გაარკვია, რომ კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების მომზადებისას, ხარისხის გარე უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გარე შეფასების შედეგები (აკრედიტაცია, მონიტორინგი, ავტორიზაცია) სრულად დაცულია. გაზიარებულია ყველა სახის ინფორმაცია გარე შეფასების ჩატარებასთან დაკავშირებით და გათვალისწინებულია სამართლებრივი შედეგები.

გარე პროცესის მხარდასაჭერად დაიგეგმა და განხორციელდა დამსაქმებელთა აზრის გამოკითხვა პროგრამის ხელმძღვანელებისა და პროგრამის სამუშაო ჯგუფების მიერ, რასაც დაემატა დამატებითი ფოკუს ჯგუფი. რადგან გათვალისწინებული იყო შრომის ბაზრის მოთხოვნები, შეგროვებული ხარისხობრივი მონაცემების მიხედვით, ცვლილებები განხორციელდა კლასტერში არსებული პროგრამების სტრუქტურასა და შინაარსში.

გარდა ამისა, ასევე დაინიშნენ გარე ექსპერტები, რომლებსაც სთხოვეს წერილობითი ანგარიშების მომზადება განვითარებაზე უკუკავშირით.

**პროგრამა 1 ქართული ფილოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) და პროგრამა 2 საბაკალავრო პროგრამა - ლიტერატურათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)**

გასაუბრებისა და მოწოდებული დოკუმენტაციის შედეგად გაირკვა, რომ პროგრამები ითვალისწინებს აკრედიტაციის ექსპერტების მიერ 2011 წლის სწავლის შედეგების რუკაში მიღებულ რეკომენდაციებს. ეს ეხებოდა: სილაბუსებში გაწერილი სწავლის შედეგების სრულად ასახვას, სილაბუსების მოდერნიზებას, პროგრამებში ინგლისური ენის კომპონენტის გაძლიერებას, რაც გაზიარებულია და აისახება პროგრამის ახალ ვერსიაში.

მაგალითად: საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი პირველი კურსის პირველი სემესტრიდან გადის ინგლისური ენის პრაქტიკულ კურსს ოთხი სემესტრის განმავლობაში.

დამსაქმებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მათ ჰქონდათ რეკომენდაცია პროგრამაში უზრუნველეყოთ სტუდენტებში პრაქტიკული უნარების განვითარების მეტი შესაძლებლობა, რისთვისაც მორფოლოგიის კურსი დაიყო ორ ნაწილად (არსებითი სახელი და ზმნა) და ახალ პროგრამაში ეს კურსი არის წარმოდგენილია ორი სემესტრის განმავლობაში. მორფოლოგიის ორივე კურსი არის „ქართული ენის სინტაქსის“ კურსის წინაპირობა.

ასევე, პრაქტიკული კომპონენტის განვითარების მიზნით პროგრამას დაემატა სავალდებულო-არჩევითი კურსები: „პრაქტიკა ქართული ენის მორფოლოგიაში“, „ქართველური ენები: მეგრული“, „ქართველური ენები: ლაზური“, „ქართველური ენები: სვანური“, „ქართული ენის დიალექტოლოგია“. პროგრამაში არჩევითი საგნების სახით ასევე წარმოდგენილია ბერძნული და ლათინური ენები.

დამსაქმებლების თქმით, საბაკალავრო პროგრამაში - ლიტერატურათმცოდნეობა წარმოდგენილია ყველა ეპოქის ლიტერატურა ანტიკურიდან დღემდე. თუმცა, მიაჩნიათ, რომ კარგი იქნება გრამატიკის კურსის დამატება, რადგან მოსწავლეები სკოლაში ვერ იღებენ სათანადო გრამატიკის ცოდნას და ეს გავლენას ახდენს მათ წერით უნარებზე. ეს რეკომენდაცია გაითვალისწინეს პროგრამის ხელმძღვანელებმა.

ამასთან, დამსაქმებელთა რეკომენდაციით, 2023 წლის გაზაფხულის სემესტრიდან საბაკალავრო პროგრამას დაემატება არჩევითი კურსები: „ქართული ენის სტილისტიკა“, „რეპორტაჟი, პორტრეტული და ანალიტიკური მწერლობა“, „ახალი ამბები, ინტერვიუ და საინფორმაციო სტატია“.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- პოტენციურ დამსაქმებელთა ფოკუს ჯგუფების ანგარიშები;
- მსგავს პროგრამებთან გარე შეფასება;
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი;
- პროგრამებზე დაშვების დოკუმენტები;
- აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნები/საბჭოს ოქმი
- შიდა და გარე შეფასების ანალიზი.

**პროგრამა 3 სამაგისტრო პროგრამა - შედარებითი ლიტერატურა**

გასაუბრების პროცესში, ასევე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ გათვალისწინებულია 2011 წელს აკრედიტაციის ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები - სილაბუსებში დაწერილი სწავლის შედეგები აისახება სწავლის შედეგების რუკაზე. სასწავლო კურსებში დეტალურად არის აღწერილი სწავლებისა და სწავლის მეთოდები, ხოლო სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების კრიტერიუმების შესახებ ინფორმაცია სტუდენტებს მიეწოდება სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის „არგუსის“ მეშვეობით.

საგანმანათლებლო პროგრამა ასევე პერიოდულად ფასდებოდა გარე შემფასებლის მიერ. შემფასებლის თქმით, „შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის პროგრამა ერთ-ერთი პირველი და ინოვაციურია ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში და მას პრაქტიკულად არ გააჩნია ანალოგი, ხოლო დასავლეთის უნივერსიტეტებში მსგავსი პროგრამების დიდი გამოცდილება არსებობს. პროგრამა უზრუნველყოფს კულტურულ ღიაობას, პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ თავისუფლებას“.

დამსაქმებელთა შეფასებისა და რეკომენდაციების საფუძველზე, სასურველია მაგისტრმა იმუშაოს ადგილობრივ პირველად წყაროებზე, მაგ. ლიტერატურის მუზეუმის ფონდებში.

პროგრამის ხელმძღვანელებმა გაიზიარეს ეს რეკომენდაცია. პროგრამის ფარგლებში გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები საქართველოს ეროვნულ არქივთან, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტთან, გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმთან, გამომცემლობებთან, რაც სტუდენტებს მისცემს წვდომას კვლევის პროცესში სხვადასხვა საჭირო საარქივო მასალებსა და ხელნაწერებზე. გარდა ამისა, 2023 წლის გაზაფხულის სემესტრიდან პროგრამას სამაგისტრო დონეზე დაემატება არჩევითი სასწავლო კურსი: „ენა და სტილი“.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- პოტენციურ დამსაქმებელთა ფოკუს ჯგუფების ანგარიშები;
- მსგავს პროგრამებთან გარე შეფასება;
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი;
- პროგრამებზე დაშვების დოკუმენტები;
- აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნები/საბჭოს ოქმი
- შიდა და გარე შეფასების ანალიზი.

**პროგრამა 4 სამაგისტრო პროგრამა - გამოყენებითი ენათმეცნიერება**

პროგრამის განახლების პროცესში გათვალისწინებული იქნა აკრედიტაციის ექსპერტების მიერ 2012 წელს გაცემული რეკომენდაციები:

- პროგრამაზე დაშვების ზოგადი წესი წერია უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის სტანდარტში, რომელიც ასევე განსაზღვრულია გამოყენებითი ენათმეცნიერების პროგრამის აღწერაში. პროგრამაში ჩარიცხვისთვის საჭიროა ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარება, თუმცა ენის კომპეტენციის კონკრეტული დონე არსად არის მითითებული. სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად სასურველია განისაზღვროს ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე.
- გამოყენებითი ენათმეცნიერების მსგავსი პროგრამა საქართველოში ჯერ არ განხორციელებულა. მიზნობრივი შედეგების მისაღწევად, სასურველია, უნივერსიტეტმა მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიციური აკადემიური პერსონალი სხვა უცხოური უნივერსიტეტებიდან გამოცდილების გასაზიარებლად.
- პროგრამით დასახული მიზნების სრულად მისაღწევად, უკეთესი იქნება, რომ მასში მონაწილე აკადემიურმა პერსონალმა უფრო აქტიურად იმუშაოს ქართულენოვანი სასწავლო რესურსების გაუმჯობესებაზე, შესაბამისი ლიტერატურის თარგმანების განხორციელებაზე, რითაც მოგვარდება რესურსების სიმცირის პრობლემა ამ სფეროში.
- უნივერსიტეტის მიერ ხელმოწერილი მემორანდუმებიდან ჩანს, რომ გამოყენებითი ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს აქტივობები ინტერნაციონალიზაციის კუთხით, თუმცა სასურველია ეს კონტაქტები კიდევ უფრო გაიზარდოს და გაფართოვდეს.

პროგრამაში გათვალისწინებული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვრა ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე.

პროგრამაში მოწვეული ლექტორის სტატუსით კურსებს ახორციელებს ექსპერტი აშშ-დან, რომლის კვლევის სფეროებია გამოთვლითი ენათმეცნიერება და ბუნებრივი ენის დამუშავება.

გათვალისწინებული იყო რეკომენდაცია ქართული ენის შემსწავლელი რესურსების გაუმჯობესების შესახებ, კერძოდ, გამოყენებითი ენათმეცნიერების პროგრამის ფუნქციონირების პერიოდში შეიქმნა არაერთი ონლაინ რესურსი (ქართული ენის კორპუსი (KEC), ეპიგრაფიკული კორპუსი (EC), უორდროპის ონლაინ კოლექცია (WOC), ქართლის ცხოვრების კორპუსი (KTC), ძველი და თანამედროვე ქართული ენის კონვერტორები და სხვ.), მეგრული ენის კორპუსი და ლექსიკონი ანოტაციებით და ა.შ.

2021 წელს გამოიცა პროფესორ ირინა ლობჟანიძის მონოგრაფია - ქართული ენის სასრული პოზიციის მორფოსინტაქსური ანოტაციისა და მორფოლოგიური ანალიზის პრინციპები; მომზადდა პროფ. ემერიტუს შუქია აფრიდონიძის მონოგრაფია - მიმართვის ფორმები ახალ ქართულ ენაში. სტრუქტურა და ფუნქციონირება.

ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო გამოცდილების გაზრდის მიზნით, სხვადასხვა დროს მოწვეულნი იყვნენ პროფესორები უცხოური უნივერსიტეტებიდან, კერძოდ მერილენდის უნივერსიტეტიდან; პარიზის უნივერსიტეტიდან; ჩიკაგოს უნივერსიტეტდან, სლოვაკეთის აკადემიიდან; ლონდონის კინგს კოლეჯიდან; და ა.შ., ასევე აკადემიური პერსონალი გაიგზავნა საზღვარგარეთ სხვადასხვა პროგრამით (მაგ. ლევენის უნივერსიტეტში, ოქსფორდის უნივერსიტეტში და სხვ.); ინტერნაციონალიზაციის გაღრმავება ასევე ხდება სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობით (მაგ. 2022 წლიდან ნათმეცნიერების კვლევითი ინსტიტუტის აკადემიური პერსონალი მონაწილეობს ევროპული სამეცნიერო და ტექნოლოგიური თანამშრომლობის პროექტში CA21167 - უნივერსალურობა, მრავალფეროვნება და თავისებურება ენობრივ ტექნოლოგიაში (UniDive), 2018-2019 წლებში - ოქსფორდის უნივერსიტეტისა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივ პროგრამაში და სხვ.).

გამოყენებითი ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა შეაფასა გარე ექსპერტმა, გოტინგენის უნივერსიტეტის პროფესორმა. მათი ექსპერტების აზრით, პროგრამაში გათვალისწინებული კრედიტების ოდენობა, სავალდებულო და არჩევითი კურსების განაწილება შეესაბამება მსგავსი პროგრამების სტანდარტულ პრაქტიკას; კორპუსის ენათმეცნიერების კურსები შესაბამისად იკვლევს კორპუსის ენათმეცნიერების საფუძვლებს: კორპუსის კვლევა, პროგრამირება, მონაცემთა ანალიზი, ციფრული ეპიგრაფიკა; და, პროგრამისთვის მნიშვნელოვანია არჩევითი კურსები, კლასიკური ენის შეთავაზებების ჩათვლით. ექსპერტი ასევე მიესალმება პროგრამის წინაპირობებს, განსაკუთრებით სხვადასხვა სფეროს სტუდენტების მიღებას, რაც საერთო ტენდენციაა, განსაკუთრებით ჰუმანიტარულ მეცნიერებებში.

დამსაქმებლებთან ინტერვიუში, ასევე დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ დამსაქმებლები დადებითად აფასებენ პროგრამის შინაარსს და სასწავლო კურსებს გამოყენებითი ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში.

დამსაქმებლებმა ჩამოაყალიბეს წინადადება: პროგრამა საშუალებას აძლევს სტუდენტებს

ისწავლონ ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის საკითხები ენის ტიპოლოგიისა და უნივერსალობის თვალსაზრისით - ასევე სასურველია ფოკუსირება ფონოლოგიაზე.

კვლევის შედეგები პროგრამის სამუშაო ჯგუფმა განიხილა. ფონეტიკასა და ფონოლოგიას ცალ-ცალკე სწავლობენ ევროპის ზოგიერთ უნივერსიტეტში. მაშინ როცა, გამოყენებითი ენათმეცნიერების პროგრამა მხოლოდ ცალკეულ თემებს გვთავაზობს სხვადასხვა კურსში. ამიტომ აღარ იყო საჭირო ფონოლოგიის გამოყოფა.

გარდა ამისა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში რეკომენდებული იყო საბაზისო ენობრივი ცოდნის აუცილებლობა ქართულის მიმართულებით, რაც გათვალისწინებულია: საბაზისო ენობრივი ცოდნა ქართულის მიმართულებით მოწმდება მაგისტრატურის მისაღებ გამოცდაზე, სადაც განმცხადებელმა უნდა გააანალიზოს წინადადება მორფოლოგიურად და სინტაქსურად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- პოტენციურ დამსაქმებელთა ფოკუს ჯგუფების ანგარიშები;
- მსგავს პროგრამებთან გარე შეფასება;
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი;
- პროგრამებზე დაშვების დოკუმენტები;
- აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნები/საბჭოს ოქმი
- შიდა და გარე შეფასების ანალიზი.

**პროგრამა 5 სადოქტორო პროგრამა - „ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა“**

მიღებული ინფორმაციის ანალიზით, რომელიც გამოვლინდა გასაუბრებისა და დოკუმენტის განხილვისას, სადოქტორო პროგრამა მომზადდა სხვადასხვა ექსპერტი დაინტერესებული მხარის მიერ მოწოდებული და გაზიარებული რეკომენდაციების საფუძველზე.

პროგრამის „ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის“ სამუშაო ჯგუფმა სრულად გაითვალისწინა 2011 წელს აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები - პროგრამის ეფექტური განხორციელებისთვის, ლოგისტიკის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის შესახებ და პროგრამას ჰყავს აკადემიური ხელმძღვანელები, სპეციალისტები და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

ასევე გამოირჩევა სწავლების მეთოდი და ფორმატი. პროგრამაში ჩართული უცხოელი პროფესორებისთვის ხელმისაწვდომია „არგუსის“ ელექტრონული მართვის სისტემა - ასევე ინგლისურ ენაზე.

პროგრამის მომზადების დროს, პროგრამის ხელმძღვანელების თქმით, შეიქმნა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამა, რომელიც მიმართულებების მიხედვით რვა კვალიფიკაციას მოიცავდა და შემუშავდა, როგორც დამოუკიდებელი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა.

ინტერდისციპლინური პროგრამის დაშლის შესახებ ანგარიშის საფუძველზე, 2022 წლის 20 აპრილს განხორციელდა სადოქტორო პროგრამის „ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა“ არაგეგმური მონიტორინგი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ცენტრში წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტების ანგარიშში ასახული შეფასება.

საბჭომ მიიჩნია, რომ „ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

2021 წლის ნოემბერში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატარა დამსაქმებელთა გამოკითხვა.

დამსაქმებლებმა გამოთქვეს რეკომენდაციები პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის. მათი დაკვირვებით, პროგრამის ფარგლებში სასურველია ყურადღება გამახვილდეს „მანქანური თარგმანის პროგრამების გაუმჯობესებაზე და მასალების გამდიდრებაზე“, რადგან ქართულ ენაში ლექსიკოგრაფიული მასალა საკმარისად არ არის დამუშავებული.

დამსაქმებლებმა დადებითად შეაფასეს საერთაშორისო სადოქტორო სკოლასთან თანამშრომლობის პრაქტიკა და სადოქტორო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ექსპერტები. თუმცა, მათი თქმით, უფრო სასურველი იქნებოდა ამ მიმართულების გაძლიერება.

გარდა ამისა, პროგრამა დოქტორანტებისგან მოითხოვს მინიმუმ ერთი სტატიის გამოქვეყნებას საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში.

პროგრამას მხარს უჭერს საერთაშორისო ექსპერტთა საბჭო, რომლის წევრები ეხმარებიან დოქტორანტებს სამეცნიერო სტატიების მომზადებასა და გამოქვეყნებაში. გარდა ამისა, პროგრამა ითვალისწინებს მჭიდრო თანამშრომლობას საერთაშორისო სადოქტორო პროგრამასთან, რომლის ფარგლებშიც დოქტორანტს ეძლევა შესაძლებლობა ჰყავდეს უცხოელი თანახელმძღვანელი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს „ერასმუს+“-ის ფარგლებში ევროკომისიის მიერ დაფინანსებულ გაცვლით პროგრამებს, რაც პარტნიორ უნივერსიტეტებში ინდივიდუალურ მობილობას გულისხმობს. დოქტორანტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში და განახორციელონ ერთობლივი კვლევითი პროექტები პარტნიორ უნივერსიტეტებთან.

ენათმეცნიერების და ლიტერატურათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა შეაფასა გარე

შემფასებელმა, მალმოს უნივერსიტეტის კავკასიისმცოდნეობის პროფესორმა. ექსპერტმა ხაზი გაუსვა პროგრამის რამდენიმე ძლიერ ასპექტს. კერძოდ: ექსპერტი დადებითად აფასებს იმ ფაქტს, რომ პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ არა მხოლოდ ფილოლოგიის კურსდამთავრებულებს, არამედ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სხვა შესაბამის მიმართულებებში მაგისტრის ხარისხის მფლობელ პირებსაც. მისი აზრით, წარმოდგენილი პროგრამა არის მოქნილი იმ თვალსაზრისით, რომ ის სტუდენტებს სთავაზობს სპეციალობის ორ მიმართულებას, რაც პროგრამას უფრო მიმზიდველს ხდის აპლიკანტებისთვის. პროგრამა ნათლად აღწერს საერთაშორისო კვლევითი თანამშრომლობის გზებს, რაც ასევე წარმოადგენს მის ერთ-ერთ ძლიერ მხარეს.

ექსპერტს დასკვნაში შეაქვს ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის დადებითი შეფასება და მხარს უჭერს მის განხორციელებას. მისი შეფასება არ შეიცავს რეკომენდაციებს პროგრამის გაუმჯობესების შესახებ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- პოტენციურ დამსაქმებელთა ფოკუს ჯგუფების ანგარიშები;
- მსგავს პროგრამებთან გარე შეფასება;
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი;
- პროგრამებზე დაშვების დოკუმენტები;
- აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნები/საბჭოს ოქმი
- შიდა და გარე შეფასების ანალიზი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

**შეფასება**

| კომპონენტი 5.2 გარე ხარისხის შეფასება | შესაბამისობა შია მოთხოვნებთ ან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებ თან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (საბაკალავრო პროგრამა - ქართული ფილოლოგია (ძირითადი და დამატებითი)) | X | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 2 (საბაკალავრო პროგრამა - ლიტერატურათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი)) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (სამაგისტრო პროგრამა - შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (სამაგისტრო პროგრამა - გამოყენებითი ენათმეცნიერება) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (დოქტორანტურა - ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა ) | X | ☐ | ☐ | ☐ |

### 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემატური შეგროვებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

ინტერვიუებიდან და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან ჩანს, რომ კლასტერში შემავალი პროგრამების შემუშავებაში დიდი როლი ენიჭება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შიდა თვითშეფასებას, რაც დაკავშირებულია კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამების შიდა თვითშეფასების ანგარიშის მომზადებასთან, უნივერსიტეტში განხორციელებული პროგრამების შეფასების შედეგად ძლიერი მხარეების და გასაუმჯობესებელი სფეროების იდენტიფიცირების მიზნით და ინტერვენციების მიზნობრივ დაგეგმვასთან შემდგომი გაუმჯობესებისთვის (მონაცემთა დამუშავებასა და ანალიზზე დაყრდნობით).

შესაბამისად, შეფასების მონაცემების მოსაპოვებლად ტარდება შემდეგი კვლევები - სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი, სტუდენტების სემესტრული გამოკითხვა - კურსებთან დაკავშირებით, დამსაქმებლის გამოკითხვა, პროგრამაში ჩართული მოწვეული და აკადემიური პერსონალის შეფასება სტუდენტების გამოკითხვის საფუძველზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების თქმით, პროგრამის სამიზნე ნიშნულების ანალიზი მუდმივად მიმდინარეობს და ითვალისწინებს სტუდენტების აკადემიური მოსწრების სემესტრულ შედეგებს.

ასევე დამსაქმებლების და გარე ექსპერტის/ექსპერტების შეფასებები უფრო რეგულარულად ხდება.

კლასტერში წარმოდგენილი პროგრამის დინამიკის განვითარების მიზნით, ყოველ მომდევნო საანგარიშო პერიოდში წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში შევა წინა საანგარიშო პერიოდის მონაცემებთან შედეგების შედარების ანალიზი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების თქმით, საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ერთი საანგარიშო პერიოდი მოიცავს სამ სემესტრს: საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრებს - მონაცემთა შეგროვებისთვის და შემდეგ სემესტრს - მონაცემთა ანალიზისთვის, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია პროგრამის საჭიროებების დადგენის პროცესში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სრული შეფასების ციკლი ბაკალავრიატის შემთხვევაში არის ხუთ წელი (სამი საანგარიშო პერიოდი), ხოლო სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში - სამი წელი (ორი საანგარიშო პერიოდი).

სადოქტორო პროგრამის განხორციელებისას ეს ხანგრძლივობა 6 წელია (ოთხი საანგარიშო პერიოდი).

პროგრამის შეფასების შედეგად შემუშავებული ანგარიში წარედგინება ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს განსახილველად და პროგრამის შესამუშავებლად განსაზღვრული აქტივობების დასამტკიცებლად - საანგარიშო პერიოდის (მესამე სემესტრის) დასრულებამდე.

აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე ფაკულტეტის/სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ამზადებს შემაჯამებელ ანგარიშს კლასტერში წარმოდგენილი ყველა პროგრამის შესახებ და შემდეგ გადასცემს მას უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და ვიცე-კანცლერს. შემდეგ, მიღებული ანგარიშების საფუძველზე, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამზადებს შემაჯამებელ ანგარიშს, საბოლოო ინსტანცია კი აკადემიური საბჭოა, სადაც წარმოდგენილი დოკუმენტი განიხილება და მტკიცდება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების თქმით, ამჟამად მიმდინარეობს პროგრამების განხორციელების შიდა შეფასების მექანიზმის გაუმჯობესება, დამატებითი ინსტრუმენტების შემუშავება და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შესაძლებლობების გაზრდა გრძელდება, რაც საკმაოდ ახალია კლასტერული მიდგომისთვის. არ არსებობს სრული ციკლის განხილვისთვის საკმარისი მონაცემები, რადგან მონაცემთა შეგროვება შეჩერდა პანდემიის დროს.

ასევე, ინტენსიურად იმართება სამუშაო შეხვედრები ფაკულტეტების/სკოლების დეკანებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან, და ტრენინგების სერია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებისთვის. ეს მოიცავს შიდა მექანიზმების სპეციფიკის გაუმჯობესებას, თვითშეფასების ინსტრუმენტების და მონაცემთა ანალიზის ეფექტურ გამოყენებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- პროგრამის განხორციელების შეფასების წესი;
- ელექტრონული პორტალი „არგუსი“ https://argus.ge/ge/;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიძლება მოისურვოს გარე ექსპერტების გამოყენება პროგრამების რეგულარულად განსახილველად და არა მხოლოდ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მომზადების პროცესში.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

| კომპონენტი 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 ((საბაკალავრო პროგრამა - ქართული ფილოლოგია (ძირითადი და დამატებითი)) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (საბაკალავრო პროგრამა - ლიტერატურათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი)) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (სამაგისტრო პროგრამა - შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (სამაგისტრო პროგრამა - გამოყენებითი ენათმეცნიერება) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (დოქტორანტურა - ენათმეცნიერება და | X | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ლიტერატურათმცოდნეობა ) | | | | |

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი | შესაბამისობა შია მოთხოვნებთ ან | მეტწილად შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (საბაკალავრო პროგრამა - ქართული ფილოლოგია (ძირითადი და დამატებითი)) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (საბაკალავრო პროგრამა - ლიტერატურათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი)) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (სამაგისტრო პროგრამა - შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (სამაგისტრო პროგრამა - გამოყენებითი ენათმეცნიერება) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (დოქტორანტურა - ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა ) | X | ☐ | ☐ | ☐ |

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ არის მითითებული

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| სარჩევი: <br> სტანდარტი | 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან | 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | 4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა | 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები |
|---|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (საბაკალავრო პროგრამა - ქართული ფილოლოგია (ძირითადი და დამატებითი)) | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
| პროგრამა 2 (საბაკალავრო პროგრამა - ლიტერატურათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი)) | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
| პროგრამა 3 (სამაგისტრო პროგრამა - შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა) | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
| პროგრამა 4 (სამაგისტრო პროგრამა - გამოყენებითი ენათმეცნიერება) | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
| პროგრამა 5 (სადოქტორო პროგრამა - ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა) | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

ხელმოწერები

აკრედიტაციის ექსპერტთა

ჯგუფის თავმჯდომარე,

სრული სახელი,

ხელმოწერა

ანკა-ლუმინიტა გრეერი

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

სრული სახელი, ხელმოწერა ზაალ კიკვიძე
სრული სახელი, ხელმოწერა ნინო პოპიაშვილი
სრული სახელი, ხელმოწერა ირმა ქურდაძე
სრული სახელი , ხელმოწერა ნატო ფერაძე